

რეფორმები და შეთქმულება A3



ლიტერატურული "დაკრუგვა" A6



ბობ დილანი ევროპაში A8

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი, 9 მაისი, 2006 წელი. №100 (1252) | ფასი 50 თეთრი

## ამბები

### 52 მილიონი ღატაკებისთვის

საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული ახალი პროგრამის პირველი ეტაპი დასრულებულია. უკიდურესად ღატაკების დახმარებისთვის აღებული "გეზი" პირველი ივნისიდან ამოქმედდება. სახელმწიფო პროგრამის თანახმად, დახმარება ისეთ ოჯახებს გაეწევა, რომლებიც უკიდურეს სიღატაკეში იმყოფებიან და შიმშილს განიცდიან.

A2

## სამართალი

### სიცოცხლის შენარჩუნებაზე ორიენტირებული კანონი

"სასაზღვრო პოლიციის შესახებ კანონის" მიზანია ამ უწყებისთვის სამხედრო სტრუქტურების გაუქმება და თანამედროვე სამართლებრივ-პოლიციური სტანდარტების შემოღება.

A4





ძვირფასო მკითხველებო!

"ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის" (IWPR) კავკასიის პროგრამა იწყებს ყოველკვირეული ინგლისურენოვანი გამოცემის "კავკასიის საინფორმაციო სამსახურის"(CRS) ქართულ ენაზე ბეჭდვას. ყოველი გამოშვება კავკასიის რეგიონების აქტუალური მოვლენებისა და პროცესებისადმი მიძღვნილ სტატიებს მოიცავს.

ჩვენს ინტერნეტ-გვერდზე www.iwpr.net განთავსებულია გამოცემის ინგლისური და რუსული ვერსიები.

"კავკასიის საინფორმაციო სამსახურზე" ხელმოწერა ნებისმიერ ენაზე უფასოა. ხელმოწერის გაფორმებისთვის ან ანულირებისთვის ეწვიეთ ინტერნეტგვერდს: http://www.iwpr.net/sub-form.html

A4

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 9/05 | 10/05 |
|---|---|---|
| თბილისი | 27 | 26 |
| ტყიბული | 24 | 22 |
| სოხუმი | 18 | 20 |
| გორი | 23 | 23 |
| ზუგდიდი | 25 | 23 |
| სამტრედია | 25 | 25 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8140 |
| ევრო | 2.3185 |
| გირვანქა სტერლ. | 3.3880 |
| რუბლი | 0.0670 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| პროექტი | A 5 |
| რევიუ | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |


# აშშ რუსეთთან სალაპარაკოდ სიტყვებს არჩევს

### პრობლემური საკითხები "დიდი რვიანის" სამიტზე გაირჩევა

დიმიტრი ავალიანი

*აშშ რუსეთის კრიტიკას ამჯერად პრეზიდენტ ბუშის პირით განაგრძობს, რუსეთი კი თავს "დამნაშავედ" არ ცნობს. ორივე მხარე "დიდ გარჩევას" "დიდი რვიანის" პეტერბურგის სამიტზე გეგმავს.*

აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ვერ გარკვეულა, სურს თუ არა რუსეთს გახდეს დემოკრატიული ქვეყანა. ამის შესახებ აშშ-ს პრეზიდენტმა გერმანულ გაზეთ "ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

მისი განმარტებით, რუსეთისგან "სხვადასხვა სიგნალები" მოდის, რომლებიც ბევრ კითხვას წარმოშობს იმის შესახებ, **"სურთ თუ არა მათ ნამდვილ დემოკრატიულ ქვეყნად გადაქცევა, სადაც პრესის თავისუფლება და დემოკრატიისთვის დამახასიათებელი სხვა ღირებულებები იქნება".**

გაგრძელება A3 გვერდზე



ჯორჯ ბუში ვერ გარკვეულა, სურს თუ არა რუსეთს, გახდეს დემოკრატიული ქვეყანა.

# მასზე მდიდარი მხოლოდ გეითსია

### ფასიანი ქაღალდების ჯადოქარი უორენ ბაფეტი

B

გოჩა ქიმუცაძე

*მის მიერ ჩამოყალიბებული ბიზნესის მართვის სისტემა ფასიანი ქაღალდების ბაზრის ერთგვარ ბიბლიად იქცა. ნიუ იორკელ მაკლერებს ცრურწმენაც კი აქვთ, რომ თუ ბირჟაზე თამაშისას მისი წიგნებიდან ციტატებს იჩურჩულებენ, აუცილებლად გაუმართლებთ. უმეტესობას მისი ჭეშმარიტებების სჯერა, სხვები ფიქრობენ, რომ, უბრალოდ, უმართლებს. არიან ისეთებიც, რომლებიც ამბობენ, მან სული ეშმაკს მიჰყიდაო. ვინ არის ის? Forbes-ის მილიარდერთა რეიტინგში მეორე ადგილზე მყოფი, მსოფლიოს უმდიდრესი ინვესტორი, საინვესტიციო ფონდ Berkshire Harthaway-ს თავკაცი, 42 მილიარდის მფლობელი, 75 წლის უორენ ბაფეტი.*

**უორენ ბაფეტი საქმიანობას ისრაელში დაიწყებს. ინვესტორმა განაცხადა, რომ ისრაელის კომპანია Iscar Metalworking-ის შესყიდვას აპირებს. 2006 წელს, ბაფეტმა კომპანია Coca-Cola დატოვა. იგი კომპანია Coca- Cola-დან წამოსვლის მიზეზებზე საჯაროდ არ საუბრობს და აცხადებს, რომ ახალი პროექტების განხორციელებით არის დაინტერესებული.**

# ანჯელინა ჯოლი და ნამიბიის ტურიზმი





ბრედ პიტი, ანჯელინა ჯოლი და ტურიზმი.

# ირანის პრეზიდენტის წერილი ჯორჯ ბუშისადმი

### თეირანი დუმილს არღვევს და აშშ-ს პრეზიდენტს კონფლიქტის მოგვარების შესაძლო გზებს სთავაზობს

თეა მაისურაძე

ირანის პრეზიდენტმა მაჰმუდ აჰმადინეჯადმა ამერიკის პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს წერილი გაუგზავნა, რომელიც ბირთვულ პროგრამასთან არსებული დაძაბულობის მოგვარებას ეხება. ამის შესახებ ცნობილი გახდა ისლამური რესპუბლიკის წარმომადგენლის ღოლამ ჰოსეინ ელჰამის განცხადების შედეგად: "აღნიშნულ წერილში აჰმადინეჯადმა შექმნილი საერთაშორისო სიტუაცია გააანალიზა და აშშ-ს კონფლიქტის მოგვარების ახალი გზები შესთავაზა". წერილს ამერიკის სახელმწიფო ადმინისტრაციას შვეიცარიის საელჩო გადასცემს, რომელიც ირანში აშშ-ს ინტერესების დამცველია.

ღოლამ ჰოსეინ ელჰამის თქმით, აპრილში ჩატარებულ პრეს-კონფერენციაზე მაჰმუდ აჰმადინეჯადმა პირობა დადო, რომ ის მსოფლიოს ზოგიერთი ქვეყნის ლიდერებს წერილებს გაუგზავნიდა. და აი, პირველი ასეთი წერილი ჯორჯ ბუშის მისამართით დაიწერა. ეს პირველი წერილია 1979 წლის ირანის რევოლუციის შემდეგ, რომელიც ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტმა აშშ-ს ლიდერს მისწერა. მიუხედავად იმისა, თუ რა შინაარსის არის ეს წერილი, ის მაინც მნიშვნელოვან დატვირთვას ატარებს. ეს აჰმადინეჯადის მიერ გადადგმული მეტად გაბედული ნაბიჯია მაშინ, როცა დასავლეთი ცდილობს რუსეთისა და ჩინეთის დაყოლიებას ირანის წინააღმდეგ სანქციების მისაღებად. ირანი კი აცხადებს, რომ მას სურს მოლაპარაკებები დასავლეთთან, განსაკუთრებით კი - აშშ-სთან, რათა თავიდან იქნეს აცილებული კონფლიქტი ბირთვული პროგრამის გამო.

გაგრძელება A3 გვერდზე

# შერიგების გზა დსთ-დან გამოსვლაზე გადის

გიორგი ასანიშვილი

უკვე თვეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც საპარლამენტო ოპოზიციამ ბოიკოტი გამოაცხადა. პოლიტიკური ოპონენტების ასეთი ქმედება სახელისუფლებო გუნდს მაინცდამაინც არ შეაშფოთებდა, რომ არა ერთი გარემოება: საქართველოში პერმანენტული ვიზიტებით მყოფი საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ოპოზიციის პროტესტის შესახებ დეტალურ ინფორმაციას ფლობენ, რაც ხელისუფლებისთვის არცთუ ისე სასიამოვნოა. ამიტომაც, პარლამენტის ხელმძღვანელობა არაერთ ხერხს მიმართავს, რომ "საპროტესტო აქცია" შეწყდეს, მაგრამ, ჯერჯერობით, უშედეგოდ.

ნინო ბურჯანაძე ბიუროს გუშინდელ სხდომაზეც შეეცადა სამი ოპოზიციური ფრაქციის "შემორიგებას" და მათ რამდენიმე "მაცდუნებელი წინადადებით" მიმართა. სპიკერის თქმით, ნატო-ს წევრი ქვეყნების პარლამენტების სახელზე მზადდება მიმართვა, რომელშიც IPAP-ის პროგრამის წარმატებით შესრულებაზე იქნება საუბარი.

**"ვიმედოვნებ, რომ ამ მიმართვას ოპოზიციაც შეუერთდება,"** - "ნამუსზე აგდებს" პარლამენტის თავმჯდომარე "მრეწველებს", "მემარჯვენეებსა" და "დემოკრატიულ ფრონტს". ამასთან, ნინო ბურჯანაძე გამოთქვამს მზადყოფნას, კიდევ ერთხელ გამართოს კონსულტაციები საგადასახადო კოდექსის იმ მუხლებზე, რომელთა მიმართაც ოპოზიციას ჰქონდა შენიშვნები. გარდა ამისა, პარლამენტის თავმჯდომარე პირობას იძლევა, რომ საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანის პროცესიც გამჭვირვალე იქნება...

გაგრძელება A2 გვერდზე

# გახმაურებული სპეცოპერაციები და პასუხგაუცემელი შეკითხვები

*"ვარდების რევოლუციის" შემდეგ დამნაშავეთა სამყაროს წინააღმდეგ გააქტიურებულ ბრძოლას, რომელიც თავის დროზე სამართალდამცველთა მუშაობის ერთ-ერთ დიდ წარმატებად ითვლებოდა, დღეს უკვე ადამიანის უფლებების დამცველები კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ. ბოლო წლებში ჩატარებული თითქმის ყველა ფართომასშტაბიანი სპეცოპერაცია საბოლოოდ ორმხრივი მსხვერპლით დასრულდა. გასული წლის მონაცემებით (მიმდინარე წლის სტატისტიკა გამოქვეყნებული არ არის), სპეცოპერაციების დროს დაღუპულია 19 სამართალდამცველი და 24 ეჭვმიტანილი. სამწუხაროდ, ოფიციალური ორგანოები არ ავრცელებენ ინფორმაციას ამგვარი ოპერაციების დროს გარდაცვლილ თუ დაზარალებულ უდანაშაულო მოქალაქეებზე - შემთხვევით გამვლელებზე. არადა, ადვოკატების თუ თავად თვითმხილველთა ინფორმაციით, მათი რიცხვი არცთუ მცირეა, მაგრამ, რატომღაც, ეს ფაქტები საზოგადოებრივ სამსჯავროზე არავის გამოუტანია.*

თამარ კაციტაძე

### გახმაურებული ფაქტები და უშედეგო გამოძიება

ბოლო პერიოდში ჩატარებული სპეცოპერაციების უმრავლესობაზე თუ არა, ბევრი მათგანის კანონიერებაზე საზოგადოების წარმომადგენლები პერიოდულად ხელისუფლებისგან პასუხის გაცემას მოითხოვდნენ. თუმცა, იმ დროს გამოთქმული პრეტენზია საბოლოოდ მხოლოდ პოზიციის დაფიქსირებით შემოიფარგლებოდა და შედეგიც ადეკვატური იყო. მიუხედავად იმისა, რომ ლიკვიდაციით დასრულებულ ყველა სპეცოპერაციაზე პროკურატურაში აღძრულია სისხლის სამართლის საქმეები, საბოლოო პასუხი დღემდე უცნობია. სამართალდამცველები, რომლებიც ვალდებულნი არიან დაადგინონ, რამდენად კანონიერად მოხდა სპეცოპერაციის დაგეგმვა და ადგილი ხომ არ ჰქონდა ძალის გადამეტებას, რამდენიმეთვიანი გამოძიების შემდეგაც ერთგვაროვან პასუხს იძლევიან - საქმის გამოძიება გრძელდება, ამ ეტაპზე არაფრის თქმა არ შეგვიძლია.

გაგრძელება A3 გვერდზე

# სკოლებში სამეურვეო საბჭოების არჩევნები დაიწყო

ნინო ბერელიძე

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში თვითმმართველობის ორგანოების- სამეურვეო საბჭოების, არჩევნები დაიწყო. პირველ ეტაპზე არჩევნები თბილისისა და კასპის რაიონის სკოლებში ჩატარდება.

სამეურვეო საბჭოები ახალი სასწავლო წლის დასაწყისში აირჩევენ სკოლების დირექტორებს, რომლებიც ანგარიშვალდებულები იქნებიან მხოლოდ სამეურვეო საბჭოს წინაშე. სამეურვეო საბჭო დირექტორისა და პედაგოგიური საბჭოს წარდგინებით იხილავს და ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტს, სასკოლო სასწავლო გეგმასა და სკოლისათვის სასურველ სახელმძღვანელოების ნუსხას.

სკოლებში სამეურვეო საბჭოები სამი წლის ვადით აირჩევა. იმ სკოლებში, სადაც 500 მოსწავლეზე მეტი სწავლობს, სამეურვეო საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრა ექვსი მასწავლებლის, ექვსი მშობლისა და ერთი მოსწავლის შემადგენლობით. იქ, სადაც მოსწავლეთა რაოდენობა 500 არ აღემატება, საბჭოში შევლენ სამი მასწავლებელი, სამი მშობელი და ერთი მოსწავლე. სამეურვეო საბჭოებში მოსწავლეთა წარმომადგენლების არჩევნები მიმდინარე წლის სექტემბერში გაიმართება.

არჩევნების მსვლელობის პროცესს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები დააკვირდებიან. სასწავლო წლის დასასრულამდე სამეურვეო საბჭოს არჩევნები საქართველოს ყველა ზოგადსაგამნანათლებლო სკოლაში ჩატარდება.

# ხორვატიის პრეზიდენტმა სანიორეში კახური ღვინო დააჭაშნიკა

ზვიად რუაძე
კახეთიდან

გუშინ კახეთის რეგიონს ხორვატიის პრეზიდენტი სტიპე მესიჩი სტუმრობდა. მას მასპინძლობას კახეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებული პეტრე ცისკარიშვილი და და პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი უწევდნენ.

უკრაინისა და ლატვიის პრეზიდენტების, ვიქტორ იუშჩენკოსა და ვაირა ვიკე-ფრაიბერგას შემდეგ, სტიპე მესიჩი მესამე პრეზიდენტია, რომელსაც ქვეყნის ხელმძღვანელობა თელავის რაიონის სოფელ სანიორეში, ბიზნესმენ ნოდარ საქუაშვილის რეზიდენციაში მასპინძლობს.

**"ჩვენ ვისაუბრეთ კახეთის როლსა და დანიშნულებაზე ქართული მეღვინეობის განვითარებაში, ასევე - იმ პრობლემებზე, რომელიც რუსეთმა შეგვიქმნა,"** - განუცხადა პეტრე ცისკარიშვილმა მედიის წარმომადგენლებს.

მისი თქმით, არ ყოფილა საუბარი ქართული ღვინის მოკლე ხანში დამკვიდრებაზე ხორვატიის ბაზარზე, თუმცა **"ორი ქვეყნის მეგობრობით მოკლე დროში ბევრის სწავლა შეიძლება"**.

**"ხორვატიის პრეზიდენტმა კახური საფერავი და რქაწითელიც დააჭაშნიკა და აღფრთოვანებას ვერ ფარავდა,"** - აღნიშნა პეტრე ცისკარიშვილმა. ხორვატიის პრეზიდენტი კახური ღვინის გარდა, ქართულ ფოლკლორსაც გაეცნო - სტუმრებისთვის კახურ "მრავალჟამიერს" ანსამბლი "წინანდალი" ასრულებდა.

დიდ სტუმრიანობას კახეთში 12 მაისსაც ელიან - საქართველოს პრეზიდენტი წინანდლის რეზიდენციაში უკრაინის და ლატვიის პრეზიდენტებს უმასპინძლებს. საუბრის ერთ-ერთი მთავრი თემა კი ამ ქვეყნებში ქართული ღვინის ექსპორტის საკითხები იქნება.

# თავისუფალი სიტყვა

FM უცნობი 98.0

*გადაცემა გადის რადიო "უცნობის" ეთერში ყოველი სამუშაო დღის 13 საათზე. გადაცემას უძღვება გაზეთ "24 საათის" ჟურნალისტი მაია ჭალაგანიძე. გადაცემის სტუმრები არიან შპს "შუქნიშნის" გენერალური დირექტორი ნიკა გაბელაია და ექსპერტი ალექსანდრე ზარიძე.*

**მ.ჭ** დღეს ჩვენი გადაცემა შეეხება ქალაქში უსაფრთხო გადაადგილებას, როგორც მძღოლებისთვის, ასევე ფეხით მოსიარულეებისთვის. აღმოჩნდა, რომ სამსახურიდან, რომელსაც უსაფრთხო მოძრაობის დარეგულირება და საგზაო ნიშნების გაკეთება ევალება ძველი სპეციალისტები გაუშვეს. ახალი ტექნოლოგიები ჯერ არ დაუნერგავთ. სულ ორი კვირაა, რაც შესაბამისი ვალდებულებები კეთილმოწყობის სამსახურმა ტრანსპორტის სამსახურს გადააბარა. როგორც ძველმა სპეციალისტებმა მითხრეს, ზოგჯერ კარგიც არის, რომ მძღოლები არსებულ ნახაზებს არ ემორჩილებიან, რადგან ხშირად ეს ავტოავარიებს გადრდაუვალს ხდის. ჩვენი გადაცემის სტუმარია ძველი სპეციალისტი ალექსანდრე ზარიძე და შპს "შუქნიშნის" გენერალური დირექტორი ნიკა გაბელაია. ძალიან გვინდოდა გადაცემაში მოგვეწვია პატრულის შესაბამის სამსახური, მაგრამ სამწუხაროდ ეს ვერ მოხერხდა.

ბ-ნო ნიკა სულ ახლახანს შეიცვალა ხელმძღვანელობა საგზაო ნიშნებისა და უსაფრთხოების სამსახურში, რა პრინციპით ყალიბდება ახალი სამსახური?

**ნ.გ** ახალი სამსახური არ ჩამოყალიბებულა. უბრალოდ, აქამდე ამ ფუნქციებს ითავსებდა კეთილმოწყობის სამსახური, ახლა ტრანსპორტის სამსახურის დაქვემდებარებაში გადავიდა.

**მ.ჭ** რამ განაპირობა ეს ცვლილება?

**ნ.გ** ეს საკითხი თავიდანვე არასწორად იქნა დაყენებული. ორი წლის წინ ტრანსპორტის საქალაქო სამსახურიდან ეს ფუნქციები კეთილმოწყობას გადაეცა. ახლა კვლავ შეიცვალა ფუნქციები.

**მ.ჭ** რა ახალი ფუნქციები შეიძინა ამ დაქვემდებარების შეცვლით?

**ნ.გ** საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება არ არის მხოლოდ შუქნიშანი და საგზაო ნიშნები, იგი უფრო დიდ სფეროს მოიცავს. აქედან გამომდინარე, ამ ყველაფრის დაგეგმარება ტრანსპორტის სამსახურში უნდა ხდებოდეს და აუცილებელია ეს ყველაფერი იყოს ერთი უწყების ხელში და არ იყოს გადანაწილებული სხვადასხვა სამსახურებში. ტრანსპორტის სამსახური აპირებს მომავალი წლიდან ერთიანი სატრანსპორტო სქემის შემუშავებას. ალბათ ამას მოყვება უკვე საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კვლევაც.

**მ.ჭ** თქვენი შპს რა დოზით მიიღებს მონაწილეობას ამ სქემის ჩამოყალიბებაში?

**ნ.გ** აქამდე 30 წლის განმავლობაში შპს შუქნიშანი იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში და მოიცავდა მთელ საქართველოს. 1997-98 წლებში ის გადავიდა მერიის დაქვემდებარებაში და მხოლოდ თბილისს ემსახურება. ქალაქში 2004 წლიდან დავიწყეთ ახალი შუქნიშნების დამონტაჟება.

**მ.ჭ** რა სტანდარტებით ხდება შუქნიშნების დაყენება თბილისში?

**ნ.გ** ძველი თანამშრომლებიდან ვიცი, რომ ადრე 250 შუქნიშანი იდგა ქალაქში. დღეისთვის 130 ადგილას დგას შუქნიშანი.

**მ.ჭ** რამ განაპირობა შემცირება?

**ნ.გ** 2004 წელს 250 შუქნიშანიდან ქალაქში მხოლოდ 16 მუშაობდა. წლების განმავლობაში ამ სფეროში არაფერი გაკეთებულა. ასე თუ ისე, იხაზებოდა ქალაქი და ისიც ისეთი საღებავით, რომ მალევე იშლებოდა.

**მ.ჭ** რაიმე კვლევას თუ აწარმოებთ?

**ნ.გ** ჩვენ არა. ამისთვის არსებობდა ორი ინსტიტუტი. ერთი მოსკოვში და ერთიც თბილისში. ეს კვლევითი ინსტიტუტი აკეთებდა მეცნიერულ გათვლებს.

**მ.ჭ** ბოლო კვლევა როდის გაკეთდა?

**ნ.გ** ჩვენ ამ სამსახურთან თანამშრომლობა გასულ წელს დავიწყეთ და რამდენიმე გათვლაც გავაკეთებინეთ.

**მ.ჭ** ბ-ნო ალექსანდრე როგორც მე ვიცი, შუქნიშნებთან დაკავშირებით, თქვენ გარკვეული შენიშვნები გაგაჩნიათ...

**ა.ზ** ეს პრობლემა დღესდღეობით ძალიან მწვავედ დგას თბილისში. ყოველდღე იზრდება მანქანების რაოდენობა, თუმცა არ იზრდება ქუჩების რაოდენობა. ამას გარდა, ქუჩები სავალალო მდგომარეობაშია. რომ ავიღოთ დავით აღმაშენებლის გამზირი, თუკი იგი ადრე ნებისმიერ ნაკადს აკმაყოფილებდა დღეს ველარ აკმაყოფილებს. დღეს არის საგანგებო მდგომარეობა. მინდა ბატონ ნიკას ვთხოვო, რომ ზოგიერთ ადგილას მოიხსნას შუქნიშანი. უნდა გაკეთდეს კვლევა და დაითვალოს, რა რაოდენობის ნაკადი გადადის გადასასვლელებზე.

# შერიგების გზა დსთ-დან გამოსვლაზე გადის

პირველი გვერდიდან

ოპოზიცია (და თითქმის მთელი საზოგადოება) ძალიან მტკივნეულად რეაგირებს იმაზე, რომ სამართალდამცავების მიერ ბოლო პერიოდში ჩატარებული არაერთი სპეცოპერაცია ლეტალური შედეგით დასრულდა. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტებს ნინო ბურჯანაძისგან მიღებული აქვთ დავალება, რომ ამ გახმაურებულ ფაქტებზე იმსჯელონ და მას შესაბამისი ინფორმაცია მიაწოდონ. ამავე დროს, პარლამენტის თავმჯდომარე გამოდის ინიციტივით, რომ დაიხვეწოს კანონმდებლობის ის ნაწილი, რომელიც სპეცსამსახურების საქმიანობას შეეხება.

**"ძალა მხოლოდ იმ მოცულობით უნდა იყოს გამოყენებული, რომ სამართალდამცავებმა თავისი ფუნქცია ნორმალურად შეასრულონ,"** - მოითხოვს პარლამენტის სპიკერი.

თუმცა, საეჭვოა, ზემოთ დასახელებულმა "დაზავების პირობებმა" ოპოზიციას აზრი შეუცვალოს და პლენარულ სხდომებზე დაბრუნება გადააწყვეტინოს. ოპოზიციონერი დეპუტატები მიიჩნევენ, რომ ხელისუფლება თვალთმაქცობს და ცდილობს შექმნას შთაბეჭდილება, თითქოს, პოლიტიკურ ოპონენტებთან საქმიან დიალოგს აწარმოებს, რეალურად კი არაფერს აკეთებს მემორანდუმში ჩამოყალიბებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ამიტომ, ოპოზიციური ფრაქციების ლიდერები ბოიკოტის შეწყვეტაზე არც კი ფიქრობენ.

მაგრამ არის თემა, რომელმაც შესაძლოა, ვითარება რადიკალურად შეცვალოს: დსთ-დან გამოსვლის პროცედურების დაწყების შემთხვევაში, ოპოზიცია მზად არის, პროტესტი "გვერდზე გადადოს" და საკითხის განხილვაში მიიღოს მონაწილეობა.



ნინო ბურჯანაძე ბიუროს გუშინდელ სხდომაზეც შეეცადა სამი ოპოზიციური ფრაქციის "შემორიგებას".

ამასობაში კი, პარლამენტისა და საპარლამენტო უმრავლესობის ხელმძღვანელობა უკვე ღიად ადასტურებს, რომ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების "კავშირიდან" საქართველოს გამოსვლის პოლიტიკური მზაობა ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში ნამდვილად არსებობს და ამ საქმის ბოლომდე მიყვანა მხოლოდ დროის საკითხია.

**"ახლა ვსწავლობთ იმას, დსთ-ში შემავალ ქვეყნებთან რა სახის დამატებითი ორმხრივი ხელშეკრულებების გაფორმება დაგვჭირდება. საგარეო საქმეთა სამინისტროს ეს სამუშაო თითქმის დასრულებული აქვს. ამის მერე მთავრობა და პრეზიდენტი შეარჩევენ დროს, როდესაც გადაწყვეტილების მიღება პოლიტიკურად და ეკონომიკურად უფრო მომგებიანი იქნება,"** - აცხადებს პარლამენტის ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი.

ასე რომ, ხელისუფლებისა და ოპოზიციის შერიგების გზა, როგორც ჩანს, მხოლოდ დსთ-დან საქართველოს გამოსვლაზე გადის.

# 52 მილიონი ღატაკებისთვის

*საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული ახალი პროგრამის პირველი ეტაპი დასრულებულია. უკიდურესად ღატაკების დახმარებისთვის აღებული "გეზი" პირველი ივნისიდან ამოქმედდება. სახელმწიფო პროგრამის თანახმად, დახმარება ისეთ ოჯახებს გაეწევა, რომლებიც უკიდურეს სიღატაკეში იმყოფებიან და შიმშილს განიცდიან. წინასწარი გათვლებით, ახალ პროგრამაში მოხვედრის შანსი 22-ლარიან საოჯახო დახმარების მქონე ბენეფიციარების მხოლოდ 65-70 პროცენტს ექნება.*

თამარ ქადაგიძე

**"სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს გადაწყვეტილებით, პირველი ივნისიდან, საქართველოს 45 ათასი უკიდურესად გაჭირვებული მოქალაქე მიიღებს სახელმწიფოსგან ყოველთვიურ დახმარებას",** - განაცხადა დასაქმების სახელმწიფო სააგანეტოს ხელმძღვანელმა ლევან ფერაძემ. ცნობილია, რომ ოჯახს "სარეიტინგო (გამსვლელი) ქულის" დადგენა, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ამსახლევი კითხვარის შევსების შემდეგ ხდება. პირველ ეტაპზე "ოჯახის კეთილდღეობის ინდექსი" 40 001 ქულას შეადგენს, ანუ ის 45 000 ოჯახი, რომლებიც დახმარებას ივნისის თვიდან მიიღებენ, სიღატაკის დადგენილ ზღვარს ქვემოთ არიან.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილის ვახტანგ მეგრელიშვილის თქმით, **"დასაქმების სააგენტოში დღეისთვის უკვე დამუშავებულია 330 ათასი სოციალურად დაუცველი პირის მონაცემი. დახმარებას ამ ეტაპზე მხოლოდ 45 ათასი ოჯახი მიიღებს. დახმარების მინიმალური ოდენობა 38 ლარია. თანხა ოჯახის წევრთა რაოდენობის მიხედვით გაიზრდება."** მაგალითად, ერთსულიან ოჯახი თუ 38 ლარს მიიღებს, ორსულიანს 55 ლარი ერგება. სამსულიანი ოჯახი ყოველთვიურად 70 ლარიან დახმარებას მიიღებს, ხოლო ოთხსულიანზე 85 ლარის გაცემაა გათვალისწინებული. ხუთსულიანი ოჯახი- 100 ლარს, ექვსსულიანი -115-ს, შვიდსულიანი - 125. ხოლო, უფრო მრავალსულიან ოჯახებს ყოველ შემდგომ წევრზე 10 ლარი დაემატება.

გარდა ამისა, სახელმწიფო ვალდებულებას იღებს, რომ სოციალურად დაუცველ 250 ათას ადამიანს შეღავათები დაუწესოს ელექტროენერგიის საფასურის გადახდისასაც. **"საქართველოში მოქმედ ელექტროგამანაწილებელ კომპანიებს ჯანდაცვის სამინისტრო საცხოვრებელი ადგილის მიხედვით გადასცემს სოციალური დახმარებისა და დასაქმების სააგენტოში აღრიცხვაზე მყოფ ბენეფიციართა სიებს. ენერგეტიკის სამინისტრო საჭირო რაოდენობით თანხას გადაურიცხავს სადისტრიბუციო კომპანიებს და მოსახლეობა დენის გადასახადს 0,12-ლარიანი ტარიფით გადაიხდის. რაც შეეხება ტარიფის გაზრდილ რაოდენობას, 0,12 ლარს ზემოთ გადასახადს სახელმწიფო დაფარავს,"** - განაცხადა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში მინისტრის მოადგილემ ვახტანგ მეგრელიშვილმა.

ღარიბების დახმარების პროგრამას სახელმწიფო პერმანენტულად განაგრძობს. დახმარების შემდეგი ეტაპი მიმდინარე წლის სექტემბერში განხორციელდება. **"პროგრამის განსახორციელებლად საჭირო თანხის ოდენობა 52 მილიონი ლარია. პირველი ეტაპისთვის შეუძლებელი იყო დავხმარებოდით ყველას, ვინც განცხადება შემოიტანა. სექტემბრის თვიდან გაიზრდება იმ პირთა რაოდენობა, ვინც სახელმწიფოსგან სოციალურ დახმარებას მიიღებს,"** - აღნიშნა ვახტანგ მეგრელიშვილმა.

სექტემბრიდან "სარეიტინგო ქულის" ახალი, გაზრდილი მაჩვენებელიც დადგინდება, რაც იმას ნიშნავს, რომ დახმარებას მიიღებენ ის ოჯახებიც, რომელთა სარეიტინგო ქულაც 40 001-ს აღემატება, ანუ სოციალურად შედარებით უკეთეს მდგომარეობაში არიან. ზღვრული ქულის გაზრდა პროგრამის განხორციელების მესამე ეტაპზე, დეკემბერშიც იგეგმება.




## მოკლედ

### ყაზახური ნავთობი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის საშუალებით გაივლის

შეთანხმებას, "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის" მილსადენის საშუალებით ყაზახური ნავთობის ტრანსპორტირებაზე, აზერბაიჯანისა და ყაზახეთის მთავრობებს შორის ხელი ივნისის მეორე ნახევარში მოეწერება. ამის შესახებ ყაზახეთის პრემიერ-მინისტრმა დანიალ ახმეტოვმა განაცხადა. "შეთანხმებაზე მოლაპარაკებები მაისის ბოლომდე დასრულდება. ვიმედოვნებ, რომ ივნისის მეორე ნახევარში ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ აღნიშნულ შეთანხმებას ქვეყნების ხელმძღვანელებმა ხელი მოაწერონ," - განაცხადა მან.

მისივე თქმით, შეთანხმებასთან დაკავშირებით, მხარეებს პრობლემური საკითხები არ გააჩნიათ. არსებობს მხოლოდ ტექნოლოგიური ხასიათის საკითხები, რომლებიც მიმდინარე თვის ბოლომდე აუცილებლად გადაწყდება.

აღნიშნული შეთანხმება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენით 25 მილიონი ტონა ყაზახური ნავთობის ტრანსპორტირებას ითვალისწინებს. საწყის ეტაპზე გათვალისწინებულია 7, 5 მილიონი ტონა ყაზახური ნავთობის ტრანსპორტირება.

"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის" ნავთობსადენის სიგრძე 1,767 კილომეტრია, აქედან 443 კმ - აზერბაიჯანზე, 248 კმ - საქართველოზე და 1,076 კმ თურქეთზე მოდის. მილსადენს წელიწადში 50 მილიონი ტონა ნავთობის გატარება შეუძლია.

*ჯი-ეიჩ-ენი*

### ნიუ-იორკში ადამიანის უფლებათა დაცვის საბჭოს არჩევნები გაიმართება

დღეს ნიუ-იორკში, გაერო-ს შტაბ-ბინაში ადამიანის უფლებათა დაცვის საბჭოს არჩევნები გაიმართება. 47 ადგილისთვის პრეტენზიას 65 სახელმწიფო აცხადებს.

აღსანიშნავია, რომ ყველაზე სერიოზული "ბრძოლა" აღმოსავლეთ ევროპის ჯგუფში გაიმართება, სადაც 6 ადგილის დასაუფლებლად ორჯერ მეტი, 13 განაცხადია წარმოდგენილი. სწორედ აღნიშნულ ჯგუფში მოსახვედრად პრეტენზიას საქართველოც აცხადებს, რომელსაც კონკურენციას მეზობელ ქვეყნებთან, აზერბაიჯანთან, სომხეთთან და რუსეთთან ერთად, ალბანეთი, უნგრეთი, ლატვია, ლიტვა, პოლონეთი, რუმინეთი, სლოვენია, უკრაინა და ჩეხეთის რესპუბლიკა უწევენ. უკრაინა, საქართველო და ლატვია ერთ-ერთი პირველები იყვნენ იმ სახელმწიფოთა შორის, რომლებმაც ადამიანის უფლებათა დაცვის საბჭოს წევრობის პრეტენზია გამოთქვეს.

დასავლეთ ევროპული და დანარჩენი ქვეყნების ჯგუფში 7 ადგილია გამოყოფილი, სადაც განაცხადი აშშ-ს, კანადასა და ისრაელთან ერთად 9 ევროპულმა ქვეყანამაც შეიტანა, ლათინურ ქვეყნებში 8 ადგილზე - 11, აფრიკაში 13 ადგილზე - 14, ხოლო აზიაში 13 ადგილზე - 18 სახელმწიფო აცხადებს პრეტენზიას. გაერო-ს ადამიანის უფლებების საბჭომ ადამიანის უფლებების კომისიისგან მემკვიდრეობად მიიღო დამოუკიდებელი გამოძიებისა და სამოქალაქო საზოგადოების ფართო მონაწილეობითი ინსტიტუტები, რაც გულისხმობს, რომ საბჭოს მუშაობის პროცესში მინაწილეობას მიიღებენ არასამთავრობო ორგანიზაციები. გაერო-ს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარი ქალბატონი ლუიზა არბური მიესალმება საბჭოს შექმნას და მას მიიჩნევს "ისტორიულ შანსად მსოფლიოში ხალხთა უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვისა და მხარდაჭერის საქმის გაუმჯობესებისათვის". ადამიანის უფლებათა დაცვის საბჭოს შექმნის შესახებ გადაწყვეტილება 2005 წლის გაეროს სამიტზე მიიღეს. საბჭოს პირველი სხდომა 2006 წლის 19 ივნისს შედგება.

*ჯი-ეიჩ-ენი*

### ნორვეგიის სახელმწიფო მდივანი საქართველოში

ნორვეგიის სახელმწიფო მდივანი და საგარეო საქმეთა მინისტრი კემილ სკოგრანდი კავკასიური ტურნეს ფარგლებში გუშინ საქართველოს ეწვია. თბილისში სახელმწიფო მდივანი ბაქოდან ჩამოვიდა, სადაც იგი აზერბაიჯანის პრეზიდენტს ილჰამ ალიევს შეხვდა. კემილ სკოგრანდი შეხვდა საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს. ნორვეგიის სახელმწიფო მდივნის და საგარეო საქმეთა მინისტრის კემილ სკოგრანდის კავკასიური ტურნეს მიზანი რეგიონალური თანამშრომლობის განმტკიცებაა.

*ჯი-ეიჩ-ენი*

### მარკ სოფერი თბილისში

დღეს თბილისს ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური დირექტორის მოადგილე მარკ სოფერი სტუმრობს. იგი შეხვდება საქართველოს პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლებს. ისრაელელი დიპლომატის საქართველოში ვიზიტის მიზანია გაეცნოს იმ ქვეყანას, რომელსაც იგი ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროში კურირებს. მარკ სოფერი დღეს ჟურნალისტებისთვის პრესკონფერენციასაც გამართავს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

24 საათი: მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი

ჯეოსელი GEOCELL

გილოცავთ გამარჯვების დღეს!!!



9 მაისი

www.geocell.ge

# აშშ რუსეთთან სალაპარაკოდ სიტყვებს არჩევს

პირველი გვერდიდან

ბუში ასევე შეეხო რუსეთის "ეკონომიკური ნაციონალიზმის" საკითხს. მისი აზრით, რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი **"ენერგოკომპანიებს იყენებს პოლიტიკური მიზნების მისაღწევად"**.

აშშ-ს პრეზიდენტმა აღნიშნა იმის შესახებ, რომ მისმა ქვეყანამ აშშ-ს სახელმწიფო მდივნის კონდოლიზა რაისის სახით შეშფოთება გამოთქვა რუსეთის მიერ უკრაინისთვის გაზის მიწოდების საკითხთან დაკავშირებით.

მისივე განმარტებით, ვაშინგტონი მოსკოვს იმ ფორმით აკრიტიკებს, რომ შესაძლებელი იყოს პრეზიდენტ პუტინთან კონსტრუქციული დიალოგის გაგრძელება.

ბუშმა ასევე აღნიშნა, რომ რუსეთი აღარ არის აშშ-სთან დაპირისპირებული ქვეყანა და მას რუსეთის პრეზიდენტთან "თბილი" პირადი ურთიერთობები აკავშირებს.

პრეზიდენტმა ბუშმა აშშ-სა და რუსეთს შორის აქტიური თანამშრომლობის საკითხებს შორის დაასახელა ატომური იარაღის გაუვრცელებლობისა და ტერორიზმთან ბრძოლის სფეროები. მან ასევე ირანის ატომური პროგრამის საკითხებზე ორივე მხარის თანამშრომლობის აუცილებლობაზე გაამახვილა ყურადღება.

გასულ ხუთშაბათს, ბალტიისა და შავი ზღვის ქვეყნების ვილნიუსის სამიტზე, აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტმა დიკ ჩეინიმ რუსეთი ენერგომატარებლების შანტაჟისათვის გამოყენებაში და დემოკრატიის პრინციპებიდან გადახვევაში დაადანაშაულა. **"რუსეთმა არჩევანი უნდა გააკეთოს. არ გვჯერა, რომ რუსეთი განწირულია ჩვენი მტერი გახდეს,"** - განაცხადა დიკ ჩეინიმ. მან რუსეთის პრეზიდენტი გააფრთხილა იმის თაობაზე, რომ მოსკოვის ანტიდემოკრატიული ქმედებები შესაძლოა მის საერთაშორისო ურთიერთობებზე უარყოფითად აისახოს.

პრესამ ჩეინის გამოსვლა ჩერჩილის ცნობილ "ფულტონის სიტყვას" შეადარა, რომლითაც, ფაქტობრივად, "ცივი ომი" დაიწყო. კვირას დიკ ჩეინიმ NBC-სთვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ მისი ვილნიუსის გამოსვლა "საკმაოდ აკურატულად" იყო ფორმულირებული და არ იყო ყველაზე რადიკალური იმ გამოსვლებში, რომლებიც ვილნიუსში ჟღერდა.

მას ეჭვი ეპარება იმაში, რომ კრიტიკა რუსეთს და აშშ-ს დააშორებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ირანის ბირთვული პროგრამის საკითხი განიხილება. **"რუსეთის გარიყვის არანაირი სურვილი არ გვაქვს. მაგრამ მეგობრებს სიმართლე უნდა ვუთხრათ. პრეზიდენტს კარგი ურთიერთობა აქვს პრეზიდენტ პუტინთან, ისინი კარგად უგებენ ერთმანეთს, ძალიან გულახდილ დისკუსიებს მართავენ,"** - აღნიშნა ჩეინიმ.

ჩეინი დარწმუნებულია, რომ ივლისში სანკტ-პეტერბურგში დაგეგმილ "დიდი რვიანის" სამიტზე ეფექტური დიალოგი შეგდება. **"იდეების თავისუფალი და ღია გაცვლა "რვიანის" ლიდერთა შორის, რუსეთის ჩათვლით, საერთო ჯამში პოზიტიური და ჯანსაღი იქნება. მიმაჩნია, რომ ის უნდა შედგეს,"** - აღნიშნა აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტმა.

რუსეთის მხარის რეაქცია ჩეინის ვილნიუსში გაკეთებულ განცხადებებზე საკმაოდ მკაცრი აღმოჩნდა. აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტი ცუდად არის ინფორმირებული რუსეთში არსებული სიტუაციის შესახებ, - ვარაუდობს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი. მისი თქმით, ჩეინის სიტყვები იმის შესახებ, რომ **"დღეს რუსეთში რეფორმების მოწინაალმდეგეები 90-ანი წლების მონაპოვრის უკან შეტრიალებას და ლიკვიდირებას ცდილობენ"**, მთლიანად საფუძველს მოკლებულია.

ასევე უარყოფს რუსეთი ბრალდებებს ენერგომატარებლებით შანტაჟთან დაკავშირებით. **"ბოლო 40 წლის განმავლობაში არც სსრკ-ს და არც რუსეთის ფედერაციას, საზღვარგარეთ გაზისა და ნავთობის მიწოდებაზე არც ერთი კონტრაქტი არ დაურღვევია,"** - აღნიშნა ლავროვმა.

იმავდროულად, ენერგოშანტაჟთან დაკავშირებულ ბრალდებებს რუსეთის ენერგეტიკის მინისტრი ვიქტორ ხრისტენკოც უარყოფს. **"რუსეთში დიდი ხანია დასრულდა საბჭოური პოლიტიკის ერა, რომელიც მეზობელი ქვეყნებისთვის ენერგორესურსებზე შეღავათების დაწესებას ითვალისწინებდა. რუსეთი საბაზრო ეკონომიკის ქვეყანაა. დროა, დასავლეთმა აღიაროს და დააკანონოს მისი ახალი და უფრო მნიშვნელოვანი როლი მსოფლიო ბაზარზე,"** - აცხადებს ხრისტენკო გავლენიან ბრიტანულ გამოცემა "ფაინენშლ თაიმს"-ისთვის მიცემულ ინტერვიუში. ხრისტენკოს თქმით, რუსეთის ენერგეტიკული პოლიტიკა "დიდი რვიანის" სამიტზე იქნება განხილული.

რუსეთი აპირებს "უფრო მნიშვნელოვანი როლის" საყოველთაო აღიარებისათვის სწორედ ამ სამიტზე იბრძოლოს.

# რეფორმები და შეთქმულება

დიდ ბრიტანეთში გასული კვირის ბოლოს ხელისუფლების მაღალ ეშელონებში განხორციელებული საკადრო ცვლილებები ეჭვების საფუძველი გახდა, ერთ-ერთი მოსაზრება კი მათ შორის, რომელიც ყველაზე მეტად აქტუალური გამოდგა, "ლეიბორისტული პარტიის" მემარცხენე ფრთის მიერ ტონი ბლერის წინააღმდეგ შეთქმულების მზადებაა. ყოველ შემთხვევაში, ამ იდეაზე უკვე ხმამაღლა საუბრობს ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრი, რომელიც საკადრო ცვლილებამდე თავდაცვის უწყებას ხელმძღვანელობდა. ჯონ რიდის აზრით, "ლეიბორისტების" მემარცხენე ძალებს პრემიერ-მინისტრის მიერ წამოწყებული რეფორმების რეკლამირება სურთ.

**"მაგრამ ისინი გამარჯვებას ვერ მიაღწევენ. ამ პარტიას უკვე უკან დასახევი გზა აღარ დარჩა"**, - აღნიშნა რიდმა "ბი-ბი-სი"-სთვის მიცემულ ინტერვიუში.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პარლამენტის მმართველი პარტიის დაახლოებით 50 წევრმა უკვე მიმართა ბლერს წერილით, სადაც მას პრემიერ-მინისტრის პოსტის დატოვების ზუსტი თარიღის დასახელება მოსთხოვა. ამასთან დაკავშირებით მოგვიანებით გამართულ პრესკონფერენციაზე კი ტონი ბლერმა განაცხადა, რომ არ აპირებს ზუსტი თარიღის დასახელებას, რადგან ამან შესაძლოა ქვეყანაში სამთავრობო კრიზისი გამოიწვიოს.

**"დაუშვებელია, რომ მე ზუსტი თარიღი დავასახელო, დიდი ბრიტანეთს ახლა სამთავრობო კრიზისი არ სჭირდება"**, - თქვა პრემიერ-მინისტრმა.

დიდი ბრიტანეთის პოლიტიკურ წრეებში ბლერის ყველაზე სავარაუდო პოლიტიკურ მემკვიდრედ ფინანსთა მინისტრი გორდონ ბრაუნი მიაჩნიათ. ანალიტიკოსთა ნაწილი კი ფიქრობს, რომ ბლერისა და ბრაუნის ურთიერთობები არცთუ ისე მარტივი ასახსნელია.

რაც შეეხება პრემიერის წინააღმდეგ შეთქმულებას, როგორც თავად ბრაუნმა აღნიშნა, მისი განხორციელების შემთხვევაში ეს იქნებოდა "გზა კატასტროფისკენ".

**"მე უკვე დიდი ხანია, რაც პოლიტიკურ საქმიანობას ვეწევი და უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში არაერთხელ გავმხადვარ მოწმე "ლეიბორისტული პარტიის" მარცხისა, რასაც შემდეგ რადიკალთა მიერ ხელისუფლების სადავეების ხელში ჩაგდება მოჰყვებოდა ხოლმე. ამჯერად ეს არ უნდა დაუშვას ზომიერმა ფრთმა, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება კატასტროფამდე მივიდეთ. ხალხს ერთიანობა სურს და ისეთმა პოლიტიკოსებმა, როგორიც მე ვარ, ქვეყანა საფრთხის წინაშე არ უნდა დააყენონ, პირიქით პროგრესის პარალელურად ერთიანობის შენარჩუნებისთვის იბრძოლონ"**, - განაცხადა გორდონ ბრაუნმა.

ბრაუნის განცხადებას - "ლეიბორისტულ პარტიაში" ერთიანობის შენარჩუნების შესახებ ეთანხმება ჯონ რიდიც. იგი მიიჩნევს, რომ პრემირ-მინისტრმა პოსტი არ უნდა დატოვოს, რადგან არჩევნებში მას ხალხმა დაუჭირა მხარი და პირობის შესრულება უნდა შეძლოს.

პოლიტიკურ ასპარეზზე დიდ ცვლილებებს, რასაკვირველია, შესაბამისი ასახვა ბრიტანული პრესის ფურცლებზეც აქვს. ყველა წამყვანი გაზეთის თავფურცელზე სტატიები, სწორედ, მმართველ პარტიაში განხეთქილებას ეძღვნება.

როგორც გავლენიანი გაზეთი "ინდეფენდენთი" წერს, ბლერის მომხრეებმა ბრაუნის მხარდამჭერები და "ლეიბორისტული პარტიის" მემარცხენე ფრთა გადატრიალების მცდელობაში დაადანაშაულეს. თანაც ამ პერიპეტიების ფონზე ორივე ბანაკი ფიქრობს, რომ კულისებს მიღმა ბრძოლა შესაძლოა აშკარა გახდეს და მთელ პარტიას გაუფუჭოს რენომე.

**"თაიმს"-ის სარედაქციო წერილში კი ბლერის განცხადება გამართლებულია, რადგან მის გადადგომას, შეიძლება მართლა სერიოზული უარყოფითი შედეგები მოყვეს. "ბრაუნმა უნდა შეძლოს შეთანხმების მიღწევა - ეს მისთვისაც კარგი იქნება და მთლიანად ქვეყნისთვისაც"**, - წერს "თაიმს"-ი.

კონსერვატიული "დეილი ტელეგრაფი" კი ყოველგვარი შელამაზების გარეშე აღშნინავს, რომ ამჯერად მმართველი პარტიის კრიზისი ბლერის კარიერის დასასრულია.

"ბლერმა, შესაძლოა, ცოტა ხნით კიდევ შეინარჩუნოს პოსტი, მაგრამ სასიკვდილო დარტყმა მისთვის უკვე მიყენებული აქვთ და თუ მას ადრე უფრო მეტი შანსი ჰქონდა კარიერის გადარჩენის, ახლა უკვე დიდი ძალისხმევაც ვერ უშველის", - აცხადებს "დეილი ტელეგრაფი".

"გარდიან"-ი კი ყურადღებას უშუალოდ საკადრო ცვლილებებზე აჩერებს და მას არა პროფესიული ნიშნით გამართლებულ გადაწყვეტილებად მიიჩნევს, არამედ პირადი დამოკიდებულებებით განსაზღვრულ ნაბიჯად აფასებს.

რაც შეეხება საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან ჯეკ სტროს გადაყენებას, "გარდიან"-ი ამას თეთრი სახლის გავლენით ხსნის, როგორც ეს სტროს წინამორბედის რობინ კუკის შემთხვევაში მოხდა.

*24 საათი*

# ირანის პრეზიდენტის წერილი ჯორჯ ბუშისადმი

პირველი გვერდიდან

საყურადღებოა, რომ აშშ-სა და ირანს არ აქვთ დიპლომატიური ურთიერთობა 1980 წლიდან. შეგახსენებთ, ოფიციალურმა ვაშინგტონმა გაწყვიტა კავშირი თეირანთან მას შემდეგ, რაც ირანელმა სტუდენტებმა აშშ-ს საელჩოს ოკუპაცია მოახდინეს და 52 ამერიკელი მძევალი აიყვანეს.

როგორც ცნობილია, დასავლეთი ირანისგან ურანის გამდიდრების პროგრამის შეწყვეტას სთხოვს, რადგან მიაჩნია, რომ ისლამური რესპუბლიკა ბირთვული იარაღის შექმნას ისახავს მიზნად, თუმცა ოფიციალური თეირანი დაჟინებით აცხადებს, რომ მას გამდიდრებული ურანი სამოქალაქო მიზნებისათვის სჭირდება და პროგრამის შეწყვეტაზე უარს აცხადებს. კვირას ირანის პარლამენტმა ბირთვული გაუვრცელებლობის ხელშეკრულებიდან გამოსვლის შესაძლებლობაც კი წამოაყენა.

გასულ კვირას, აშშ-მ გაეროს უშიშროების საბჭოს მიმართა თხოვნით, რომ მიიღოს მკაცრი ზომები ირანის წინააღმდეგ, რადგან ეს უკანასკნელი დათმობაზე წასვლას არ აპირებს. უშიშროების საბჭოს წევრი ქვეყნების დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, აშშ-ს, რუსეთისა და ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრები გერმანიის ჩათვლით, რომელიც უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი არ არის, გუშინ შეხვდნენ ნიუ-იორკში და განიხილეს ირანის საკითხი, კერძოდ, ის, თუ რა ნაბიჯები იქნება მიღებული შემდგომში ისლამური რესპუბლიკის წინააღმდეგ. აღნიშნული შეხვედრა წარმოადგენს კიდევ ერთ მცდელობას, მიღწეული იქნეს ამ ქვეყნებს შორის კომპრომისი ირანის საკითხთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ უშიშროების საბჭოს 6 მაისის შეხვედრაზე არ იქნა მიღებული რეზოლუციის პროექტი, რომელსაც საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, აშშ და გერმანია უჭერდა მხარს. ეს ქვეყნები მოითხოვენ რეზოლუციის პროექტში ჩართული იქნეს გაეროს წესდების მე-7 მუხლი, რომელიც საერთაშორისო სანქციებს და ასევე სამხედრო ზეწოლას ითვალისწინებს იმ ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებიც საერთაშორისო საზოგადოებას საფრთხეს უქმნიან. რაც შეეხება რუსეთსა და ჩინეთს, მათ ვეტოს უფლება გამოიყენეს და რეზოლუციის პროექტი დაბლოკეს. რუსული მხარის განცხადებით, აღნიშნული დოკუმენტი კორექტირებას საჭიროებს.

ნიუ-იორკის შეხვედრამდე უშიშროების საბჭოს წევრებს შორის სატელეფონო საუბრები მიმდინარეობდა უმაღლეს დონეზე. გერმანიის ფედერაციის კანცლერი ანგელა მერკელი მოლაპარაკებებს აწარმოებდა საფრანგეთის პრეზიდენტთან ჟაკ შირაკთან და რუსეთის ლიდერთან ვლადიმირ პუტინთან, ხოლო აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი კი ტელეფონით ესაუბრა თავის რუს კოლეგას, სერგეი ლავროვს.

ანგელა მერკელი და ჟაკ შირაკი ერთსულოვნად იზიარებენ მოსაზრებას, რომ გაერო-ს უშიშროების საბჭომ უნდა მიიღოს რეზოლუცია, რომელიც მაგატე-ს მისცემს შესაძლებლობას, განახორციელოს თავისი მიზნები და აიძულოს ირანი, შეაჩეროს ბირთვული პროგრამა. რაც შეეხება საუბრის დეტალებს პუტინსა და გერმანიის კანცლერს შორის, ის დღემდე უცნობი რჩება. არ იქნა ასევე გამოქვეყნებული ლავროვსა და რაისს შორის საუბრის შინაარსი.

ამერიკის პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის განცხადებით, გერმანიას დიდი როლი უკავია ირანის ბირთვული პრობლემის მოგვარებაში. 4 მაისს, აშშ-ს პრეზიდენტთან შეხვედრისას, გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა განაცხადა, რომ ვაშინგტონი და ბერლინი სრულ თანხმობაში არიან, ხელი შეუშალონ ირანს ურანის გამდიდრების პროგრამის გაგრძელებაში.

ირანის პრეზიდენტი, მაჰმუდ აჰმადინეჯადი დასავლეთის ქვეყნებისადმი მეტად რადიკალურ განცხადებებს აკეთებს რეზოლუციასთან დაკავშირებით: **"ჩვენ არ გვეშინია დსავლეთის მუქარის და საჭირო დროს მას შესაბამის პასუხს გავცემთ,"** - განაცხადა ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ირანის გენერალიტეტის წინაშე. მან ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი იმ ფაქტს, რომ ირანის წინააღმდეგ არანაირ რეზოლუციას არ ცნობს: **"ასეთი რეზოლუცია ჩვენთვის არანაირ დოკუმენტაციას არ წარმოადგენს მაშინ, როცა საერთაშორისო ორგანიზაციები საერთაშორისო სამართლის პრინციპებს არღვევენ და მათი რეზოლუციები ირანის ეროვნულ ინტერესებს ემუქრება."**

აშშ-ს პრეზიდენტი ერთხელ კიდევ უსვამს ხაზს იმ ფაქტს, რომ ირანი საერთაშორისო საზოგადოებისათვის საფრთხეს წარმოადგენს და აღნიშნავს: **"თუ თეირანი მზად არის, გაანადგუროს ისრაელი, მაშინ ის მზად იქნება, გამოვიდეს სხვა ქვეყნების წინააღმდეგაც. ეს მეტად მნიშვნელოვნი მომენტია მაშინ, როცა მსოფლიოს ყველა ქვეყნის წარმომადგენელი უნდა შეიკრიბოს და ეს საკითხი დიპლომატიური გზით გადაწყვიტოს, რადგან შემდგომში სხვა ამგვარი მიზნებით შეპყრობილმა სახელმწიფომ, რომელიც სხვებისთვის ზიანის მიყენებას გადაწყვეტს, იცოდეს, რომ ის საერთაშორისო საზოგადოებისაგან მკაცრ პასუხს მიიღებს"**.

ირანის პრეზიდენტის წერილმა შესაძლოა, ამერიკა დროებით შეაჩეროს და ერთი ნაბიჯით უკან დასწიოს. აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტმა დიკ ჩეინიმ განაცხადა, რომ აშშ-მ უნდა წარმართოს სწორი დიალოგი თეირანთან. პრეზიდენტ ბუშის განცხადებით, საკითხის დიპლომატიური გზით მოგვარება, თუნდაც ამ ეტაპზე, სრულიად შესაძლებელია: **"ჩემი სურვილია და მე მჯერა, რომ ჩვენ ამ საკითხის დიპლომატიური გზით მოგვარებას შევძლებთ"**.

# სიცოცხლის შენარჩუნებაზე ორიენტირებული კანონი

ცოტა ხნის წინ საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში განხილული და მოწონებული სასაზღვრო პოლიციის კანონპროექტის პრეზენტაცია "ქორთიარდ მარიოტში" გაიმართა. შეგახსენებთ, რომ ამ კანონპროექტის მიხედვით, საზღვრის დაცვის დეპარტამენტი თავდაცვის სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ორმაგი დაქვემდებარებიდან გამოდის და სასაზღვრო პოლიციად ყალიბდება. აღნიშნული სტრუქტურა მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს დაექვემდებარება. საომარი მდგომარეობის დროს კი შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის დაქვემდებარებაში გადავა.

ქართველ ექსპერტებთან ერთად, კანონპროექტის შემუშავების პროცესში გერმანელი სპეციალისტებიც მონაწილეობდნენ. კანონპროექტის წარდგინებას შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი, საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე ბადრი ბიწაძე, ალმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და სპეციალურად ამ ღონისძიებისთვის თბილისში ჩამოსული, გერმანიის სასაზღვრო უწყების ხელმძღვანელი უდო ბულკჰოლდერი და ექსპერტები დაესწრნენ.

**"ამ კანონის მიღებით, საქართველო რეგიონში ერთადერთი ქვეყანა იქნება, რომელსაც დასავლური სტანდარტების შესაბამისი "სასაზღვრო პოლიციის შესახებ კანონი" ექნება. ამ კანონით, მესაზღვრე ორიენტირებული იქნება არა საზღვრის დამრღვევის ლიკვიდაციაზე, არამედ მისი სიცოცხლის შენარჩუნებაზე"**, - განაცხადა გერმანელმა სტუმარმა უდო ბულკჰოლდერმა.

გერმანიის სასაზღვრო პოლიციის უფროსის განცხადებით, კანონპროექტი მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისითაც, რომელსაც გაერო-ს ქარტია ითვალისწინებს. უდო ბულკჰოლდერი აღნიშნული პროექტის ერთ-ერთი ავტორია და როგორც თავად ამბობს, ის ევროპული სტანდარტებით და ქართული გეოგრაფიული და პოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით არის შედგენილი.

როგორც პრეზენტაციაზე განმარტეს, "სასაზღვრო პოლიციის შესახებ კანონის" მიზანია ამ უწყებისთვის სამხედრო სტრუქტურების გაუქმება და თანამედროვე სამართლებრივ-პოლიციური სტანდარტების შემოღება. კანონი კონკრეტულად განსაზღვრავს თითოეული პირის ფუნქციებს და მოქმედების წესებს. გარდა ამისა, ახალი კანონპროექტის თანახმად, მესაზღვრეთა წოდებები შეიცვლება და პოლიციური წოდებების შესაბამისი გახდება. სასაზღვრო უწყების ევროპულ სტანდარტებზე გადასვლა ეტაპობრივად განხორციელდება და სასაზღვრო უწყება პოლიციური სისტემის ნაწილი გახდება. "სასაზღვრო პოლიციის შესახებ" კანონპროექტი ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკისა და ნატოსთან ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად არის შემუშავებული.

**"საზღვრის დაცვის დეპარტამენტი აქამდე სამხედრო დანაყოფად მიიჩნეოდა. მას შემდეგ, რაც გადავწყვიტეთ, ევროპასთან ინტეგრირებული სამინისტრო გავმხდარიყავით, დღის წესრიგში დადგა დეპარტამენტის საპოლიციო სამსახურად გარდაქმნის საკითხი",** - აცხადებს შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი.

*24 საათი*

*მოკლედ*

## ქართველი "კანონიერი ქურდები" მსოფლიოს თავის ტკივილია

"ქართული მაფია არაფრით ჩამოუვარდება იტალიურ ან ამერიკულ მაფიას, "ქართველი ქურდების" სახელები ზეპირად იციან ავსტრიის, ესპანეთის და რუსეთის შს მინისტრებმა", - განაცხადა საქართველოს შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა. "იმაში, რომ "ქართველი ქურდებით" შეწუხებულები არიან ჩვენი კოლეგები, ვენაში ვიზიტისას დავრწმუნდი. "გლეხოვიჩი" ვენის პოლიციის თავის ტკივილია. ფაქტი, რომ რუსეთის შს მინისტრმა ჩემთან შეხვედრისას კალაშოვზე საუბარს 15 წუთი დაუთმო, ხოლო ესპანეთის შს მინისტრი რამდენიმე წუთი მესაუბრა ტარიელ ონიანზე, იმის დასტურია, რომ ქართული მაფია არაფრით ჩამოუვარდებოდა იტალიურ ან ამერიკულ მაფიას", - განაცხადა ვანო მერაბიშვილმა და დასძინა, რომ საქართველოს შსს-მ ამ მაფიას სერიოზული დარტყმა მიაყენა და მაფიოზები საქართველოში ჩამოსვლას ველარ ბედავენ. მისი თქმით, ქურდების ოცნებაა, დააბრუნონ ის დრო, როდესაც დღისით-მზისით ქუჩაში ხდებოდა მკვლელობები, ყაჩაღობა და ძარცვა. "ეს პერიოდი წარსულს ჩაბარდა და შსს იმ პერიოდის დაბრუნებას აღარ დაუშვებს", - განაცხადა ვანო მერაბიშვილმა. **ინტერპრესნიუსი**

## პატიმრების დასაქმების ახალი პროექტები

იუსტიციის სამინისტრო პატიმრების დასაქმების ახალ პროექტებს იწყებს. გუშინ ხელი მოეწერა ოთხმხრივ ხელშეკრულებას, რომელიც სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის პროექტების განხორციელებას ითვალისწინებს. ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს იუსტიციის მინისტრის მოადგილემ გივი მიქანაძემ, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ ვახტანგ მეგრელიშვილმა, საქართველოში ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისიისა და ნორვეგიის დასაქმების სამსახურის წარმომადგენლებმა მიხეილ პუშკინმა და ჰეიდინ ვოტოლფსიმ.

პროექტები ქალთა დაწესებულებაში, გეგუთის N8 დაწესებულებასა და ქუთაისის საპყრობილეში განხორციელდება. ხელშეკრულების თანახმად, ქალთა დაწესებულებაში სილამაზის სალონი ამოქმედდება. გეგუთის დაწესებულებაში - ყვავილების სასათბურე მეურნეობა, ხოლო ქუთაისში - ფეხსაცმლის მცირე საწარმო. მსჯავრდებულებისთვის ხელობის შესწავლაზე შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს ტრენერები იმუშავებენ. მათ კი, კონსულტაციებს ნორვეგიის დასაქმების სამსახური გაუწევს. პროექტებს ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისია დააფინანსებს. თითოეული პროექტი დამფინანსებლისგან 7 ათას დოლარს მიიღებს.

ხელმოწერის ღონისძიებაზე იუსტიციის მინისტრის მოადგილემ გივი მიქანაძემ განაცხადა, რომ პროექტი ჯერჯერობით სამ დაწესებულებაში დაიწყება, თუმცა ამ სახის პროექტები ერთჯერადი არ იქნება და იუსტიციის სამინისტრო პატიმართა სამუშაო-სარეაბილიტაციო პროექტებს მომავალშიც გააგრძელებს. როგორც ცნობილია, ამ დროისთვის დასაქმების პროექტები ხორციელდება ორ სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში - ქსანსა და რუსთავში. **24 საათი**

## აქცია კანცელარიასთან

რვა დღის განმავლობაში სამეგრელოდან თბილისისკენ ფეხით მოემართებოდნენ წალენჯიხაში დაკავებულ რუსლან ბუკიას ახლობლები. 27 წლის რუსლან ბუკიას ახლობელთა განცხადებით, იგი უკანონოდ არის დაკავებული. დაკავებულის ძმამ შოთა ბუკიამ განაცხადა, რომ მისი ძმა 2005 წელს სამშვიდობო მისიით ერაყში იმყოფებოდა, როდესაც საქართველოში დაბრუნდა, იგი მოქალაქე ჯემალ ნარმანიას განზრახ მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით დააკავეს. აქციის მონაწილეთა განმარტებით, 2006 წლის 28 მარტს რუსლან ბუკიას განზრახ მკვლელობის ბრალდება მოეხსნა, თუმცა მას ახალი ბრალი წაუყენეს - გიორგი მიქავას გატაცება. აქციის მონაწილეებთან ერთად იმყოფება გიორგი მიქავას მამაც, რომელიც აცხადებს, რომ მისი შვილი საერთოდ არ ყოფილა გატაცებული.

აქციის მონაწილეები საქართველოს გენერალური პროკურატურისგან რუსლან ბუკიას წინააღმდეგ აღძრული საქმის ობიექტურად გამოძიებას მოითხოვენ. ისინი საპროტესტო აქციებითა და ტრანსპარანტებით - "პრეზიდენტო, მოგვაქციე ყურადღება", - საქართველოს პრეზიდენტის ყურადღების მიპყრობას ცდილობენ. აქციის მონაწილეების განცხადებით, თუ არ მოხდება საქმის ობიექტური გამოძიება, არ შეწყდება რუსლან ბუკიას წინააღმდეგ აღძრული საქმე და არ გათავისუფლდება იგი უკანონო პატიმრობიდან, ისინი პროტესტის უკიდურეს ზომას - შიმშილობის აქციას მიმართავენ. **ინტერპრესნიუსი**

## ბუბა ბუთურიძის მდგომარეობა მძიმეა

კორტებთან განხორციელებული სპეცოპერაციის დროს დაჭრილი ბუბა ბუთურიძის ჯანმრთელობის მდგომარეობა კვლავ მძიმეა. ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში ოპერატიულად გადაყვანილი პატიმრის მდგომარეობა გართულდა, რის გამოც, ციხის ადმინისტრაცია იძულებული გახდა, ბუთურიძე კვლავ N1 კლინიკური საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში გადაეყვანათ. როგორც ბუთურიძის მშობლები აცხადებენ, მათი ვაჟის ჯანმრთელობის მდგომარეობა გუშინწინ, გვიან ღამით დამძიმდა, რის შესახებაც ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს ექიმებმა ოჯახს შეატყობინეს და ის ექიმი გამოიძახეს, რომელმაც სპეცოპერაციისას დაჭრილს პირველი ოპერაცია გაუკეთა. როგორც ზოგად-ქირურგიული კლინიკის დირექტორი ავთანდილ მეგრელაძე აცხადებს, ბუბა ბუთურიძის ჯანმრთელობის მდგომარეობა ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მკვეთრად გაუარესდა და იგი დაუყოვნებლივ ოპერაციის ჩატარებას საჭიროებდა, რის გამოც კვლავ N1 კლინიკური საავადმყოფოში გადაიყვანეს. გუშინ, დილის 5 საათზე, ბუთურიძეს მეორე ოპერაცია ჩაუტარდა. როგორც ქირურგი მამუკა გოლეთიანი აცხადებს, ბუბა ბუთურიძის ჯანმრთელობის მდგომარეობის პროგნოზირება რთულია. მისი თქმით, ავადმყოფის გადაყვანა ციხის საავადმყოფოში არ შეიძლება, მეტიც, უკეთესი იქნებოდა, "რესბალნიცაზე" არც პარასკევს გადაეყვანათ. ბუთურიძის ახლობლები არ გამორიცხავენ, რომ ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მას სათანადოდ ვერ მოუარეს, რამაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გართულება გამოიწვია. **ინტერპრესნიუსი**

# გახმაურებული სპეცოპერაციები და პასუხგაუცემელი შეკითხვები

პირველი გვერდიდან

გამოძიება მიმდინარეობს პანკისის ხეობაში, სოფელ დუისში ჩატარებულ სპეცოპერაციაზე, რომელიც განზრახ მკვლელობაში ეჭვმიტანილის ავთანდილ გუმაშვილის დაკავებას ისახავდა მიზნად. თვითმხილველთა თქმით, სპეცრაზმელებმა არაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ გუმაშვილი მშვიდობიანად აეყვანათ. მეტიც, ადგილობრივი მოსახლეობის მტკიცებით, ცეცხლი პირველად სწორედ სამართალდამცველებმა გაუხსნეს სახლს, სადაც ეჭვმიტანილთან ერთად მისი უდანაშაულო ბიძაშვილი ვახტანგ გუმაშვილიც იმყოფებოდა. საბოლოოდ კი, სპეცოპერაცია გუმაშვილების ლიკვიდაციით და მათი სახლის დაწვით დასრულდა. გუმაშვილების ადვოკატების თქმით, სპეცოპერაციისას ერთი მნიშვნელოვანი კანონდარღვევა დაფიქსირდა - სამართალდამცველებმა სპეცოპერაცია შუა სოფელში, ხალხმრავალ ადგილას ჩაატარეს, შემდეგ კი, პანიკაში მყოფ მოსახლეობას, რომელიც მომხდარს აპროტესტებდა, ავტომატებიდან ცეცხლი გაუხსნეს. ეს ფაქტი დაფიქსირებულია ვიდეოფირზე, რომელიც მედიის საშუალებით გავრცელდა. სხვათა შორის, გუმაშვილების ახლობლები მომხდარზე რეაგირებას სტრასბურგის სასამართლოს სთხოვენ, სადაც მასალები უკვე გადაიგზავნა კიდეც.




*სპეცოპერაციის შედეგებს პროკურატურა გამოიძიებს.*

ინტერპრესნიუსი

სამმხრივი მსხვერპლით დასრულდა 2004 წლის აპრილში იმერეთში სამართალდამცველების მიერ ჩატარებული სპეცოპერაცია, რომელსაც საბოლოოდ, ოთხი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

პოლიციის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, თერჯოლაში მდებარე ბენზინგასამართი სადგურიდან ბოროტმოქმედების მიერ ორი ავტომობილის გატაცებას, დევნის ოპერაცია მიეძღვნა. დამნაშავეები ქუთაისში ერთ-ერთი ეჭვმიტანილის - გაგა ჭეიშვილის სახლში იპოვეს. სპეცოპერაციის დროს ორმხრივი სროლის შედეგად გარდაიცვალნენ პოლიციელები - თერჯოლელი როინ რობაქიძე, ქუთაისელი გია ხატიაშვილი და თავად ეჭვმიტანილი გაგა ჭეიშვილი.

გარდა ამისა, პოლიციელებსა და ეჭვმიტანილებს შორის ატეხილ სროლას შემთხვევით გამვლელი, გვარად შალიკიანი ემსხვერპლა. მოგვიანებით, გარდაცვლილის ოჯახის წევრებმა მომხდარში პოლიცია დაადანაშაულეს. დაღუპულთა ახლობლების თქმით, შალიკიანი სწორედ სამართალდამცველთა არაპროფესიონალიზმს შეეწირა. პოლიციელები კი საწინააღმდეგოს ამტკიცებდნენ - უდანაშაულო მოქალაქეს დამნაშავეების ნასროლი ტყვია მოხვდაო. ერთი სიტყვით, ამ ფაქტზეც სიმართლე გამოძიებას უნდა დაედგინა, რომლის შედეგიც ჯერჯერობით არ დამდგარა.

გამოძიებას არაფერი უთქვამს ასევე იმერეთში დატრიალებულ ტრაგედიაზე, რომელსაც ფეხმძიმე ქალი ემსხვერპლა. ოფიციალური ინფორმაციით, სპეცოპერაციისას სამართალდამცველებს ეჭვმიტანილის სახლი შეეშალათ და უდანაშაულო ადამიანის ბინაში შეიჭრნენ, სადაც ფეხმძიმე ქალს ეძინა. შეიარაღებული ნიღბიანების დანახვაზე ფეხმძიმე ქალს სტენოკარდიული შეტევა მოუვიდა. შედეგი ტრაგიკული აღმოჩნდა - ის გარდაიცვალა. ამისთვის პასუხისმგებლობა არავის დაკისრებია.

აფრასიძეების ადვოკატები დღემდე ამტკიცებენ, რომ სოფელ ეცერში განხორციელებული სპეცოპერაციისას უკანონოდ მოხდა არა მარტო მამა-შვილი აფრასიძეების ლიკვიდაცია, არამედ, აღნიშნული სპეცოპერაციისას ორი უდანაშაულო ადამიანიც გარდაიცვალა. მიუხედავად იმისა, რომ არსებობენ მოწმეები, ამ ფაქტით დღემდე არც ერთი სამართალდამცველი ორგანო არ დაინტერესებულა.

## ოჯახების ძალისხმევით მიღწეული შედეგები

თბილისის პროკურატურამ დაასრულა და სასამართლოში გადაგზავნა ამირან რობაქიძის მკვლელობის საქმე.

თავის დროზე პატრულის მუშაობის სანიმუშო მაგილითად დასახელდა დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონთან ჩატარებული სპეცოპერაცია, რომლის დროსაც, 19 წლის ამირან რობაქიძის ლიკვიდაცია მოხდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, "საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა, გააჩერეს საეჭვო ავტომანქანა "ბმვ", საიდანაც პოლიციის თანამშრომლების მიმართ ავტომატიდან მოხდა ორი გასროლა. საპასუხო სროლის შედეგად ადგილზე მოკლეს ამირან რობაქიძე. მისი მეგობრები ლევან დანგაძე, გიორგი ქურდაძე, ირაკლი მიქაბერიძე, აკაკი ბართაია და კახაბერ აზარაშვილი კი დააკავეს. მათი ავტომანქანიდან ამოღებულია "აკმ"-ის სისტემის 2 ავტომატი, "კოლტი"-ს სისტემის პისტოლეტი, ხელყუმბარები და ვაზნები".

სპეცოპერაციისას მოკლულის ოჯახის კატეგორიული მოთხოვნის შემდეგ, საქმეზე რეალური გამოძიება დაიწყო. პატრულის თანამშრომლის გრიგოლ ბაშალეიშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმე გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის მუხლით აღიძრა. რობაქიძის მეგობრები კი პატიმრობიდან გაათავისუფლეს.

სისხლის სამართლის საქმეა აღძრული პატრულის იმ თანამშრომლის მიმართაც, რომლის მიერ "აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებასაც" (ამ მუხლით აღიძრა საქმე) 18 წლის ლევან გულუას ლიკვიდაცია მოჰყვა. სხვათა შორის, მაშინ პოლიცია ირწმუნებოდა, რომ გულუამ და მისმა ორმა მეგობარმა, რომლებიც ბინის გასაქურდად იყვნენ მისულები, სამართალდამცველებს ცეცხლი გაუხსნეს, რასაც საპასუხო სროლა და გულუას მკვლელობა მოჰყვა. ლევან გულუა ადგილზე გარდაიცვალა, ორმა მეგობარმა კი გაქცევა მოახერხა და მათი ვინაობა დღემდე უცნობია. მოგვიანებით, გარდაცვლილის დედის ძალისხმევით, გაირკვა, რომ მოკლულს იარაღი საერთოდ არ ჰქონია და ეს გამოძიებამაც დაადასტურა. ამჟამად თბილისის პროკურატურაში აღნიშნული საქმის გამოძიება მიმდინარეობს და პოლიციელის ბრალეულობაზე მსჯელობა მალე მართლმსაჯულებას მოუწევს.

## გაჩენილი შეკითხვები

თუ აქამდე საზოგადოების წარმომადგენლები მხოლოდ ზოგადი შეფასებებით შემოიფარგლებოდნენ, დღეს ისინი კონკრეტულ შეკითხვებს სვამენ და ხელისუფლებისგან პასუხის გაცემას კატეგორიულად მოითხოვენ. სხვათა შორის, სპეცოპერაციების ტრაგიკულ შედეგებთან დაკავშირებით, გარკვეულ პრეტენზიებს გამოთქვამენ ადამიანის უფლებების დამცველებიც და საქმის ობიექტურ გამოძიებას მოითხოვენ. სპეცოპერაციების კანონიერების თემა განსაკუთრებით აქტუალური გახდა 2 მაისის სპეცოპერაციის შემდეგ. სანაპიროზე, კორტებთან განხორციელებული სპეცოპერაციისას, სამართალდამცველებმა მანქანაში სამი პიროვნება ჩახცრილეს. ადგილზე გარდაიცვალა ზურაბ ვაზაგაშვილი და ალექსანდრე ხუბულოვი, ბუბა ბუთურიძე კი, რომელსაც ცხრა ტყვია აქვს მოხვედრილი, დღემდე მძიმე მდგომარეობაშია. შეკითხვები თავდაპირველად სწორედ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული არაერთგვაროვანი ინფორმაციის გამო გაჩნდა. ოფიციალური წყაროს ცნობა ტრადიციული გახლდათ - პირველად ეჭვმიტანილებმა გაუხსნეს ცეცხლი სამართალდამცველებს, რასაც საპასუხო სროლა და ეჭვმიტანილთა ლიკვიდაცია მოჰყვა.

თუმცა, სახალხო დამცველი სოზარ სუბარი ბოლომდე სარწმუნოდ არც ერთ ოფიციალურ ვერსიას არ მიიჩნევს. ამის მიზეზი კი ომბუდსმენის აპარატის თანამშრომლების მიერ მისთვის მიწოდებული ინფორმაციაა.

**"ზოგადად, პოლიციას არა მარტო უფლება აქვს გამოიყენოს იარაღი, არამედ მოვალეც არის დაიცვას საზოგადოება და საკუთარი სიცოცხლე. თუმცა, 2 მაისის ფაქტთან დაკავშირებით, იარაღის გამოყენების საჭიროებას ვერ ვხედავ. ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს. დანაშაულის დღესვე ჩემმა თანამშრომლებმა, რომელიც ინციდენტის დღეს ე.წ. დამნაშავეთა უკან მდგომ მანქანაში იჯდა, ოფიციალურად გავრცელებული ინფორმაციის სრულიად საწინააღმდეგო ვერსია მომიყვა. რაც თავიდან მეც ვერ დავიჯერე, მაგრამ დღეს უკვე დარწმუნებული ვარ, რომ იგი სიმართლეს შეესაბამება და გამოძიება აღნიშნული პიროვნების ჩვენებით აუცილებლად უნდა დაინტერესდეს,"** - აღნიშნა სოზარ სუბარმა.

ომბუდსმენის თანამშრომლის თქმით, რასაც სხვა მოწმეც ადასტურებს, ეჭვმიტანილთა მანქანა დიდი სიჩქარით კი არ მოძრაობდა, როგორც ამას პოლიცია ამტკიცებს, არამედ გაჩერებული იყო. თვითმხილველთა თქმით, მოულოდნელად მანქანიდან შავ ქურთუკში ჩაცმული პიროვნება გადმოვიდა, რომელმაც "BMW"-ს მარკის მანქანას ავტომატიდან ცეცხლი გაუხსნა. სუბარის თქმით, თვითმხილველები პოლიციას არც იმაში ეთანხმებიან, რომ შავი "BMW" ჯერ წინ მდგომ მანქანას დაეჯახა, შემდეგ კი უკანას, ანუ იმას, სადაც სახალხო დამცველის თანამშრომელი იჯდა. ამ მანქანას დაზიანება არ აღენიშნება.

სოზარ სუბარი გაოცებას გამოთქვამს იმის გამოც, რომ პოლიციამ, რომელსაც ინფორმაცია ჰქონდა დანაშაულის შესახებ, ეჭვმიტანილები მაშინვე მშვიდობიანად არ დააკავა და ახალი დანაშაულის დაგეგმვას დაელოდა. ამასთან, სპეცოპერაცია მაინცდამაინც ხალხმრავალ ადგილას დაიგეგმა და არა დანაშაულის ადგილზე, სადაც, თითქოს, ეჭვმიტანილები მიდიოდნენ.

**"აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გაჩენილ უამრავ შეკითხვასთან ერთად, გამოძიებამ პასუხი უნდა გასცეს მთავარ შეკითხვას - რამდენად სწორად დაიგეგმა სპეცოპერაცია. ის, რომ მას შემთხვევითი მსხვერპლი არ მოჰყოლია, სულაც არ ნიშნავს პოლიციელთა მაღალპროფესიონალიზმს. როგორც ცნობილია, ერთი ტყვია მაღაზიაში შევარდა, ანუ ვიღაც სწორედ შემთხვევით გადარჩა. ამიტომ, მე ვთვლი, რომ ამ შემთხვევაში საქმე უნდა აღიძრას არა ფაქტზე, როგორც სხვა შემთხვევაში ხდება, არამედ პირადად იმ სამართალდამცველების მიმართ, რომლებმაც გადაამეტეს უფლებამოსილებას და ჩაიდინეს მკვლელობა,"** - ასეთია ომბუდსმენის პოზიცია.

## შეხვედრა გენერალურ პროკურორთან

პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე, სახალხო დამცველი სოზარ სუბარი და ლევან ბეჟაშვილი ქუთაისში ჩატარებულ სპეოპერაციასთან დაკავშირებით გენერალურ პროკურორს ზურაბ ადეიშვილს შეხვდნენ. შეხვედრიდან გამოსულმა ელენე თევდორაძემ განაცხადა, რომ მათ ყველა შეკითხვაზე ამომწურავი პასუხი და გენერალური პროკურორის პირობა მიიღეს, რომ ყველა საქმე ობიექტურად იქნება გამოძიებული.

შს სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, მიმდინარე წლის თებერვალში იმერეთის სამხარეო პოლიციის თანამშრომლების მიერ, ბაღდათის რაიონის სოფელ ვარციხის მიმდებარე ტერიტორიაზე, ორმხრივი სროლის დროს, ყაჩაღობაში ეჭვმიტანილი სამი პირის ლიკვიდაცია განხორციელდა. ოპერაციის დროს გარდაიცვალნენ: 30 წლის ზვიად ბაბუხადია, 26 წლის ბუთხუზ კიზირია და 32 წლის ვალერი ბენდელიანი. შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია ეჭვმიტანილთა კუთვნილი ორი ცეცხლსასროლი იარაღი, ერთი გადაჭრილი სანადირო თოფი და ნიღბები.

ადამიანის უფლებების დამცველ პარლამენტარს გარდაცვლილი ბუთხუზ კიზირიას მამამ, ქუთაისის ყოფილმა ვიცე-მერმა მიმართა და შვილის გარდაცვალების რეალური მიზეზის დადგენაში დახმარება სთხოვა.

**"აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით პოლიციის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, გარდაცვლილის მამის და ქუთაისელი ჟურნალისტების მიერ შეკრებილ მასალებს შორის უამრავი წინააღმდეგობა არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ თავად პოლიციის მიერ გადაღებულ და გავრცელებულ ვიდეო-მასალაზე აშკარად ჩანს, რომ სამივე პიროვნება ერთი და იმავე ადგილზეა ლიკვიდირებული, ოფიციალურ ცნობებში მათი გარდაცვალების სხვადასხვა ადგილებია მითითებული. ამასთან, სასამართლო- სამედიცინო ექსპერტიზა მშობლების დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ მხოლოდ კიზირიას ჩაუტარდა, რომელსაც 50-ზე მეტი ნატყვიარი აღმოაჩნდა. ერთ-ერთი ე.წ. ეჭვმიტანილის გარდაცვალების მიზეზი კი რატომღაც ვერ დადგინდა",** - ამბობს ელენე თევდორაძე, რომელსაც ქუთაისის სპეცოპერაციის ობიექტურობაში ეჭვის შეტანის საფუძველს ჟურნალისტების მიერ მიწოდებული მოწმის ჩვენებაც აძლევს.

აღნიშნული ინციდენტის უშუალო თვითმხილველია ტაქსის მძღოლი, რომელმაც ზვიად ბაბუხადია, ბუთხუზ კიზირია და ვალერი ბენდელიანი გადაიყვანა. თევდორაძის თქმით, აუდიო მასალაზე დაფიქსირებულია ტაქსის მძღოლის მონათხრობი, სადაც იგი ყვება, რომ აღნიშნული პირები ქუთაისიდან ცხენის წყლის მიმართულებით წაიყვანა და მათთვის საეჭვო არაფერი შეუნიშნავს. **"ბიჭებს ავტომატები რომ ჰქონოდათ აუცილებლად დავინახავდით",** - აცხადებს მძღოლი, რომელიც ჟურნალისტების მტკიცებით, ინტერვიუს მიცემის შემდეგ გაუჩინარდა.

სხვათა შორის, თევდორაძის მიერ აღნიშნული ინფორმაციის გავრცელების მეორე დღესვე, შინაგან საქმეთა სამინისტრომ "გაზ 21" მარკის ავტომანქანის მძღოლის ჩვენება გაავრცელა, სადაც იგი სრულიად საწინააღმდეგოს, პოლიციის ვერსიის დამადასტურებელ ჩვენებას იძლევა.

ელენე თევდორაძე არ გამორიცხავს, რომ პოლიციამ მუქარის ან სხვა მექანიზმით შეძლო მძღოლისგან მათთვის სასურველი ჩვენების მიღება, რაც, არაერთხელ გაუკეთებიათ. ამიტომ, ადამიანის უფლებების დამცველი მიიჩნევს, რომ აუცილებელია ამ ფაქტის ობიექტური გამოძიება.

## პოლიციისადმი ნდობა იკლებს

საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებებით, თუ გამოძიებამ დაადგინა, რომ სპეცოპერაციისას არ დაირღვა კანონი, მაშინ გამოძიება მოკლულის ოჯახის წევრებს დაზარალებულის სტატუსს არ ანიჭებს - არ არსებობს დაზარალებული, რადგან მსხვერპლი დანაშაულში ეჭვმიტანილი პირია. თუმცა, კანონის ამ ნორმასთან დაკავშირებით, განსხვავებული პოზიცია აქვს პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარეს ლევან ბეჟაშვილს, რომელსაც მიაჩნია, რომ ფაქტზე, სისხლის სამართლის საქმე სწორედ იმიტომ იღიძვრება, რომ მომხდარის კანონიერება უნდა დადგინდეს. ამიტომ, მხარეებს უნდა ჰქონდეთ გამოძიების მასალების გაცნობის უფლება.

სხვათა შორის, ქუთაისის სპეცოპერაციისას გარდაცვლილი ბუთხუზ კიზირიას მამა ადამიანის უფლებების დამცველებთან სწორედ იმის გამო მივიდა, რომ მან დღემდე არ იცის, მიმდინარეობს თუ არა ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება, ან რა მიმართულებით მუშაობენ სამართალდამცველები. ვინაიდან, მას არ გააჩნია დაზარალებულის სტატუსი, საქმის მასალების გაცნობის საშუალებას არ აძლევენ.

სოფელ დუისში დახოცილ გუმაშვილების ახლობლებს კი, პროკურატურაში განუცხადეს, რომ საქმის მასალები სახელმწიფო საიდუმლოებაა და მათი გაცნობის უფლება არ აქვთ.

არადა, მხოლოდ ოფიციალური ორგანოების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას საზოგადოება ხშირად შეჰყავს შეცდომაში. ამას ადასტურებს სოზარ სუბარიც და აღნიშნავს, რომ ასეთი შემთხვევების დროს, გამოძიება უნდა დაინტერესდეს ცრუ ინფორმაციის გავრცელების წყაროთი და მას მძიმე სახის თუ არა, ადმინისტრაციული სასჯელი მაინც დაეკისროს.

პარლამენტარი ელენე თევდორაძეც მიიჩნევს, რომ სპეცოპერაციების ობიექტური გამოძიება აუცილებელია.

**"ამა თუ იმ ფაქტზე გაჩენილი პასუხგაუცემელი შეკითხვები პოლიციისადმი ნდობას დაბლა წევს, რისი ტენდეციაც, სამწუხაროდ, უკვე შეიმჩნევა. ამას, როგორც ხელისუფლების წარმომადგენელი, გულისტკივილით ვამბობ",** - ამბობს ელენე თევდორაძე.

არავინ დავობს იმაზე, რომ "ვარდების რევოლუციის" შემდეგ, პოლიციის რეიტინგი საგრძნობლად გაიზარდა. საზოგადოების ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ ხნის განმავლობაში, სამართალდამცველთა მხრიდან დაშვებულ ზოგიერთ უკანონობაზე მოსახლეობა სწორედ გაზრდილი ნდობის ფაქტორის გამო დუმდა.

თუმცა, არსებობს მეორე მოსაზრებაც. საზოგადოების მეორე ნაწილი მიჩნევს, რომ პოლიციისადმი გაჩენილი ნდობის ხარისხი იკლებს და ამის მიზეზი ის სპეცოპერაციებიცაა, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, ტრაგიკულად სრულდება.

არსებობს მესამე პოზიციაც. მაგალითად, ელენე თევდორაძეს, რომელიც აცხადებს, რომ პოლიციის რეიტინგი დაეცა, მიაჩნია, რომ სპეოპერაციების დროს დაღუპულთა ოჯახის წევრები, უმეტეს შემთხვევაში, მომხდარს იმიტომ არ აპროტესტებენ, რომ მათი ახლობლები მართლაც იყვნენ დანაშაულში ჩაბმულნი.

## კმაყოფილი მინისტრი

**"თუ ვინმე შეწუხდა პოლიციის მუშაობით, ვანუგეშებ და ვეტყვი, რომ პოლიცია მორალს არ დაკარგავს და საქართველოს მოქალაქეები დაცული იქნებიან. ბედნიერი ვარ იმით, რომ არც ერთ სპეცოპერაციას შემთხვევითი ადამიანების მსხვერპლი ან დაჭრა არ მოჰყოლია. ეს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მაღალპროფესიონალიზმზე მეტყველებს",** - ასეთია საქართველოს შს მინისტრის ვანო მერაბიშვილის პოზიცია.

**"საქართველოში მსხვერპლით დასრულებული სპეცოპერაციების რაოდენობა ვაშინგტონსა და ჩიკაგოში ჩატარებული ოპერაციების რაოდენობას პროცენტულად ექვსჯერ ჩამორჩება".**

მერაბიშვილის განცხადებით, ბოლო ექვსი-შვიდი თვის განმავლობაში საქართველოში არც ერთი სერიოზული მკვლელობა ან გატაცება არ მომხდარა, რაც სამართალდამცველთა წარმატებული მუშაობის შედეგია.

# აზერბაიჯანი: საზოგადოებრივ ტელევიზიას მიკერძოებულობაში ადანაშაულებენ

*ოპონენტთა განცხადებით, აზერბაიჯანის ახალი საზოგადოებრივი ტელევიზია საზოგადოების ნაცვლად ხელისუფლების ინტერესებს ემსახურება.*

სევინ ტელმანქიზი, ბაქო

აზერბაიჯანის პირველ საზოგადოებრივ ტელევიზიას, რომლის დაფუძნებასაც დიდ იმედებს უკავშირებდნენ, ხელისუფლების მიმართ მიკერძოებულობაში ადანაშაულებენ.

ყოფილ პარლამენტარსა და ITV-ს (ტელევიზიის აზერბაიჯანული სახელწოდება) გენერალურ დირექტორს ისმაილ ომაროვს, რომელიც ამ თანამდებობაზე გასული წლის აპრილში დაინიშნა, არა მხოლოდ ოპოზიცია, არამედ არასამთავრობო ორგანიზაციები და საერთაშორისო ექსპერტებიც მკაცრად აკრიტიკებენ.

სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყნიდან აზერბაიჯანი ყველაზე ბოლო იყო, რომელმაც ევროსაბჭოს მიერ მედიის თავისუფლებაზე გაკეთებული რეკომენდაციების შესაბამისად საზოგადოებრივი ტელევიზია ჩამოაყალიბა. სატელევიზიო არხი, რომელმაც ფუნქციონირება გასული წლის აგვისტოში დაიწყო, დღეში 12 საათის განმავლობაში მაუწყებლობს.

ტელევიზია სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება, თუმცა თეორიულად გარკვეული ავტონომიით სარგებლობს და დამოუკიდებლად იმართება.

მიუხედავად ამისა, მედიის ექსპერტების განცხადებით, ITV სახელმწიფო მფლობელობაში არსებული ტელეარხებისგან ნაკლებად გამოირჩევა.

„ძალიან სამწუხაროა, რომ ამ ტელევიზიასა და სხვა არხებს შორის განსხვავებას ვერ ვხედავთ. ITV საზოგადოების ინტერესებს არ ასახავს“, – განაცხადა ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის ლექტორმა ზეინალ მამედლიმ.

მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანი მეზობელ სომხეთსა და საქართველოსთან შედარებით უფრო დიდი და მდიდარი ქვეყანაა, სატელევიზიო არხების არჩევნის თვალსაზრისით ორივე ქვეყანას ჩამორჩება. მედიის განვითარების ხელშემწყობი საერთაშორისო ორგანიზაციის – „ინტერნიუსის“ მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, 2005 წელს საქართველოში 68 რეგიონული ტელევიზია მოქმედებდა, სომხეთში – 28, აზერბაიჯანში კი – მხოლოდ 11.

ამჟამად ბაქოში ერთი სახელმწიფო ტელევიზია, საზოგადოებრივი ტელევიზია და ოთხი კერძო არხი მაუწყებლობს. აზერბაიჯანის მთავრობის წარმომადგენელთა აზრით, მედია ბაზარზე ITV-ს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

„ITV-ის თანამშრომლებმა აჩვენეს, რომ მცირე დროში მაყურებლისთვის საყვარელი პროფესიული სატელევიზიო არხის შექმნა შესაძლებელია. ის საზოგადოების არა მარტო კულტურულ ინტერესებს აკმაყოფილებს, არამედ მაღალი ხარისხის საინფორმაციო პროგრამებსაც ამზადებს“, – განაცხადა პრეზიდენტის ადმინისტრაციის სოციალურ-პოლიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ალი ჰასანოვმა.

თუმცა, მედიის ექსპერტთა განცხადებით, ITV ისეთივე შეზღუდულ გარემოში მუშაობს, როგორც აზერბაიჯანის დანარჩენი არხები, რომლებიც პრეზიდენტის ადმინისტრაციის გაკრიტიკების შემთხვევაში დახურვის საფრთხის წინაშე დგებიან. წარსულში ორი ასეთი შემთხვევა მოხდა, როცა ტელეარხები BMTI და SARA დაიხურა.

ოპოზიციონერი პოლიტიკოსები ITV-ს მკაცრად აკრიტიკებენ. გასულ წელს ოპოზიციური გაერთიანება „აზადლიგის“ მიტინგებზე ტელევიზიის დირექტორის ისმაილ ომაროვის თანამდებობიდან გათავისუფლების მოთხოვნით გამოდიოდნენ.

„ყველა ველოდით, რომ საზოგადოებრივი ტელევიზია უპირველეს ყოვლისა საზოგადოებაში არსებულ აზრთა სხვადასხვაობას ასახავდა და პერიოდულად ეთერს სხვადასხვა პოლიტიკურ ორგანიზაციას დაუთმობდა. მაგრამ საუკეთესო შემთხვევაში ისინი ოპოზიციონერ პოლიტიკოსს მხოლოდ სადისკუსიო პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად თუ იწვევენ“, – განაცხადა ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა პანაჰ ჰუსეინიმ, რომელიც პარლამენტში „აზადლიგის“ სიით არის არჩეული.

„მთავრობის მხარდამჭერი ზოგიერთი კერძო ტელევიზიაც კი ITV-ზე უფრო გაბედულია. სამწუხაროდ, საზოგადოებრივი ტელევიზია უბრალოდ სხვა ტიპის სახელმწიფო ტელევიზიად იქცა“, – განაცხადა ჰუსეინიმ.

გასულ წელს აზერბაიჯანის მაუწყებლობის ეროვნული საბჭოს მიერ განხორციელებული კვლევის შედეგების თანახმად, რეკლამას საეთერო დროის მხოლოდ ერთი პროცენტი ეთმობოდა, თითქმის მეოთხედი კი – ფილმებს.

ევროსაბჭოს მიერ განხორციელებულმა მონიტორინგმა ტელევიზიის საინფორმაციო გამოშვებებში ხელისუფლების მიმართ მიკერძოებულობა გამოავლინა. აჯაფ ნაჯაფოვის ფონდის მიერ აზერბაიჯანში საპარლამენტო არჩევნების პერიოდში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ITV სამთავრობო პარტიების საქმიანობას დადებითად აშუქებდა. ოპოზიცია ხელისუფლებას ამ არჩევნების მასობრივ გაყალბებაში ადანაშაულებს.

ოპოზიციურად განწყობილი აზერბაიჯანის დემოკრატიული პარტიის გენერალურმა მდივანმა სარდარ ჯალალოღლუმ ტელევიზია ამომრჩევლებზე ,,არასწორი ზეგავლენის“ მოხდენაში დაადანაშაულა.

„მათ წარმოდგენა არ აქვთ, რა არის ბალანსი. ჩვენს გამოსვლებს ერთ ან ორ წუთს უთმობდნენ, „ახალი აზერბაიჯანის პარტიის“ მიერ ჩვენ წინაღმდეგ გაკეთებულ განცხადებებს კი მთელ საათს“, – განაცხადა ჯალალოღლუმ.

საერთაშორისო ორგანიზაცია Freedom House-ის მიერ მედიის თავისუფლების შესახებ ახლახან გამოქვეყნებულ წლიურ ანგარიშში აზერბაიჯანი მსოფლიოში 116-ე ადგილზეა და საქართველოს, სომხეთსა და რუსეთს ჩამორჩება. საზოგადოებრივი ტელევიზიის შესახებ ანგარიშში ნათქვამია: „ITV-ს მიერ საარჩევნო კამპანიის გაშუქება მთავრობის მხარდამჭერი სხვა სატელევიზიო არხებისგან არ გამოირჩეოდა; ეუთო-ს მონიტორინგის ანგარიში მიუთითებს, რომ ITV-მ საინფორმაციო ეთერის 68 პროცენტი ალიევს (პრეზიდენტს), მთავრობასა და მმართველ პარტიას დაუთმო, მაშინ როცა „აზადლიგს“ საეთერო დროის 23 პროცენტი გამოუყო, საიდანაც 53 პროცენტი უარყოფით გაშუქებად შეფასდა და მხოლოდ ერთი პროცენტი – დადებითად“.

ისმაილ ომაროვი არხის მიმართ გამოთქმულ კრიტიკას უსაფუძვლოდ მიიჩნევს.

„საზოგადოებრივი ტელევიზია პოლიტიკური ბალანსის შთაბეჭდილების შესაქმნელად და მუდმივად უკმაყოფილო ოპონენტების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად არ დაარსებულა. ჩვენი არხი პოლიტიკისგან ძალიან შორს დგას. ამჟამად ITV აზერბაიჯანში დემოკრატიული ინსტიტუტის სახით მოქმედებს და ეს დემოკრატიული ინსტიტუტი პირადად მე შევქმენი“, – განაცხადა ომაროვმა.

მისივე თქმით, საზოგადოებრივ ტელევიზიას ეთიკის კოდექსიც აქვს.

„საეთერო დროს პრიმიტიული და საშუალო დონის მომღერლების გამოსვლებს არ ვუთმობთ, რადგან ქრთამებს არ ვიღებთ“, – განაცხადა ისმაილ ომაროვმა.

ომაროვმა ტელევიზიის მონიტორინგის შედეგებს ,,მიკერძოებული“, ხოლო სხვა ქვეყნების საზოგადოებრივ ტელევიზიებთან გაკეთებულ შედარებებს ,,უმართებულო“ უწოდა. მისი განცხადებით, საქართველოს საზოგადოებრივ ტელევიზიას 12-13 მილიონი დოლარი ვალი აქვს.

მოლოდინი ვერც სომხეთისა და საქართველოს საზოგადოებრივმა ტელევიზიებმა გაამართლეს.

სომხური არხი ხელისუფლებასთან მჭიდრო კავშირშია.

„არხი საზოგადოებრივ ტელევიზიად ვერ ჩამოყალიბდა. ის საზოგადოებრივი ფუნქციების მხოლოდ მცირე ნაწილს ახორციელებს. საზოგადოებრივი ტელევიზია დაკისრებული მოვალეობის დაახლოებით 10-12 პროცენტს ასრულებს“, – განაცხადა ერევნის პრესკლუბის ხელმძღვანელმა ბორის ნავარსადიანმა IWPR-თან საუბრისას.

საქართველოს საზოგადოებრივი ტელევიზია 2005 წლის დასაწყისში დაარსდა. ხელისუფლებასთან სიახლოვის გამო მასაც აკრიტიკებენ. ტელევიზიის თეორიულად დამოუკიდებელი სამეთვალყურეო საბჭო ძირითადად არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან შედგება, რომლებიც 2003 წლის „ვარდების რევოლუციაში“ აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ. ტელევიზია დაბალი პოპულარობით სარგებლობს და თანამშრომლებს ძალიან ხშირად იცვლის. მიმდინარე წელს ტელევიზიამ პროფილის შეცვლა სცადა და მარტში ახალი პოლიტიკური თოქ-შოუ „არგუმენტი“ გავიდა ეთერში. ექსპერტთა აზრით, საზოგადოებრივი არხის ბევრი პრობლემის მიზეზი საქართველოში მედიის დაფინანსების სიმცირე და ტელევიზიის თანამშრომელთა დაბალი ხელფასებია.



სამირ ალიევი

ITV-*ის შენობა ბაქოში*

კრიტიკის მიუხედავად, ომაროვი აცხადებს, რომ მეორე საზოგადოებრივი ტელევიზიის შექმნას გეგმავს.

„კანონით ორი ტელევიზიისა და სამი რადიო არხის გახსნის უფლება გვაქვს და ამ მიზნის მიღწევას შევეცდებით“, – განაცხადა მან.

გასული წლის ივლისში აზერბაიჯანში ვიზიტისას ეუთო-ს წარმომადგენელმა მედიის თავისუფლების საკითხებში მიკლოშ ჰარაზტიმ ITV-ს ხელმძღვანელის რანგში ომაროვის მუშაობა გააკრიტიკა.

„ომაროვი ის ჟურნალისტია, რომელიც სახელმწიფო ტელევიზიაში მოღვაწეობის დროს ოპოზიციაზე თავდასხმებით გამოირჩეოდა. ასე რომ, ეუთო მის დანიშვნას ეჭვის თვალით უყურებს“, – განაცხადა ჰარაზტიმ.

ომაროვი აზერბაიჯანის სამაუწყებლო საბჭოს მხარდაჭერით სარგებლობს, რომელმაც იგი დირექტორის თანამდებობაზე დანიშნა. საბჭოს თავმჯდომარის ჯაჰანგირ მამედლის განცხადებით, საბჭო ომაროვის საქმიანობას „მაღალ დონეზე“ აფასებს.

სახელმწიფო ტელევიზიის ყოფილი თანამშრომელი რაფიკ ჰუსეინოვი უფრო პესიმისტურადაა განწყობილი.

„ამ არხისგან არაფერს ველოდი და სამწუხაროდ, ჩემი პროგნოზი გამართლდა. საზოგადოებრივი ტელევიზია ჯერ კიდევ დაბადებამდე მოკვდა, რადგან მისი დაფუძნებისას სერიოზული შეცდომები დაუშვეს“, – დასძინა ჰუსეინოვმა.

www.iwpr.net

# გროზნო: ერთ თავშესაფარში სხვადასხვა პრობლემით

*დედაქალაქში მცხოვრები ფსიქიკურად დაავადებულები, ინვალიდები და ხანდაზმულები ომის შემდეგ ერთ თავშესაფარში ცხოვრობენ.*

ასია რამაზანოვა,
ამინა უსტარხანოვა,
გროზნო

მოხუცი ქალბატონები ბაღში სასაუბროდ შეკრებილან, მათ მახლობლად ყავარჯენზე დაყრდნობილი ხანდაზმული მამაკაცი ფიქრებშია წასული. იქვე ვილაცამ ინვალიდის ეტლით ჩაიარა, სხვები კი ყავარჯნის დახმარებით, კოჭლობით დადიან. 40 წლამდე მოკლეთმიანი ქალბატონი ფსიქიკურად დაავადებულია – ბავშვობიდან ვერ ლაპარაკობს და ბავშვივით იქცევა.

ეს ადამიანები ხანდაზმულებისა და ინვალიდების თავშესაფრის მცხოვრებლები არიან. აღნიშნული თავშესაფარი ჩეჩნეთში მოქმედი ერთადერთი ასეთი პროფილის დაწესებულებაა.

„ვერ წარმოიდგენთ, რა გამოვიარე. ომის დროს ჩემს სახლს ცეცხლი ორჯერ წაეკიდა და ორჯერვე ჩააქრეს. მთელი ომის პერიოდი სარდაფებში გავატარე. ჩემი ნივთები სახლიდან სამჯერ გამოყარეს“, – ტირილით გვითხრა 82 წლის ლილია აკსიონოვამ.

„ცხოვრებაში ძალიან გამიმართლა – ძალიან ბევრ კარგ ადამიანს ვიცნობდი... ჩემს მახლობლად მცხოვრები სხვა მოხუცი ქალების მსგავსად მე არავის გავუუპატიურებივარ“, – თქვა მან და სახეზე ხელები აიფარა.

აკსიონოვა ჩეჩნეთში სომხურ-აზერბაიჯანულ კონფლიქტს გამოექცა. ჩეჩნეთის ომების შემდეგ ბოლო ერთი წელია თავშესაფარში ცხოვრობს.

„აქ რომ მოვედი, სრულიად განადგურებული ვიყავი – საშინელი სტრესი გადავიტანე“, – თქვა დაბალი ტანის, კუზიანმა და გამხდარმა მოხუცებულმა ქალბატონმა, რომელსაც შავგვრემანი, დანაოჭებული სახე აქვს.

განსხვავებული ასაკისა და პრობლემების მქონე ადამიანების თავშესაფარში ერთად თავმოყრით გაღიზიანებული ლილია აკსიონოვა აქ „მხოლოდ ზინას წყალობით“ დარჩა (უფროსი ექთანი ზაინაპ ტავგირეიევა, რომელიც თავშესაფარში 1980 წლიდან მუშაობს).

„გვერდითა პალატაში საშინლად უწმაწურ სიტყვებს ყვირიან და მიღებულ პენსიებს არყის შესაძენად ხარჯავენ. მართლაც შემზარავი ადგილია“, – თქვა აკსიონოვამ.

„აქ ბევრს არ მოვწონვარ, ოქროს კბილები მაქვს და მათ ეს შურთ“, – ჩურჩულით დასძინა მან და სიცილი დაიწყო.

ნახევრად დანგრეული შენობებით გარშემოტყმული ხანდაზმულთა თავშესაფარი, რომლის შენობაც ასევე სერიოზულად დაზიანებულია, ქალაქის გარეუბანში, სოფელ კატაიამას მახლობლად მდებარეობს. ამჟამად თავშესაფარში 79 ადამიანი, მათ შორის ხანდაზმულები, ფსიქიკურად დაავადებულები და უსახლკაროები ცხოვრობენ.

„ყველანი ერთად ცხოვრობენ, მიუხედავად იმისა, რომ ეს დაუშვებელია“, – განაცხადა ზაინაპ ტავგირეიევამ. იგი იმედოვნებს, რომ ფსიქიკურად დაავადებულ ბინადრებს მალე ქალაქ შალიში, ახალ თავშესაფარში გადაიყვანენ, როგორც კი ამ უკანასკნელის მშენებლობა დასრულდება.

გროზნოს თავშესაფარი 1965 წელს გაიხსნა, მაგრამ ჩეჩნები იქ პირველად მხოლოდ გასული 90-იან წლებში, ჩეჩნეთში კონფლიქტის დაწყების შემდეგ შესახლდნენ.

თავშესაფრის ერთ-ერთი მუდმივი ბინადარი, 12 წლის აბუბაქარ აბდულაევი მასზე გაცილებით უფროს სამ ადამიანთან ერთად ერთ ოთახში ცხოვრობს.

„აქ მე და დედაჩემი ვცხოვრობთ. იგი მძიმე ინვალიდია. მე N61 სკოლის მე-4 კლასის მოსწავლე ვარ. მამა არ მყავს. ჯანმრთელი კი ვარ, მაგრამ წასასვლელი არსად მაქვს“, – გვითხრა აბუბაქარმა.

აბუბაქარს ნაბოკოვის რომანების კითხვა უყვარს და კაზინოს გახსნაზე ოცნებობს. როგორც თავად ამბობს, ნათესავებმა მისი ბავშვთა სახლში გაგზავნა სცადეს, მაგრამ იუარა და გროზნოს თავშესაფარში ცხოვრება არჩია. მისი საუკეთესო მეგობარი ბრმა მოხუცი ქალბატონი იყო, რომელიც გარდაიცვალა.

ჩეჩნეთის შრომის სამინისტრომ თავის რეკონსტრუქციის გეგმებში ხანდაზმულთა და ინვალიდთა ხუთი ახალი თავშესაფრის გახსნა მხოლოდ ახლახან შეიტანა. თავშესაფრები 2010 წლამდე უნდა შეიქმნას. თუმცა, ბევრი ადგილობრივი ამ გეგმებს სკეპტიკურად უყურებს.

,,ისინი შალის თავშესაფარს ააშენებენ, კატაიამაში მეორე თავშესაფრის აშენებას დაამთავრებენ და ყველაფერი ამით დასრულდება“, – განაცხადა შრომის სამინისტროს ყოფილმა თანამშრომელმა.

კატაიამას თავშესაფრის შენობის დანგრეული ნაწილის აღდგენითი სამუშაოები 2001 წლიდან მიმდინარეობს.

„თუ თავშესაფრის ამ ნაწილს აღადგენენ, 79-ის ნაცვლად 200 ადამიანის ადგილი იქნება. აქ მოსვლის მსურველი ხალხის რიცხვი იზრდება“, – განაცხადა ტავგირეიევამ, რომელიც აღნიშნავს, რომ აღდგენითი სამუშაოები საკმაოდ ნელა მიმდინარეობს.

კატაიამას თავშესაფარი 1999 წელს ბრძოლების ეპიცენტრში მოექცა. მისი თანამშრომლები და მობინადრეები შენობის სარდაფში, ბოსტნეულის საწყობში იმალებოდნენ. ხელისუფლებისგან მიტოვებული ადამიანებიდან ბევრი გარდაიცვალა – ბევრი კი საცხოვრებლად რუსეთის სხვა თავშესაფრებში გადავიდა.

თავშესაფარი ხელმეორედ 2000 წლის ივნისში გაიხსნა. აქ თანდათან ის ადამიანები მოდიოდნენ, რომლებსაც სხვაგან წასასვლელი არ ჰქონდათ. შედეგად, თავშესაფარში საკმაოდ მრავალფეროვანი მოსახლეობა გაჩნდა.

„საკვები კარგია, ტანსაცმელიც მაქვს, მაგრამ ხალხის შერჩევა უნდა ხდებოდეს“, – განაცხადა 84 წლის ვერა დრაჩევამ.

„აქ ნებისმიერი ნორმალური ადამიანი გაგიჟდება. ამას ცხოვრება არ ჰქვია. ეს პრობლემა რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოგვარდეს. მოსკოვში ნათესავები მყავს. ზინამ მითხრა, რომ თუ წერილს მივწერ და სურვილი მექნება, შემიძლია შევხვდე, მაგრამ არ მინდა“, – თქვა აკსიონოვამ.

ლილია აკსიონოვა ფანჯრიდან იყურებოდა და დიდხანს დუმდა. შემდეგ ღრმად ამოიოხრა და საუბარი გააგრძელა.

„რომ დამინახონ, შემრცხვება. არ მინდა, მათ ვაწყენინო... ასე ცხოვრება აღარ შემიძლია“, – დასძინა მოხუცმა ქალბატონმა.

www.iwpr.net

institute for war & peace reporting

ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის კავკასიის საინფორმაციო სამსახური (CRS) გთავაზობთ უნიკალურ შესაძლებლობას გაეცნოთ კავკასიაში მიმდინარე მოვლენებს ადგილობრივ მიმომხილველთა თვალსაზრისით.

სამსახური ფუნქციონირებს IWPR-ის კავკასიის პროექტის ფარგლებში. პროექტის მიზანია მასობრივი ინფორმაციის ადგილობრივი საშუალებების მხარდაჭერა და მსოფლიო საზოგადოებისთვის რეგიონის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

ომისა და გაშუქების ინსტიტუტის კავკასიის საინფორმაციო სამსახური მუშაობს დიდი ბრიტანეთის მთავრობის, ევროკავშირისა და ფინეთის მთავრობის მხარდაჭერით.

კავკასიის საინფორმაციო სამსახურის ქართულენოვანი გამოშვების გამოსაწერად მიმართეთ: geocrs@iwpr.ge

# საქართველო: მეწყერის შედეგად დაზარალებულთა პრობლემები

*ხელისუფლებას სტიქიური უბედურების მსხვერპლთა მიმართ უყურადღებობაში ადანაშაულებენ.*

თედო ჯორბენაძე, ხულო,
ოლესია ვართანიანი,
ნინოწმინდა

აჭარაში მეწყერის შედეგად დაზარალებული ათასობით ქართველი საცხოვრებლად სხვა რეგიონებში გადადის, სადაც მათ ადგილობრივი მაცხოვრებლები აშკარა აგრესიით ხვდებიან.

დაახლოებით 5 ათასი ოჯახი (30 ათასამდე ადამიანი) ახალი სამთავრობო პროგრამის ფარგლებში გადასახლებას ყოველდღე ელის. თუმცა მათ საკუთარი მომავალი აფიქრებთ, რადგან ხედავენ, რომ ადრე გადასახლებული მეზობლები უკან ბრუნდებიან.

სოფელი ჯალაბაშვილები მეწყერმა თითქმის მთლიანად გაანადგურა. სოფლის მცხოვრებლები ამბობენ, რომ მათ სამხრეთ საქართველოში, წალკაში დასახლებას დაპირდნენ. თუმცა როდესაც ბავშვებითა და კუთვნილი ნივთებით იქ ჩავიდნენ, აღმოაჩინეს, რომ მათთვის არც სახლები იყო გამოყოფილი და არც მიწის ნაკვეთები.

„ნახირივით დაგვატარებდნენ. რამდენ ხანს უნდა გამოვეკვებეთ ჩვენს მეზობლებს? ბოლოს მივხვდით, რომ არავინ მოგვხედავდა. ფული ვისესხეთ და უკან დავბრუნდით“, – განაცხადა სოფლის ერთ-ერთმა მკვიდრმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა.

მეწყერმა პრობლემები საქართველოს მაღალმთიან და მჭიდროდ დასახლებულ რეგიონში – აჭარაში პირველად 80-იან წლებში შექმნა. მას შემდეგ მეწყერის შედეგად 97 სოფელი დაზარალდა, 1500 სახლი დაინგრა, გზები და სასოფლო სამეურნეო ნაკვეთები კი გამოუსადეგარი გახდა.

მეწყერის დროს დაახლოებით ასამდე ადამიანი დაიღუპა და 5 ათასზე მეტი ოჯახი იძულებული გახდა, საცხოვრებელი ადგილი დაეტოვებინა.

„წლების განმავლობაში ტყის აქტიურმა გაჩეხვამ რეგიონი ეკოლოგიურ კრიზისამდე მიიყვანა“, – განაცხადა აჭარის გეოლოგიური დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ტარიელ ტუსკიამ და აღნიშნა, რომ ამ ადგილებში მოსახლეობა მჭიდროდაა დასახლებული.

„მიწის ერთი სანტიმეტრიც კი არ რჩება დაუმუშავებელი. ხალხი ტყეს იმიტომ ჩეხავს, რომ თავი გაიტანოს და ამიტომ ვერ დაადანაშაულებ. მეწყერის წინააღმდეგ პრევენციული ზომების მიღება იმდენად ძვირი ჯდება, რომ სჯობს ეს ფული ხალხისთვის სახლების სხვა ადგილზე შესაძენად დაიხარჯოს“, – განაცხადა ტუსკიამ.

„ერთადერთი გამოსავალი რეგიონში ,,დემოგრაფიული ტვირთის“ შემსუბუქებაა“, – დასძინა მან.

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მონაცემებით, გასულ წელს აჭარიდან ქვეყნის სხვა რეგიონებში გადასახლებულთათვის 252 სახლი შეიძინეს. თუმცა სახლები არა მიგრანტების, არამედ სახელმწიფოს საკუთრებაა.

მარტში საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ხულოს რაიონიდან ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ახმეტის რაიონში ათი ოჯახის ჩასახლების აღსანიშნ საზეიმო ცერემონიას დაესწრო. მან მიგრანტების ჯგუფის ჩამოსაყვანად თავისი ვერტმფრენიც კი გამოყო. კამერებმა დააფიქსირეს კადრები, სადაც პრეზიდენტს 2 წლის ანრი ღორჯომელიძე ხელში ჰყავს აყვანილი. მას შემდეგ ორი თვე გავიდა და ახალმოსახლეები (მათ შორის ანრის მამაც) ახალ საცხოვრებელ ადგილებში კუთვნილი ნივთების გადასატანად გამოყოფილ დახმარებას ჯერ კიდევ ითხოვენ.

„ამ სახლის ყოფილმა პატრონმა არაფერი დაგვიტოვა. პატარა ანრისაც კი იატაკზე სძინავს. არც მიწა არ მოუციათ. მისი იჯარით აღებაც კი არ შეგვიძლია, რადგან უკვე მთლიანად განაწილებულია. ახლა მეზობლებს უნდა ჩამოვუაროთ და დავარწმუნოთ, რომ მოსავლის გაყოფის პირობით მათი კუთვნილი მიწის დამუშავების უფლება მოგვცენ“, – განაცხადა ჯამბულ ღორჯომელიძემ.

მიგრანტების უმრავლესობა ძირითადად სომხებითა და ბერძნებით დასახლებულ ტერიტორიებზე ჩაასახლეს, რაც ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევს.

„ეს პოლიტიკა აქ ყველას კარგად ესმის. მათ (აჭარელებს) სომხურ სოფლებში იმიტომ ასახლებენ, რომ აქ უფრო მეტი ქართული მოსახლეობა იყოს. მათი პროგრამის მიზანი ჩვენი რეგიონის ქართველებითა და აჭარელებით დასახლებაა“, – თქვა ნინოწმინდის მკვიდრმა, ეროვნებით სომეხმა სევაკ იერანოსიანმა.

„ეს ხალხი ჩვენთან მოულოდნელად ჩამოდის. მათ შესახებ არაფერი ვიცით – არ ვიცით, ვინ არიან და საიდან მოდიან. ზოგიერთი იმასაც კი ფიქრობს, რომ ახალმოსახლეები სასჯელმისჯილი კრიმინალები არიან, რომლებსაც შეთანხმებას უფორმებენ და ეუბნებიან – წადით, დასახლდით სომხებს შორის და თქვენ წინააღმდეგ სასამართლო პროცესებს შევაჩერებთო“, – დასძინა იერანოსიანმა, რომელმაც ახალჩამოსულების შესახებ ადგილობრივთა ეჭვები გაახმოვანა.

მარტში ადგილობრივ სომხებსა და წალკაში ჩამოსახლებულებს შორის შეტაკება მოხდა. ინციდენტის შედეგად ერთი ადამიანი გარდაიცვალა, ადგილობრივი ხელისუფლების შენობა კი სერიოზულად დაზიანდა. ამ პრობლემების გამო ბევრი ოჯახი აჭარაში დაბრუნდა. მათი ნაწილი ახლა ნათესავებთან ცხოვრობს, ნაწილი კი – მეწყერის ზონაში, ნახევრად დანგრეულ სახლებში.

აჭარის ლტოლვილთა და განსახლების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა კახა გუჩმანიძემ IWPR-თან საუბრისას აღიარა, რომ ჩასახლების პროგრამა ცუდად წარიმართა.

„დიახ, მოსამზადებელი სამუშაოები არ განხორციელებულა. ჩასახლებული მოსახლეობისთვის მიწის ნაკვეთები არ გამოუყვიათ. არავის გაუთვლია, რა დაჭირდებოდა თითოეულ ოჯახს საკუთარი მეურნეობის შესაქმნელად და ახალ გარემოსთან შესაგუებლად“, – განაცხადა გუჩმანიძემ.

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წარმომადგენელი ზაზა იმედაშვილი აღიარებს, რომ ეკომიგრანტების გადასახლების პროგრამა ჯერ კიდევ საწყის სტადიაშია. ამჟამად საცხოვრებელი სახლებით დაკმაყოფილებული მოსახლეობის მონაცემთა ბაზა იქმნება.

წელს ეკოლოგიური კატასტროფის შედეგად დაზარალებული ოჯახებისთვის სახლების შესაძენად სამინისტროს ბიუჯეტში მხოლოდ მილიონ 227 ათასი ლარია (დაახლოებით 500 ათასი აშშ დოლარი) გათვალისწინებული. იმედაშვილის განცხადებით, ეს თანხა საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებული ადამიანებისთვისაა გამოყოფილი.

„ვფიქრობ, აჭარლების ისეთ მაღალმთიან რაიონებში ჩასახლება, როგორიცაა წალკა, თეთრიწყარო და ახალქალაქი, შესაძლებელია. იქ სახლები გაცილებით იაფია და ჩვენს შეზღუდულ თანხაში – 5 ათას ლარში ჩატევაც შეიძლება“, – განაცხადა იმედაშვილმა.

ვეფხია ბერიძე და მისი ახალგაზრდა მეუღლე, რომლებმაც ხულოში თავიანთი დანგრეული სახლი დატოვეს და საცხოვრებლად წალკის რაიონის სოფელ ქორეთში გადავიდნენ, ამ მოსაზრებას არ იზიარებენ.

„ჩვენი ახალი სახლის ერთ-ერთი ოთახის იატაკი პირველივე დღეს დაიშალა, მოგვიანებით კი კედელიც დაიბზარა. მალე ბავშვი გაგვიჩნდება, მაგრამ ჩვენს სახლში არც კარები ვარგა და არც ფანჯრები“, – თქვა ვეფხიამ.

ჩასახლებულები იმის გამოც ჩივიან, რომ თითოეულ ოჯახს გადაადგილებისთვის საჭირო ერთჯერადი დახმარების სახით მხოლოდ 50 ლარი მისცეს.

თუმცა რეგიონში, სადაც ადგილობრივები მაცხოვრებლები ისედაც მიწის ნაკლებობას უჩივიან, ყველაზე დიდი პრობლემა მაინც ეკომიგრანტებისთვის მიწის გამოყოფაა.

„დიდი პრობლემები შეიქმნება, რადგან უკვე ყველა ნაკვეთი დაკავებულია და მათი მფლობელები ასე ადვილად არავის არაფერს დაუთმობენ“, – ვარაუდობს ნინოწმინდელი ჟურნალისტი ლევონ ვარდანიანი.

„წელს ეკომიგრანტებისთვის სახლებს მიწის ნაკვეთებთან ერთად შევისყიდით. ალბათ, დაახლოებით ერთ ჰექტარ მიწას ვიყიდით. მართლია ეს ბევრი არ არის, მაგრამ აღნიშნულ საკითხს ჯერ კიდევ განვიხილავთ. ალბათ, საბოლოოდ თითოეული ოჯახს 2 ან 3 ჰექტარი მიწა ერგება“, – განაცხადა იმედაშვილმა.

„თუ ეს (მიწის) პრობლემა არ მოგვარდება, მაშინ ამ ხალხის სხვაგან გადასახლება არ ღირს“, – დასძინა მან.

ბათუმელი იურისტის ასლან ჩაჩანიძის აზრით, ამ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკა ძალიან ბუნდოვანია და სახელმწიფო პროგრამა დაზარალებული მოსახლეობის სოციალურ გარანტიებს არ ითვალისწინებს.

ექსპერტები შიშობენ, რომ აჭარის ეკოლოგიური მდგომარეობა სულ უფრო უარესდება. სოფელ ადლიაში შავი ზღვის სანაპირო ზოლის 300 მეტრი წყლით დაიფარა, რის შედეგადაც რამდენიმე სახლი დაინგრა. მახლობლად მდებარე ბათუმის აეროპორტსაც საფრთხე ემუქრება. წვიმიან ამინდში ტალღები ასაფრენ ბილიკამდე და ქალაქ ქობულეთის მახლობლად რკინიგზის რელსებამდე აღწევს.

გეოლოგი ტარიელ ტუსკია მთიან რეგიონებში პრობლემების მატებას ვარაუდობს.

„როცა თოვლი დნობას დაიწყებს, სტიქიური უბედურებები უფრო გახშირდება... საერთოდ, მთიანი აჭარა უკვე მთლიანად საშიშ ზონაშია მოქცეული“, – დასძინა მან.

www.iwpr.net

# ელისაბედ მეორის მფარველობით

საქართველოში ბრიტანეთის საბჭოს ოფისში გაიმართა შეხვედრა, რომელიც საქართველოში ინგლისურად მოლაპარაკეთა კავშირის საქმიანობას მიეძღვნა. The English Speaking Union Of Georgia 1998 წელს დაარსდა და მისი თავმჯდომარე მარინა ციციშვილია. ლონდონში 1918 წელს დაარსებული კავშირის მფარველი კი ინგლისის დედოფალი ელისაბედ მეორე გახლავთ, მისი პრეზიდენტია პრინცი ფილიპი - ედინბურგის ჰერცოგი, ხოლო ვიცე-პრეზიდენტი - ტონი ბლერი. ინგლისურად მოლაპარეკეთა კავშირი დამოუკიდებელი, არაპოლიტიკური, საგანმანათლებლო და საქველმოქმედო ორგანიზაციაა. ძირითადად იგი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამებს აწყობს. ერთ-ერთი პროგრამა, რომელსაც ESU ახორციელებს, ორატორული ხელოვნების კონკურსია.

წლევანდელი კონკურსის გამარჯვებულები არიან ამერიკის აკადემიადამთავრებული ლევან მუჯირი და ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტი სანდრო ჭიაურელი.

"გლობალური მომავლის დაგეგმარება" - ეს გახლავთ ის თემა, რომლის ორატორული ნიჭი ამ ორმა ახალგაზრდამ მაისის თვეში ლონდონში გამართულ კონკურსზე უნდა წარმოაჩინოს.

წლევანდელი კონკურსის სპონსორები არიან საქართველოში ბრიტანეთის საბჭო და ბრიტანეთის ავიახაზები. ქართველმა კონკურსანტებმა კი წარმატებას 53 სხვა ქვეყნის წარმომადგენელს შორის უნდა მიაღწიონ.

*მოკლედ*

## ვან გოგი 40 მილიონად

ვინსენტ ვან გოგის ტილო "მადამ ჟინუ" ნიუ იორკში, კრისტის აუქციონზე, 40 მილიონ 336 ათას დოლარად გაიყიდა. საფრანგეთის სამხრეთული ქალაქის ერთ-ერთი კაფეს მფლობელის პორტრეტი მხატვარმა 1890 წლის თებერვალში შექმნა და თავის მეგობარსა და კოლეგას პოლ გოგენს აჩუქა.

გასული საუკუნის 20-იან წლებში ნახატი ამერიკელმა კოლექციონერებმა რუთ და გარი ბეკვინებმა შეიძინეს. სწორედ მათმა შთამომავალმა გამოფინა ტილო აუქციონზე. თანხა, რომელიც "მადამ ჟინუ"-ს ანონიმურმა მყიდველმა გადაიხადა, ვან გოგის სხვა ნამუშევრებში გადახდილი ფასის მიხედვით მეოთხე ადგილზეა. მხატვრის ყველაზე ძვირადღირებული ტილო კვლავ "დოქტორ გაშეს პორტრეტია", რომელიც კრისტის აუქციონზე 1990 წელს 82,5 მლნ დოლარად გაიყიდა. სტივენ კოენმა ვან გოგისა და გოგენის ნამუშევრები სტივ უინისგან 100 მლნ დოლარად შეიძინა.

## პიკასო 95,2 მილიონად

გასულ კვირას გაიყიდა პაბლო პიკასოს ნახატი "დორა მაარი კატასთან ერთად". აუქციონზე მყიდველმა მასში 95,2 მილიონი დოლარი გადაიხადა. ეს ნამუშევარი ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებულია, არა მარტო პიკასოს კოლექციაში, არამედ, მთელ მსოფლიოში. ამ ნახატზე ძვირად მხოლოდ ერთი ტილოა გაყიდული; ამავე მხატვრის 1905 წელს შექმნილი "ბიჭი ჩიბუხით" ორი წლის წინ 104 მილიონ აშშ დოლარად გაიყიდა. ეს თანხა ყველაზე დიდია აუქციონის ისტორიაში, რაც კი ნახატის საყიდლად გადაუხდიათ. ტილოს "დორა მაარი კატასთან ერთად" უცნობი მყიდველი რუსი აღმოჩნდა. ნახატის ახალი მეპატრონე, გაზეთ "ტიამსის" ინფორმაციით, მოსკოველი მილიარდერი რუსტამ ტარიკო გახდა. სხვა ინფორმაციის მიხედვით, პიკასოს ტილო ალექსანდრ აბრამოვმა შეიძინა, თუმცა მისი წარმომადგენლები ამ ინფორმაციას უარყოფენ.

*მედიანიუსი*

## სოხუმში სერგეი დბარს ძეგლს უდგამენ

მალე სოხუმში ძეგლს დაუდგამენ აფხაზი ხალხის გმირს, "ახიძ-აფშას" ორდენის კავალერს, გენერალ-ლეიტენანტ სერგეი დბარს. ბიუსტის აღსამართავად პირველი ლოდის ჩადების საზეიმო ცერემონიალს გამარჯვების პარკში სეპარატისტული მთავრობის ისტებლიშმენტი სრული შემადგენლობით დაესწრო. ამას გარდა, გუდაუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს დბარის სახელი ეწოდა.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## კურსკში ხატი მოიპარეს

რუსეთში, კურსკის ცენტრში მდებარე ზნამენიეს საკათედრო ტაძრიდან სიწმინდე - წმიდა ღვთისმშობლის ხატი "ზნამენიე" მოიპარეს. ეს ხატი რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის კუთვნილი ერთ-ერთი უძველესი სიწმინდეთაგანია. გადმოცემის მიხედვით, ხატი 1295 წელს კურსკის სიახლოვეს აღმოაჩინეს. მისი ასლი XIX საუკუნეში შეიქმნა. უკვე რამდენიმე ათეული წელია ხატის ორიგინალი აშშ-ში ინახება. წლობით მიმდინარე მოლაპარაკებები ხატის დაბრუნების თაობაზე კი მუდმივად უშედეგოდ მთავრდება.

## თეატრი რეჟისორის მოლოდინში

ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის აკადემიური თეატრი მთავარი რეჟისორის მოლოდინშია. ეს თანამდებობა მას შემდეგ გახდა ვაკანტური, რაც ნუგზარ ლორთქიფანიძემ რვა თვის წინ საკუთარი სურვილით დატოვა თეატრი. ამ ხნის მანძილზე ქუთაისის მერიის კულტურის სამსახური რამდენიმე რეჟისორთან აწარმოებდა მოლაპარაკებას. საბოლოოდ გიორგი სიხარულიძეზე შეჩერდა არჩევანი. "მიხეილ თუმანიშვილის მოწაფეს გიორგი სიხარულიძეს მარჯანიშვილის თეატრში დადგმული წარმატებული სპექტაკლებისთვის ვუცხადებთ ნდობას", - განაცხადა ქუთაისის მერიის კულტურის სამსახურის უფროსმა ქეთევან მამუკელაშვილმა. გიორგი სიხარულიძე ადასტურებს, რომ მას ეს თანამდებობა შესთავაზეს. მისი თქმით, თუ კულტურის მინისტრი მას ქუთაისში რეჟისორად დაამტკიცებს, კომენტარს შემდეგ გააკეთებს. ახალი მთავარი რეჟისორი ქუთაისის აკადემიურ თეატრს, სავარაუდოდ, მაისის ბოლოს ეყოლება.

*ინტერპრესნიუსი*

## გარემიქსებული "მოხუცი და ზღვა"

ქართველი მაყურებელი უახლოეს მომავალში პანტომიმის თეატრის სცენაზე ერნესტ ჰემინგუეის "მოხუცი და ზღვას" იხილავს. რომლის დამდგმელი რეჟისორია დავით შალიკაშვილი. მუსიკა, ქორეოგრაფია და მხატვრული გაფორმებაც მას ეკუთვნის. მთავარ როლშია უფროსი ამირან შალიკაშვილი. "იგი გათანამედროვებული და გარემიქსებულია. ფინანსური მხარის მოგვარების შემთხვევაში მაყურებელი სპექტაკლის პრემიერას მაისის ბოლოსთვის იხილავს," - თქვა რეჟისორმა.

## "რომეო და ჯულიეტა" ოპერაში

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში 19 მაისს "რომეო და ჯულიეტას" პრემიერა გაიმართება. ბალეტის დამდგმელი ქორეოგრაფია მიხეილ ვარლოვსკი. მონაწილეობენ ოპერისა და ბალეტის თეატრის დასის წამყვანი მოცეკვავეები - ლალი კანდელაკი და ირაკლი ბახტაძე.

თეატრის პიარმენეჯერის თამარ მოდებაძის თქმით, სპექტაკლის დამდგმელ ქორეოგრაფთან მიხეილ ვარლოვსკთან ერთად მოსკოვის დიდი თეატრიდან ჩამოდიან მისი ასისტენტები დიმიტრი კორნევი, ირინა ივანოვა და ალექსი ხაზეიჩევი.

# ლიტერატურული "დაკრუგვა"

### ბესო ხვედელიძის "უზარმაზარი", გაუთავებელი "ბაზარი"

ია ვეკუა

ბესო ხვედელიძე ახალგაზრდა, ზომიერად ფერხორციანი და, როგორც ამბობენ, პროდუქტიული მწერალია. იგი ერთნაირი წარმატებით ახერხებს სხვადასხვა ლიტერატურულ კონკურსებში მონაწილეობას, 15-დან ერთ-ერთი საუკეთესო მოთხრობის შექმნას (იხ. კრებული "წლის საუკეთესო 15 მოთხრობა") და რომანების დასტამბვასაც. დღეს, სწორედ, ამ უკანასკნელ ნაწილზე ვისაუბრებთ, რისი მიზეზიც ხვედელიძის ახალი რომანი "უზარმაზარი ბაზარია".



რომანი მწერლის ერთ-ერთი უკანასკნელი ნამუშევარია და გამომცემლობა "პალიტრა L-ის" მიერაა აკინძული. რბილი ყდა, როგორც გამოცემის ბოლო გვერდები იუწყება, კინოსტუდია "სანგუკო ფილმის" წიაღში შობილი ფილმების "კომპლექსისა" და "სუბორდინაციის" კადრებითაა დამშვენებული. მართალია, ამ ფილმების სახელწოდება (ისევე, როგორც, კინოსტუდიისა) ბევრს არაფერს ამბობს, კადრები მაინც ახერხებენ ნაწარმოებზე გარკვეული წარმოდგენის შექმნას - ხვედელიძის რომანი თაობის გამოძახილია!

ბესო ხვედელიძე ახალგაზრდობასთან ერთად იშვიათი, თუმცა ზრდილობიანი საუბრითაც ხასიათდება. აი, მისი რომანის გმირები კი, მტრისას, გაუთავებლად მათთვის დამახასიათებელ ენაზე "ბაზრობენ"... თუმცა როგორც ლიტერატურის კრიტიკოსი ლევან ბრეგაძე ამბობს, ეს ის შემთხვევაა, როდესაც ჟარგონი არ არის გამაღიზიანებელი და საუკეთესოდ მიესადაგება ნაწარმოების ხასიათს.

ლევან ბრეგაძე აშკარად ბესო ხვედელიძის შემოქმედების დიდი თაყვანისმცემელია. ბრეგაძეს გაუთავებლად შეუძლია ისაუბროს მის ახალ რომანზე და თითქმის ყველა დეტალი საოცარი სიზუსტით განიხილოს. "ბესო ხვედელიძე პირველივე წიგნიდან მიმაჩნია კარგ მწერლად. არც მახსოვს, როდის იყო დამწყები მწერალი, რადგან იმთავითვე მიიქცია მკითხველისა და კრიტიკის დიდი ყურადღება. თავიდან არ მეგონა, თუ ეს ნაწარმოები დამაინტერესებდა, რადგან ბოლო დროს, ბევრი ახალგაზრდა ავტორი ერთსა და იმავე ენაზე ყვება თითქმის იდენტურ ისტორიებს, რაც ძალიან მომაბეზრებელია", - ამბობს ლევან ბრეგაძე, რომელიც თანამედროვე ლიტერატურულ წრეებში ავტორიტეტით სარგებლობს, რაც ალბათ ძალიან ახარებს ბესო ხვედელიძესაც.

"უზარმაზარი ბაზარი" ავტორის შესავალი სიტყვით იწყება, სადაც გვაფრთხილებს, რომ ნაწარმოებში მოთხრობილი ისტორია თავისუფლად შეიძლება იყოს ფაქტი, ან დასაშვები ფაქტი. ამით ავტორი წინასწარვე განგვაწყობს იმისთვის, რომ ნაწარმოების მთავარი გმირი შესაძლოა თავადაც იყოს.

გმირთან საკუთარი თავის იდენტიფიკაციას ხვედელიძე ნაწარმოების მსვლელობისას კიდევ არაერთხელ ახდენს. მაგალითად, როდესაც ექიმების თქმით, "პერედოზით" გარდაცვლილი კალეს პანაშვიდზე თავისი რეალური მეგობრები მიჰყავს. "გიჟ-პოეტები" (ავტორი მათ პოეტებს, არტისტებს და უბრალოდ, კაი ხალხს უწოდებს) შოთა იათაშვილი, ზურაბ რთველიაშვილი და გოგი ბუნდოვანი კალეს "დაკრუგვის" შემდეგ პანაშვიდიდან იკრიფებიან, ზურა რთველიაშვილი კი ყველას გასაგონად ამაყ ფრაზას ტოვებს: Нас мало, но мы в тельняжках! არის რთველიაშვილში რაღაც მაიაკოვსკისეული (გინახავთ გურამ წიბახაშვილის ფოტოსერია?..)

ხვედელიძე ახალ რომანში არც ძველი პერსონაჟების "გადმოპატიჟებას" ერიდება და კალეს "დასაკრუგად" საკუთარი მოთხრობის "თამროს" გმირები - თამრო და გიო მოჰყავს. აქვე მიხეილ ანთაძეც ახსენდება და ამ "ჩვენებური მწერლის კაი ცოფიანი ნაწარმოების" ("ცოფი") გმირივით აპირებს მოქცევას, მაგრამ... ლოლას არც ჩემოდანს გამოგლეჯს ხელიდან და ლოგინზე მიგდებულს არც კაბას გადახდის...

რომანი კალეს უეცარი გარდაცვალების ცნობით იწყება. მისი სიკვდილის არც მოწმეები ჩანან და არც მონაწილენი. მხოლოდ ის ვიცით, რომ "ექიმებმა რაღაც უცნობი პრეპარატის კვალი აღმოუჩინეს ორგანიზმში". კალესა და მისი გარდაცვალების ამბავს მისი მეგობარი გვიყვება, რომელთან ერთადაც მთელი რომანის განმავლობაში ვმოგზაურობთ დროიდან დროში, სიზმრიდან სიზმაში, მეკუზოვე შექსპირთან, მედუქნე ნელსონთან და წამლის ბარიგებთან.

მოკლედ, რომანი ჯერ ბოლომდე არ წამიკითხავს, მაგრამ როგორც ამბობენ, ბესო ხვედელიძე კარგი მწერალია...

# ბრედ პიტი ქართველი რეჟისორის ფილმში

ჰოლივუდი ქართველი რეჟისორის გელა ბაბლუანის შემოქმედებით დაინტერესდა.

ჯერ კიდევ გასული წლის ვენეციის საერთაშორიოს კონოფესტივალზე 28 წლის კინორეჟისორის სახელი ყველას პირზე ეკერა. ცნობილი რეჟისორის, თემურ ბაბლუანის შვილმა პრესტიჟულ საერთაშორისო კინოფესტივალს სასიამოვნო სიურპრიზი მოუმზადა, საათნახევრიანი შავ-თეთრი და დახვეწილი ფილმი "13" ჟიურიმ მცირე "ოქროს ლომით" დააჯილდოვა. ეს უკვე დიდ კინემატოგრაფიაში მიღებას ნიშნავდა.

ფრანგული კინოკომპანიების მიერ დაფინანსებული სრულმეტრაჟიანი ფილმი ახალგაზრდა, უცნობი, ქართველი რეჟისორის ინტერპრეტაციით, ერთდროულად ჩამოგავდა 50-იანი წლების შავ-თეთრ ამერიკულ თრილერებსა და ევროპულ დახვეწილ დეტექტივებს.

საფრანგეთის ერთ-ერთი ქალაქის გარეუბანში საეჭვო ვითარებაში ბიზნესმენი იღუპება, რომლის სახლის რემონტს ქართველი ემიგრანტი ატარებს. იგი შემთხვევით ბიზნესმენის მატარებლის ბილეთს პოულობს და მის ნაცვლად მიემგზავრება.

დამაინტრიგებელი სიუჟეტი იმით სრულდება, რომ ბიზნესმენის ნაცვლად რიცხვი 13 ქართველ ახალგაზრდას ერგება. აღმოჩნდება, რომ ეს რიცხვი მისი ნომერია რუსული "რულეტკის დატრიალებაში". სისხლიანი თამაშები სწორედ დებიუტანტის იღბლიანი გასროლით მთავრდება. მოგებულ ნახევარმილიონ ევროს საკუთარ ოჯახს უგზავნის, მაგრამ თვითონ ამავე ფულს შეეწირება.

ასეთია მოკლე შინაარსი თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალ "პრომეთეზე" წარმოდგენილი ფილმისა, რომელიც ვენეციაში წარმატებული დებიუტის შემდეგ საქართველოში პირველად აჩვენეს.

შემდეგ იყო სანდენსის უაღრესად პრესტიჟული, დამოუკიდებელი კინოს ფესტივალი, რომელზეც ფილმი სტივენ სპილბერგმა ნახა. ამერიკული გაზეთები წერდნენ, რომ სპილბერგი აღფრთოვანებული დარჩა ახალგაზრდა ქართველი რეჟისორის ნამუშევარით. "უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ეს არის საუკეთესო ევროპული ფილმი, რომელიც მინახავს",- წერდა სპილბერგი. გასაკვირველია, ამგვარი რეკლამა ჰოლივუდს შეუმჩნეველი არ დარჩენია. "მირა მაქსის", "იუნივერსალის", "პარამაუნტის", "კოლუმბია პიქჩერსისა" და სხვა სტუდიების შეთავაზება უკვე მრავლისმეტყველია. ამგვარი რამ, თვით ყველაზე დიდ ქართველ რეჟისორებსაც არ ღირსებიათ.

თუ ოთარ იოსელიანი ევროპული რაფინირებეული საავტორო კინოს სამყაროში კანონიერად ჩაეწერა, ნანა ჯორჯაძე "არტ ჰაუზის" სასიამოვნო, მაგრამ კამერულ ინტერიერში მოხვდა, ხოლო დიტო ცინცაძე გერმანული და ზოგადევროპული კინემატორგაფის პოპულარულ, მაგრამ ამერიკაში უცნობ პერსონად დარჩა, გელა ბაბლუანი მათგან განსხვავებით ჰოლივუდშიც ცნობილია.

ახალგაზრდა ქართველი რეჟისორის უდიდეს წარმატებად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ სანდენსის ფესტივალზე ფილმს "13" გრანპრი მიეკუთვნა. ხოლო მისი ახალი ფილმის სცენარით ბრედ პიტი დაინტერესა. არ არის გამორიცხული, რომ ჰოლივუდში გელა ბაბლუანის ახალ ფილმში სწორედ მან შეასრულოს მთავარი როლი. მანამდე კი მამასთან ერთად გელა ბაბლუანი კიდევ ერთ ფილმზე მუშაობს, რომლის პირობითი სახელწოდებაა "მემკვიდრეები". ფილმი ევროპულ კინოეკრანებზე სავარაუდოდ სექტემბერში გამოვა. რამდენიმე კვირით გელა ბაბლუანი თბილისშიც იმყოფებოდა და განაცხადა, რომ სიამოვნებით იმუშავებდა საქართველოში, დაფინანსების საშუალება რომ არსებობდეს.

"დღეს საქართველოში შემოქმედებითი კრიზისია. არავის არაფრის კეთების საშუალება არ ეძლევა. ბუნებრივია, კრიზისია კინოშიც. ათი წელია საფრანგეთში ვცხოვრობ და ამას კარგად ვხედავ. გული მწყდება, რომ უდიდესი ტრადიციის ქართული კინო კვდომის პირასაა. ძალიან საინტერესო კინო გვქონდა, პოტენციალი რეჟისურაში ახლაც არსებობს, მაგრამ სოციალურ-პოლიტიკურმა მოვლენებმა კინო ყველას დაავიწყა. ქვეყნის ინტერესი საკუთარი პროფესიიდან გამომდინარე უნდა დავიცვათ. პროფესიონალები ყოველთვის კარგი მოქალაქეები და პატრიოტები იქნებიან. თუ ყველა თავის საქმეს ღირსეულად მიუდგება ღირსეული სამშობლოც გვექნება. ძალიან ბედნიერი ვიქნები, თუ ჩემი ფილმებით ცოტაოდენს შევმატებ ქართულ კინოს", - აცხადებს ახალგაზრდა რეჟისორი.

რაც შეეხება მომავალ პროექტს, იგი დაკავშირებულია ჰოლივუდთან და კონკრეტულად ბრედ პიტთან. გარდა მძლავრი ფინანსური მონსტრი კინოსტუდიებისა, ბაბლუანის სცენარით დამოუკიდებელი სტუდია "პლან ბი" დაინტერესდა, რომელიც ფორმალურად ბრეტ პიტს ეკუთვნის. ცნობილი ვარსკვლავის პარტნიორი და მენეჯრი ჯერემი კლაიენსი გელა ბაბლუანს პარიზში შეხვდა და მასთან საერთო პროექტის თაობაზე სერიოზული მოლაპარაკება გამართა. როგორც კლაიენსი ამბობს, ფილმი "13" მასაც მოეწონა და მოხარული იქნება, თუ ქართველი რეჟისორი ახალ ფილმს მის სტუდიაში გადაიღებს. მთავარ როლს კი სწორედ ბრედ პიტი შეასრულებს.

# ქართულად ამეტყველებული მუსიკა

### ინგლისურ-ქართული მუსიკალური ლექსიკონი

ია ვეკუა

ამიერიდან მუსიკალური განათლების მქონეთ ერთმანეთთან პროფესიული საუბარი გამართულ ქართულ ენაზე შეეძლებათ - ინგლისური ენის ფილოლოგმა ქეთევან თუხარელმა "ინგლისურ-ქართული სამუსიკო ლექსიკონი" გამოსცა. ლექსიკონში 2300 სიტყვაა გაერთიანებული და თითქმის მთლიანად მოიცავს მუსიკალური ტერმინების უზარმაზარ სამყაროს.

"ინგლისურ-ქართული სამუსიკო ლექსიკონი" ქეთევან თუხარელის მეორე დამოუკიდებელი ნამუშევარია. ერთი წლის წინ მან "სახვითი ხელოვნების ინგლისურ-ქართული ლექსიკონი" გამოსცა, რომელიც უკვე იქცა ამ სფეროთი დაინტერესებული ადამიანების სამაგიდო წიგნად. ახალი გამოცემა კი მუსიკოსებს, კონსერვატორიის სტუდენტებს, პედაგოგებს და მუსიკათმცოდნეებს დააინტერესებს.



*ქეთევან თუხარელი.*

"მე ხელოვანთა ოჯახში გავიზარდე, ამიტომ მხატვრობასთან, მუსიკასთან და ხელოვნების სხვა დარგებთან დაკავშირებული ტერმინები ბავშვობიდან მესმოდა. საბოლოოდ, გადავწყვიტე, ისინი ქართულ ენაზე მეთარგმნა, ანუ ცალკე ლექსიკონი გამომეცა. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ "სახვითი ხელოვნების ინგლისურ-ქართული ლექსიკონი" ყველამ კარგად მიიღო ისევე, როგორც ახალი გამოცემა", - განაცხადა ქეთევან თუხარელმა.

ორივე ლექსიკონი საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერაა რეკომენდებული და სასწავლო პროგრამისთვისაც მისაღებია. ლექსიკონებს გამომცემლობა "ნეკერა" გამოსცემს.

ლექსიკონში მუსიკალური ტერმინების ქართული განმარტებების გარდა საკრავების, მათი დეტალების, მუსიკალური მიმდინარეობების და სხვათა ქართულ შესატყვისებს შეხვდებით. აღსანიშნავია, რომ ქეთევან თუხარელი მხოლოდ კლასიკური მუსიკის ტერმინებს არ თარგმნის და მის ლექსიკონში თანამედროვე მუსიკისთვის დამახასიათებელ სიტყვებსაც შეხვდებით, მაგალითად, "პოპ ვარსკვლავი", "პოპ მუსიკა", "კარაოკე" და სხვა.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ლექსიკონი ქართული საკრავების განმარტებებსაც მოიცავს. გარდა იმისა, რომ ყველა მათგანი ლექსიკონის ძირითად ნაწილშია მოცემული, მათთვის გამოცემაში ცალკე ადგილიცაა გამოყოფილი. ლექსიკონის ჩანართში ქართული სიმებიანი, ჩასაბერი, მემბრანიანი და თვითხმოვანი ინსტრუმენტების ინგლისური განმარტებებია ჩამოთვლილი.

"მინახავს ლექსიკონები, სადაც მოცემულია ბალალაიკას განმარტება, ამიტომ საჭიროდ მივიჩნიე, რომ ჩემს ლექსიკონში ქართული საკრავების თარგმანიც შემეტანა. ცხადია, ამ ლექსიკონში წარმოდგენილი მასალა არ არის სრულყოფილი, რადგან ხელოვნების, კერძოდ კი მუსიკის სამყარო ამოუწურავი თემაა, ამიტომ მასზე მუშაობას კვლავ გავაგრძელებ", - აღნიშნა მთარგმნელმა.

ქეთევან თუხარელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის უფროსი მასწავლებელია. გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე სამეცნიერო შრომა ლინგვისტიკის საკითხებზე. აგრეთვე, ინგლისურ-ქართული მრავალდარგოვანი ლექსიკონის ერთ-ერთი შემდგენელია. ეწევა მხატვრული ლიტერატურის მთარგმნელობით საქმიანობასაც.

არტ-კრიტიკა

# ელიტათა კონფლიქტი საქართველოში

მზევინარ ხუციშვილი

*ბევრი რამ არის ამ ქვეყანაში, რის ახსნაც შეუძლებელია, მაგრამ არის თემები, რომლებსაც უბრალოდ გვერდს უვლიან. ისინი არანაკლებ ღირებული და მნიშვნელოვანია. სიტყვა კულტურასაც მხოლოდ ერთ კონტექსტში განიხილავენ, ანუ უბრალოდ უკავშირებენ რაიმე ღონისძიებას და დღესასწაულს, თუმცა ის უფრო მრავალფეროვანი და ფართომასშტაბიანია. მის მნიშვნელობასა და ღირებულებებზე საუბრობს კულტუროლოგი ლელა იაკობიშვილი.*



ლელა იაკობიშვილი

უპირველეს ყოვლისა, უკანასკნელ პერიოდში აშკარა ხდება, რომ ქართული კულტურა სრულიად ახალ რეჟიმში იწყებს მუშაობას და ცდილობს, ადაპტირდეს იმ პროცესებთან, რომელიც მსოფლიოში მიმდინარეობს. რამდენად მდგრადია ქართული კულტურა ამ პროცესების მიმართ, რამდენად ახერხებს იგი თვითრეგულირებადი ავტონომიური რეჟიმის შენარჩუნებასა და მოწესრიგებას; არსებობის რა ვერსიას სთავაზობს მას მსოფლიო და როგორ ვერსიაში ცდილობს იგი მიუერთდეს იმ პროცესებს, რომელიც დღეს დომინანტურია; რა როლს თამაშობენ ქართული ელიტები ქართული კულტურის დღევანდელ ვერსიაში და თამაშობენ თუ არა რაიმე როლს ზოგადად. ეს ის შეკითხვებია, რომელიც არ ტოვებს გულგრილს არც ერთ ჩვენთაგანს, რომლისთვისაც ქართული კულტურა ღირებულია, როგორც მსოფლიო პოლიმოზაიკური სივრცის ერთ-ერთი უნიკალური და თვითმკმარი მოცემულობა.

**- რას ნიშნავს სიტყვა კულტურა, როგორც ცნება?**

- კულტურა თავისთავად არაერთმნიშვნელოვანი ცნებაა. მისი შინაარსი ხშირ შემთხვევაში ძალზე საკამათო ხდება. თითქმის არ არსებობს არავითარი შეთანხმება, რას გულისხმობენ ხოლმე ამ ცნების მიღმა. ის პროცესები, რომლებიც დღეს მსოფლიოში მიმდინარეობს, კიდევ უფრო მძაფრსა და დრამატულს ხდის კულტურული იდენტობის თემას. თავისთავად არც სიტყვა "გლობალიზმი" გახლავთ ერთმნიშვნელოვანი. ის ინფორმაციული ველი, რომელსაც ჩვენ გლობალურს ვუწოდებთ, სხვადასხვა ენერგეტიკულ დონეზე სხვადასხვა ფორმებში ავლენს თავს. მაგალითისათვის, გლობალიზაციას მსოფლიო ეკონომიური მოვლენების საფუძველზე მიმდინარე პროცესს უფრო უწოდებენ, ვიდრე რაიმე სხვას.

**- რამდენად განაპირობებს ეკონომიკური და პოლიტიკური გლობალიზაციის პროცესი კულტურის ახლებურ რეჟიმს, ან ზოგადად, განაპირობებს თუ არა და რამდენად მდგრადია თითოეული და კერძოდ, ქართული კულტურა გლობალიზაციური "აგრესიის" მიმართ?**

- ის, რაც საქართველოსათვის მართლაც პრობლემურია, არის ის, რომ ჩვენი კულტურა ცდილობს ახალ, მსოფლიო პროცესების რეჟიმზე გადაწყობას და ეს უკიდურესად მტკივნეულად მიმდინარეობს. უმთავრესი, რაც ამ სირთულეს განაპირობებს, არის ის, რომ ქართული ელიტის "ელიტებად" ქცევამ რაღაც დროით შემოქმედებითი ღერძი გამოაცალა კულტურას. მოხდა ინტელიგენციის მარგინალიზაცია. ეს სრულიად შეუქცევადი პროცესია იმის გამო, რომ ელიტები თავად ახდენენ მონოლითური ერთიანი კულტურული რეჟიმის რღვევას და პასუხისმგებელნი ხდებიან დეკონსტრუირებული სივრცის კონკრეტულ უბანზე. ყველაფერი ეს უფრო კონკრეტული და თვალსაჩინო რომ იყოს, გავიხსენოთ - სულ ცოტა ხნის წინათაც ერთიანი ელიტა იყო ის სოციალური სეგმენტი, რომელიც თავის თავში მოიცავდა არა მხოლოდ კულტურის, არამედ ეკონომიკასა და პოლიტიკაში მიმდინარე პროცესების მართვასა და მათზე კონტროლს. იგი შემოქმედებითი იყო სრულიად სოციალურ ველში მიმდინარე პროცესების მიმართ. განსხვავებით ერთიანი ელიტისაგან, ელიტები საზოგადოებრივი ცხოვრების მხოლოდ ერთ სფეროზე ფლობენ ძალაუფლებასა და კონტროლის უნარიც მხოლოდ ერთ, კონკრეტულ სფეროში მიმდინარე პროცესებზე აქვთ.

**- ჩვენი ყველაზე მთავარი საშიშროება...**

- ჩვენთვის, ქართველებისთვის მართლაც არსებობს ერთი საშიშროება - მსოფლიო გლობალური პროცესები ისეთი სიჩქარით მიმდინარეობს, რომ, შესაძლოა, მსოფლიო პროცესებში ინტეგრირებულმა ელიტებმა თვალი კი გაუსწორონ ქართული კულტურისათვის სრულიად უცხო ტემპს, მაგრამ ასევე შესაძლოა, დაკარგონ შიდა კომუნიკაციები, ელიტებს შორის შიდა კავშირები. ამის ნიშნები არა თუ შეიმჩნევა, არამედ ამ ბოლო დროს სრულიად გამოიკვეთა კიდეც. ეს პროცესი კი არაფრით არ წაადგება სახელმწიფოს, როგორც მონოლითურ სისტემას. უფრო მეტიც, თავად სახელმწიფოებრივი ინსტიტუტები, მხოლოდ არსებული კულტურის რეჟიმში ახერხებენ თვითრეალიზაციას, რადგან ეს კულტურა მათთვის სრულიად ორგანულია. ამიტომ დღეს პრობლემა მხოლოდ ის კი არ არის, რამდენად ვუსწორებთ მხარს მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს, არამედ ისიც, რამდენად ვცდილობთ ჩვენი ორგანული სხეულის საკუთარი კულტურის რეჟიმში შენარჩუნებას.

**- რამდენად დეკონსტრუქციულია ელიტებს შორის აუწყობელი შიდა კავშირები?**

- დღეს ელიტებს შორის აუწყობელი შიდა კომუნიკაციები დეკონსტრუქციული კი არა, დესტრუქციულია. წარმოუდგენელია ბიზნესელიტას არ ესმოდეს პოლიტიკური ელიტის, პოლიტიკურ და ბიზნესელიტას ერთად ინტელექტუალური და სამეცნიერო ელიტის. ძალზე უცნაურია, მაგრამ პოლიტიკური ელიტა თავს მოვალედ მიიჩნევს, ბიზნესსივრცისა და ინტელექტუალური სივრცის მართვა და კონტროლი აიღოს თავის თავზე. ჯერჯერობით ამას საკმაო წარმატებითაც ახერხებს. მაგალითისათვის, პოლიტიკური ელიტის მიერ წამოწყებული განათლებისა და მეცნიერების რეფორმის თემა არა თუ არ აიტაცა სამეცნიერო და საგანმანათლებლო ელიტამ, არამედ სწორედ რომ პირიქით. პრობლემა მართლაც, რომ სერიოზულია. განათლების სისტემას, რომ რეფორმა სჭირდება, ეს თავად სამეცნიერო და საგანმანათლებლო ელიტამაც დიდებულად იცის, მაგრამ განათლების რეფორმის ინიციატივა მათგან არ წამოსულა. დღეს მთელ საქართველოში განათლების რეფორმის იმ ვერსიას, რომელსაც პოლიტიკური ელიტა გვთავაზობს, საფრთხედ აღიქვამენ და ქართული იდენტობის რღვევის საშიშროებად განიცდიან. სწორედ აქ ხდება კომუნიკაციური მექანიზმების დატოვება "ნაციონალურ კონტროლს" (ამ ცნებას სახელმწიფოებრივი ნების აღსაწერად იყენებენ) მიღმა. იგივე შეძლება ითქვას ბიზნესელიტასა და პოლიტიკურ ელიტას შორის შიდა სახელმწიფოებრივ კომუნიკაციაზე. სწორედ ეს პრობლემა დგას დღევანდელ საქართველოში. ჯერაც ვერ ხერხდება ქართული კულტურის სასარგებლოდ ელიტათა შორის როლების გადანაწილება. მათ შორის სწორედ და ბუნებრივად არსებული კომუნიკაცია კულტურის ორგანულ თვითრეგულირებად სისტემას - კულტურის რეჟიმს ქმნის, სადაც იდენტობათა რღვევის საშიშროება მართლაც ძალზე მცირეა.

**- იმ შემთხვევაში თუ ქართული ელიტ-ჯგუფები ვერ მოახერხებენ ერთმანეთში მჭიდრო დიალოგის აწყობას?**

- ამ შემთხვევაში საკმარისად დიდი იქნება იმის საშიშროება, რომ ქართული ელიტები მთლიანად დარჩნენ მიბმულნი საქართველოს გარეთ მიმდინარე პროცესებზე, გარე ელიტებსა ან ფსევდოელიტებზე. ეს კი ძალიან დიდი რისკის წინაშე აყენებს ზოგადად ქართულ კულტურას. გარდა იმისა, რომ მას სულიერების second hand-ად გადაქცევა ემუქრება, იგი თავისი ორგანიზმის ევოლუციურ მართვას ვერ ახერხებს და ქაოსი და რევოლუციური განწყობილებები მისი შინაგანი დრამატიზმის დეტერმინანტული განცდები იქნება სამუდამოდ. ასეთი ტიპის რეჟიმი კი თავისთავად საშიშროებას უქმნის არა მხოლოდ საკუთარ თავს, არამედ გარე სამყაროსაც. გარე სამყაროს ამიტომაც აქვს ბუნებრივი თავდაცვის ინსტინქტი ყველა მსგავსი შფოთისაგან და იგი ბუნებრივად გამოიმუშავებს ასეთი სიტუაციისათვის ქაოსის მართვის მექანიზმებს. ასეთ შემთხვევაში მოცემული სოციო-კულტურული სივრცე სრულიად ხდება დამოკიდებული მართვის იმ მექანიზმებზე, რომელსაც მას გარედან სთავაზობენ, ხოლო ელიტები უნებლიეთ იქცევიან გარე ძალების ემისრებად. ჩვენი უკანასკნელი თხუთმეტწლიანი ისტორია ამის საუკეთესო მაგალითია. ჩვენ საფრთხეს აღარ წარმოვადგენთ გარე სამყაროსათვის. საფრთხეს წარმოვადგენთ მხოლოდ საკუთრივ ჩვენთვის, საკუთარი თავისთვის.

**- ჩვენ უნებლიეთ ძალზე ფაქიზ თემას შევეხეთ. - არსებობს კი რესურსი, რომ პროცესების ასეთი განვითარება თავიდან ავიცილოთ?**

- ჩვენი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის თხუთმეტთექვსმეტი წლის მანძილზე, როცა ძალზე რთული იყო ელიტებად დადგომის პროცესი, მეტ-ნაკლებად მტკივნეულად ეს მაინც მოხერხდა და დღეს ეს პროცესი წარმატებით გრძელდება ... ჩვენი ნებისმიერი ელიტა ძალზე მგრძნობიარეა. თითოეული მათგანისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ არ მოხდეს მათი მსოფლიო პროცესებიდან მარგინალიზაცია, რისი ნიშნებიც უკვე აშკარად შეიმჩნევა. ამისგან თავდაცვა ერთადერთ შემთხვევაში მოხდება - თუ შესაძლებელი გახდება, რომ თავად ელიტები აღმოჩნდნენ ჩვენი სივრცის მაკონსტრუილებელნი მათთვის სრულიად ბუნებრივი და ორგანული რესურსით - თითოეულისათვის თავადვე აგებული ღირებულებათა სისტემით, რომელიც გადამწყვეტი რესურსია ყოველი მათგანის სახიერებისათვის.

**- თითოეული მათგანის სახის აღწერა ჩვენთვის საკმაოდ მტკივნეულია, რადგან ამ კულტურისა და ელიტების ორგანულ ნაწილად ჩვენც მივიჩნევთ თავს, მაგრამ ცოტაოდენი მათ სახიერებაზეც ვთქვათ...**

- პოლიტიკური ელიტა ვერა და ვერ ექცევა გარკვეული იდენტობების ფარგლებში. ჩამოყალიბდა პარლამენტთა ეგრეთ წოდებული კასტა, რომელსაც ვერ მიაკუთვნებ ვერც ერთი სოციალური ჯგუფის კულტურას. იგი არც ინტელიგენტია, არც გლეხია, არც ბურჟუა, არც "შავია", არც "ცისფერი" - არ ატარებს არც ერთის ნიშანს და მით უფრო, არც ერთის კულტურას. მას ვერც სხვა ტიპის აღწერაში მოაქცევ - იგი არც კონკრეტულ ღირებულებებს ატარებს - არც სიმართლეს, არც ემოციას, არც სიბრძნეს, არც რიტორიკას, ამიტომაც იმ ადამიანებისათვის, რომლებიც გარკვეულ ღირებულებათა სისტემაზე არიან ორიენტირებულნი (მნიშვნელობა არა აქვს "კარგზე" თუ "ცუდზე"), ძალზე ძნელია მათთან კომუნიკაცია. ამიტომაც თუ წინა ხელისუფლებასთან გაუცხოება გვქონდა, ახლა გვაქვს დაკვირვება და გაკვირვება - რა უნდათ? რა ღირებულებებს ატარებენ, ან თუ ატარებენ საერთოდ? საზოგადოება ზოგადად სტრუქტურებულია. ის ორგანიზმია. მას აქვს ფიზიკური, ემოციური, გონიერი სხეული. ორგანიზმი, რომელსაც თავიც აქვს, თვალიც და სხვა დანარჩენიც. როცა ინტელექტი ან გონიერება და სიბრძნე ლაპარაკობს, აშკარაა, რომ ეს ერის გონითი (ღვთაებრივი) ძალისხმევაა. როცა ემოცია "ლაპარაკობს", აქაც აშკარაა, რომ ეს სულიერებით სავსე გულწრფელი ძალაა. როცა ჩვენი პოლიტიკოსები ლაპარაკობენ, მათ იდენტობას ვერაფერთან დაინახავ. მათ რიტორიკაში მუდმივად ისმის სიტყვები - დასავლეთი, დემოკრატია. ეს მათგან ძალიან უცნაურია, რადგან დასავლეთი ღირებულებებზეა აგებული. ეს ღირებულებები დასავლეთში გარედან არ არის ჩათესლილი. მან თავისი არსებობის ის ვერსია, რომელშიც ცხოვრობს, საკუთარი არსობრივი შფოთითა და მუხტით ააწყო. დასავლური პოლიტიკური ელიტა ფინანსური და ინტელექტუალური ელიტით სულდგმულობს და კონტროლდება კიდევაც. საკუთარი რესურსიც მას სწორედ ინტელექტუალურ და ფინანსურ ელიტაში ეგულება.

ქართული პოლიტიკური ელიტისათვის ფინანსური და ინტელექტუალური ელიტა მტრად მოიაზრება. ამიტომ ცდილობს პოლიტიკური ელიტა დანარჩენი ორის საკუთარი ძალაუფლებით კონტროლსა და დამორჩილებას. ასეთ კომუნიკაციაში მყოფი დანარჩენი ელიტებიც უნდობლად ეკიდებიან პოლიტიკოსებსაცა და ერთმანეთსაც და არაკომუნიკაბელურ ჰერმეტულ სივრცეს ქმნიან თავიანთ გარშემო. შიდა კომუნიკაციური სისტემა, რაღა თქმა უნდა, დარღვეულია. სამაგიეროდ თითოეული მათგანი ღიაა გარე ძალებისათვის, რომელთა მიმართ თავს თავისდაუნებლიეთ მარგინალად განიცდის. ისინი საკუთარ ქცევას ზეეროვნული ღირებულებებით ხსნიან. ზეეროვნული ღირებულებები, მიუხედავად იმისა, რომ მართლაც საყოველთაო ქცევის უნივერსალურ ფორმებზეა აგებული, თავის შიგნით მაინც მონიშნული და დასახსრულია. ის ზეეროვნული ღირებულებები, რომლებიც საერთოა ნებისმიერი კულტურისათვის და არა მხოლოდ კულტურისათვის, რელიგიისათვისაც კი, სრულიად ბუნებრივად მოიცავს საკუთარ თავში ეთნიკურ და ნაციონალურ კულტურათა მრავალფეროვნებას. ამიტომ, ვფიქრობთ, როგორც ყოველთვის, ახლაც არ უნდა გადავაჭარბოთ გლობალიზაციის შეფასებაში. იგი მორიგი ეპოქალური ვითარებაა ყველა კულტურისათვის და შესაბამისად, ახალი მითი, ოღონდ თავისი რეალური საფუძვლით. გლობალიზაციის მსოფლიო პროცესი მხოლოდ კონკრეტული კულტურების შემოქმედებითი რესურსებით იკვებება. ეს რესურსები ჩვენ ჩვენთვის გვაქვს მოსაძებნი. იგი ორივე რეჟიმში - გლობალურსა და ეროვნულში - ძალზე ბუნებრივად მოგვიძიებს ჩვენი არსებობის ფორმებს. პასუხისმგებლობა ამ ძიებაზე კი ჩვენმა ელიტებმა უნდა აიღონ საკუთარ თავზე.

## სარესტავრაციო სამუშაოები

ახალი ათონისა და ბიჭვინთის მონასტრების სარესტავრაციო სამუშაოები კვლავ მიმდინარეობს. როგორც გაზეთი "ქრისტიანული აფხაზეთი" იუწყება, აღნიშნულ ტაძრებზე სარევსტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები 21 აპრილს დაიწყო.

ახალი ათონის მონასტრის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ კორპუსებს და ბიჭვინთის ტაძარს სახურავებს შეუცვლიან. სარესტავრაციო სამუშაოებს აფხაზეთის ხელისუფლება აფინანსებს, პრაქტიკულ სამუშაოებს კი კერძო ფირმა "ბაროკო" ასრულებს.

გაზეთის ცნობით, ბიჭვინთის ტაძრის გაცვეთილი სახურავიდან ტაძარში ჩასულმა წყალმა შუა საუკუნეების უნიკალური ფრესკები დააზიანა და ფრესკებზე ნაპრალებისა და სოკოს გაჩენა გამოიწვია. სახურავის გამოცვლის შემდეგ, რესტავრატორები ფრესკების გაწმენდასა და კონსერვაციას შეუდგებიან. გარდა ამისა, საგუმბათო ჯვარსაც შეცვლიან.

ახალი ათონის მონასტერი XIX საუკუნის ბოლოს აშენდა და იგი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში არ შედის.

რაც შეეხება ბიჭვინთის ტაძარს, იგი X საუკუნეშია აგებული. ფრესკები დაახლოებით XI-XII საუკუნეებს განეკუთვნება და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაშია შეტანილი. შესაბამისად, თუკი ძეგლზე რაიმე სახის სამუშაოები ჩატარდება, ამის შესახებ საქართველოს კულტურის სამინისტრომ უნდა იცოდეს.

"ეს არის ყველა საერთაშორისო ნორმის დარღვევა. მართალია, აფხაზეთი თვითაღიარებული სუბიექტია და მას ვერ მოვთხოვთ საერთაშორისო ნორმების დაცვას, მაგრამ რუსეთს, როგორც შუამავალს, აფხაზეთსა და საქართველოს შორის მსგავსი ინფორმაციის მოწოდება და დარეგულირება ევალება. არ შეიძლება ისე ექცეოდნენ ქართულ ძეგლებს, როგორც თავად მოესურვებათ. ეს საკითხი ჩვენი და აფხაზების ერთდროული საზრუნავია", - განაცხადა კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტის მონიტორინგისა და პრევენციული კონსერვაციის სამმართველოს უფროსმა ნიკა ანთიძემ. მისი თქმით, საქართველოს კულტურის სამინისტრო არ ფლობს ინფორმაციას ბიჭვინთის ტაძრის რესტავრაციის შესახებ. "ეს ტაძარი ქართული ხუროთმოძღვრების ნიმუშია, რომელიც უნიკალური ფრესკებით არის მოხატული", - განაცხადა ანთიძემ.

## ვამპირები ბროდვეიზე

ბროდვეიზე გაიხსნა სერ ელტონ ჯონის მიუზიკლი Lestat. სცენარი ენ რაისის "ვამპირთან ინტერვიუს" მიხედვით გაკეთდა, მეთვრამეტე საუკუნის ფრანგი დიდგვაროვნის როლს კი, რომელიც ვამპირად გადაიქცევა, ჰიუ პანარო ასრულებს. სპექტაკლის ნიუიორკული პრემიერის შემდეგ დადგმას სან ფრანცისკოში წაიღებენ.

შეგახსენებთ, რომ რაისის ამავე ნაწარმოების მიხედვით იყო გადაღებული ფილმიც, რომელშიც მთავარ როლებს ტომ კრუზი, ბრედ პიტი და კრისტიან სლეიტერი თამაშობდნენ.

რაისის ვამპირული სერიები იმდენად პოპულარული იყო ტექსტური სახითაც, რომ მსოფლიოს მასშტაბით 50 მილიონი ეგზემპლარი გაიყიდა. ამ ნაწარმოებების ერთგული მკითხველი ყოფილა ელტონ ჯონი. მიუზიკლის დადგმის იდეაც აქედან წამოსულა. ასე რომ, Lestat ახლა ბროდვეიზეა და ელტონ ჯონი თავისი შემოქმედებით ისეთ ცნობილ სპექტაკლებს გაუწევს კონკურენციას, როგორიცაა "ტარზანი" - მეორე ვარსკვლავის ფილ ქოლინზის მიუზიკლი, რომლის პრემიერა 10 მაისს იგეგმება. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ვამპირებს ბროდვეიზე არ უმართლებთ. მსგავსი თემატიკის მიუზიკლმა "ვამპირების ცეკვა" 2003 წელს ბროდვეიზე მხოლოდ ერთ თვეს გაძლო, "დრაკულამ" კი 2004-ში - ხუთ თვეს.

## "უჯარმის პატარა სახლი"

უახლოეს მომავალში მაყურებელი ახალ მოკლემეტრაჟიან დოკუმენტურ ფილმს "უჯარმის პატარა სახლს" იხილავს, რომლის დამდგმელი რეჟისორია გიორგი ებრალიძე.

სურათი რეზო ინანიშვილის შემოქმედებას ეძღვნება. აღსანიშნავია, რომ ფილმი ანიმაციურ ელემენტებსაც შეიცავს. მოგონებები ილუსტრირებული იქნება რეზო ინანიშვილის გაცოცხლებული ნახატებით. ფილმი დაახლოებით 30 წუთს გაგრძელდება.

როგორც რეჟისორმა განაცხადა, სურათი სამონტაჟო პერიოდშია და მისი პრემიერა ზაფხულში შედგება. სცენარის ავტორია ლამარა კიკილაშვილი, ოპერატორი - ილია ვაჩნაძე, მხატვრობა ნუგზარ მეტრეველს ეკუთვნის.

## დიმიტრი ერისთავის პერსონალური გამოფენა

მერაბ ბერძენიშვილის სახელობის კულტურის ცენტრში ("მუზა") დიმიტრი ერისთავის პერსონალური გამოფენა გაიხსნა. როგორც ეროვნული გალერეის დირექტორმა ქეთევან კორძახიამ განაცხადა, გამოფენა ეროვნული გალერეისა და ბერძენიშვილის კულტურის ცენტრის ინიციატივით ეწყობა. "დიმიტრი ერისთავი ჩვენ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიაზე წარვადგინეთ. ეს გამოფენაც სწორედ ამ მოვლენის გამო დაიგეგმა. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იქნება მისი ნამუშევრების სრული რეტროსპექტივა", - განაცხადა კორძახიამ. დიმიტრი ერისთავის გამოფენა 12 მაისამდე გასტანს.

*ინტერპრესნიუსი*

## "საჩუქარი" ოქტომბერში გაიმართება

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრალური ფესტივალი "საჩუქარი" გაზაფხულის ნაცვლად, შემოდგომაზე გაიმართება.

ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელის ქეთი დოლიძის განცხადებით, თბილისის მერის გიგი უგულავას გადაწყვეტილებით, "საჩუქარი" თავის არსებობას არ შეწყვეტს და იგი ამიერიდან, ოქტომბერში გაიმართება.

"1996 წელს, "საჩუქრი" პირველად სწორედ ოქტომბერში ჩატარდა. ასე გრძელდებოდა წლების განმავლობაში, მაგრამ სამი წლის წინ გაზაფხულზე გადმოვიტანეთ. ვთვლი, რომ მაისის თვეში ფესტივალის ჩატარების იდეამ, მთელი რიგი მიზეზების გამო, არ გაამართლა. ამიტომ, გადავწყვიტეთ "საჩუქარი" ისევ ოქტომბერში გადავიტანოთ. სხვათა შორის, როცა ფესტივალი მიშა თუმანიშვილთან ერთად დავგეგმეთ, მასაც სურდა, რომ "საჩუქარი" ოქტომბერში გამართულიყო, რადგან მიაჩნდა, რომ შემოდგომა ფესტივალებისთვის შესაფერისი სეზონია", - განაცხადა დოლიძემ. მისივე თქმით, წლევანდელი ფესტივალი საიუბილეოა და იგი 15-დან 29 ოქტომბრამდე გაიმართება.

"ჩამოვლენ ცნობილი თეატრალური კოლექტივები ისრაელიდან, ესპანეთიდან, საფრანგეთიდან და მანამდე რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობები საბოლოოდ თუ არ გაფუჭდა - რუსეთიდანაც. "საჩუქარს" ეწვევა ასევე ფესტივალის დირექტორატის ყველა წევრიც", - აღნიშნა ქეთი დოლიძემ.

## "არტ გენს" რამდენიმე სფერო დაემატება

ფესტივალ "არტ-გენის" საორგანიზაციო ჯგუფმა მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება დაიწყო. როგორც ფესტივალის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ზაზა კორინთელმა (ზუმბა) განაცხადა, "არტ-გენი" წელს 10 ივლისს დაიწყება, ორ კვირას გასტანს და ტრადიციულად, მუზეუმში, ღია ცის ქვეშ ჩატარდება.

"ამ ზაფხულს, ფესტივალს რამდენიმე ახალი სფერო დაემატება: სახალხო მედიცინა, ზეპირსიტყვიერება, საბრძოლო ხელოვნება, კულინარია, თანამედროვე ეთნოკულტურა და ქართული ფოკლორის შესახებ გადაღებული დოკუმენტური კინო, რომელთა ჩვენებებიც საღამოობით გაიმართება", - განაცხადა, კორინთელმა.

მისი თქმით, ფესტივალში მონაწილეობა უფასოა. რაიონებიდან ჩამოსული გამოყენებითი ხელოვნების ოსტატებს საშუალება ექნებათ საკუთარი ნამუშევარი გაყიდონ.

"არტ-გენი" პირველად სამი წლის წინ ჩატარდა. ფესტივალი ქართული ხალხური ხელოვნების ოსტატთა გამოვლენასა და პოპულარიზაციას ისახავს მიზნად. "არტ-გენის" ფარგლებში წარმოდგენილია, როგორც შემოქმედებითი კოლექტივები, ისე ინდივიდუალური შემსრულებლები ფოლკლორული ხელოვნების ყველა დარგში.

ფესტივალის მიმდინარეობისას გამოყენებითი ხელოვნების ოსტატები ახალგაზრდა შემოქმედთათვის მასტერ-კლასებს ატარებენ.

*ინტერპრესნიუსი*

## "მიდის მატარებელი" კანში

გიორგი შენგელაიას ფილმს "მიდის მატარებელი" კანის 59-ე საერთაშორისო კინოფესტივალის კინობაზარზე აჩვენებენ.

კინობაზართან ერთად, ფესტივალზე იმოქმედებს პროგრამა "საპროდიუსერო ქსელი", რომელიც პროდიუსერებს ეხმარება მათი პროექტების განვითარებაში. მიმდინარე წელს აღნიშნული პროგრამა თავს მოუყრის 500-მდე პროდიუსერს მთელი მსოფლიოდან. საქართველოდან მასში მონაწილეობას მიიღებენ პროდიუსერი ზურაბ მაღალაშვილი და რეჟისორი რუსუდან გლურჯიძე.

*პრაიმ-ნიუსი*

## კულტურის დღეები უკრაინაში

უკრაინაში ჟიტომირის ოლქში შემოდგომაზე იმერეთის კულტურის დღეები ჩატარდება. ამის შესახებ ჟიტომირის ოლქის ადგილობრივი ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ირინა სენიავსკაიამ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან გამართული დახურული შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

მისი თქმით, უკრაინული დელეგაცია ორი დღეა საქართველოში, კერძოდ კი იმერეთში იმყოფება, სადაც გაფორმდა თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება ორ რეგიონს შორის.

"როგორც პარლამენტის თავმჯდომარე, ნინო ბურჯანაძე საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში იმერეთის რეგიონს, კერძოდ ქუთაისს წარმოადგენს, ამიტომ დღევანდელი შეხვედრის ძირითად თემას იმერეთსა და ჟიტომირს შორის ურთიერთობა იყო. ჩვენი სურვილია ორ რეგიონს შორის გააქტიურდეს როგორც კულტურული, ისე ბიზნეს ურთიერთობები", - განაცხადა სენიავსკაიამ.

*ჯი-ეიჩ-ენი*

**შპს "სანაპირო" აცხადებს შემდეგი ჩარხებისა და დანადგარების შესყიდვას:**

1) ფურცლოვანი თუნუქის მაკრატელი - 10-12 მმ - 1 ც.
2) კომბინირებული მაკრატელი სახვრეტით - 1 ც.
3) შტამპი მექანიკური 63-ტონიანი - 1 ც.
4) საბურღი დაზგა ორმხრივი - 1 ც.
5) სალუგტ ჟახშა - 1 ც.
6) ბეტონის შემრევი 1,5 კუბ.მ. - 1 ც.
7) ვიბრომაგიდა - 1 ც.
8) ელექტრო ტალი 3-5-ტონიანი - 1 ც.
9) ვერტიკალური საღარავი დაზგა თავისი აღჭურვილობით - 1 ც.
10) წერტილოვანი შედუღების აპარატი.

**ტელ: 788 41 41 61, 45 06 01. დავით დურგლიშვილი**

## TV5MONDE

### 9 მაისი

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 17.15, 20.00, 00.00,** 00.45(შვეიცარია), 03.00(აფრიკა), **04.10** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.30** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.30** ინდოეთი. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **10.30** ეკატერინე. სერიალი. **11.30** გადაცემა: გურმანი. **12.15** ინდოეთი. დოკ. ფილმი. **14.05** TV5-ის სამყარო. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.30** მთელი სისწრაფით. მხ.ფილმი. რეჟისორი გაელ მორელი. 1996. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.30** მშვიდობით. ტელესერიალი. **23.00** გადაცემა: თალასა. **04.40** გადაცემა: თვალსაზრისი.

## შესწორება

6 მაისის გაზეთში "24 საათი" სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ხელახალ ტენდერში დეპარტამენტის ბალანსზე არსებული სარწყავი და დამშრობი სისტემების მოწესრიგების შესაბამისი მომსახურების შესყიდვაზე დაშვებულია უზუსტობა. მე-2 მუხლი უნდა იკითხებოდეს შემდეგ ნაირად:

**მომსახურების გაწევის სავალდებულო ვადაა: I ეტაპი - ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 31ივლისამდე, II ეტაპი - 2006 წლის 30 ნოემბრამდე ტენდერში გამარჯვებულის მიერ მომსახურების გაწევა განხორციელდება შემსყიდველის მიერ მიმწოდებელზე გადაცემული ტექნიკური დავალების საფუძველზე.**

2006 წლის 7 აპრილს ხელშეკრულება გაფორმდა მცხეთის რაიონის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით განსახორციელებელ შემდეგი სახის სახელმწიფო შესყიდვაზე: "მცხეთის რაიონის გამგეობისათვის 5 ახალი ავტობუსის შეძენა", მიმწოდებელი - შპს "ცენტრალური სავაჭრო სახლი "რუსული ავტობუსი".

## საქართველოს პრეზიდენტის ახალი ინვესტიცია

საქართველოს პრეზიდენტთან არსებული განვითარებისა და რეფორმების ფონდი დააფინანსებს ახალგაზრდა ეკონომისტებს (MBA), სახელმწიფო მართვის სპეციალისტებს და ჟურნალისტებს (მედია მენეჯმენტი), რომლებიც 2006-2007 აკადემიური წლის განმავლობაში გააგრძელებენ სწავლას ან სამეცნიერო მუშაობას ევროპის ან ამერიკის შეერთებულ შტატების უნივერსიტეტებში.

სამაგისტრო პროგრამების დაფინანსება მოიცავს სასწავლო და სამეცნიერო სტიპენდიას და/ან სწავლასთან და სამეცნიერო მუშაობასთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებს (მათ შორის - მგზავრობის და საცხოვრებელ ხარჯებს). შერჩევა განხორციელდება კონკურსის საფუძველზე.

**ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა!**

სამაგისტრო პროგრამის გრანტი გაიცემა მხოლოდ იმ პირებზე, ვინც წარმოადგენს ოფიციალური მოწვევის წერილს ევროპის ან აშშ-ის რომელიმე უნივერსიტეტიდან, რაც ადასტურებს, რომ კანდიდატს გავლილი აქვს უნივერსიტეტში სწავლის ან სამეცნიერო მუშაობის დასაწყებად აუცილებელი ყველა წინასწარი გასაუბრება, კონკურსი, გამოცდა და ა.შ.

დეტალური ინფორმაცია (ასევე განაცხადის ფორმა) განთავსებულია შემდეგ ვებ-გვერდზე:
www.drf.org.ge
www.jobs.ge

შემდგომი ინფორმაციისათვის და განაცხადის ფორმებისათვის მოგვმართეთ მისამართზე:

**განვითარებისა და რეფორმების ფონდი**
**ჭანტურიას ქ. N12, თბილისი 0108 საქართველო**
**ტელ.: 996723**

## ცენტრ პოინტ ჯგუფი

**იწყებს თბილისის ელიტარულ უბნებში პატარა სახლების მშენებლობას მთაწმინდა, სოლოლაკი, ავლაბარი, ხარფუხი და სამების ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე.**

**სხვა მიმდინარე მშენებლობებს თბილისის ყველა უბანში, ასევე ბათუმში, გუდაურში და ბაკურიანში.**

**განვადება უპროცენტოა.**

**მსურველები დაგვიკავშირდნენ: რუსთაველის პროსპექტი 48. ტელ.: 92-20-80, 99-67-69, 899 46-92-22, 899 46 51 21, 893 34 20 02, 899 96 96 57.**

# ანჯელინა ჯოლი და ნამიბიის ტურიზმი



შეიძლება თუ არა, ორი ადამიანის სტუმრობის შემდეგ ქვეყნის ტურიზმის განვითარების გზა კარდინალურად შეიცვალოს და ამ ქვეყნის მონახულების მსურველების რიცხვი ერთი-ორად გაიზარდოს?

თურმე შეიძლება, თუ ეს ორი ადამიანი მსოფლიო მასშტაბით ცნობილი ვარსკვლავები არიან, მეტსახელად "ბრანგელინა" - ბრედ პიტი და ანჯელინა ჯოლი.

ასე ფიქრობენ ნამბიის მთავრობის წარმომადგენლებიც. ოფიციალურ კომენტარებშიც კი ისინი აცხადებენ, რომ ფეხმძიმე ანჯელინა ჯოლისა და ბრედ პიტის ვიზიტის პირდაპირპროპორციულია ამ აფრიკული ქვეყნის ტურიზმის აღორძინება - ქვეყნის, რომელიც, თავის მხრივ, ქვიშიანი დიუნებითა და უზარმაზარი სივრცეებითაა სავსე.

"თუ ანჯელინა ჯოლი ნამიბიაში იმშობიარებს, ის იმდენს გააკეთებს ნამიბიის ტურიზმის სექტორისთვის, რამდენსაც ჩვენი ტურიზმის ბიუჯეტი ერთი წლის განმავლობაშიც ვერ გასწვდებოდა" - ეს აშშ-ში ნაბიმიის ელჩის ჰოპელონგ ლიპინგეს სიტყვებია.

მისივე თქმით, გამოცოცხლება უკვე დაეტყო ნაბიმიის საელჩოს ოფისს ვაშინგტონში. "არ წყდება ზარები მედიის და ცალკეული დაინტერესებული პირების მიმართ. მათ მაქსიმალური ინფორმაციის მიღება სურთ ნამიბიის შესახებ". მსხვილი მედიაკომპანიები ითხოვენ ვიდეო-კადრებსაც, რომლებიც ქვეყნის ყველაზე ცნობილ და სახასიათო ადგილებს ასახავენ.

პიტი და ჯოლი - წყვილი, რომელიც ჟურნალმა People ამ კვირაში "მსოფლიოში ყველაზე ლამაზ ოჯახად" დაასახელა, ნაბიმიაში აპრილის დასაწყისში ჩავიდა ჯოლის ორ ნაშვილებ ბავშვთან ერთად და მათ ვიზიტს თან დაერთო ტაბლოიდურ პრესაში გავრცელებული ხმები იმის შესახებ, რომ ჯოლი ბავშვის გაჩენას იქვე აპირებს.

წყვილი ერთ მიუვალ კურორტზე დასახლდა. ისინი მაქსიმალურად ცდილობენ ფოტოგრაფების თვალს დაემალონ. ადამიანის უფლებების დაცვის სამსახურები კი პიტი-ჯოლის გაძლიერებული დაცვის გამო გამოთქვამენ უკმაყოფილებას. მათი თქმით, პოლიცია ადგილობრივების სახლებში გაუფრთხილებლად შედის, ჩხრეკს და დეტალურად ამოწმებს ჟურნალისტებსაც. მთავრობა კი უსაფრთხოების ამ ზომებსაც ამართლებს და ელჩი აცხადებს: "ნამიბიისთვის ნამდვილი პატივი იქნება, ჯოლის შვილი ჩვენს ქვეყანაში რომ გაჩნდეს. ჩვენ მათ უსაფრთხოებაზე ვზრუნავთ, რადგან ეს წყვილი ჩვენი ქვეყნის ტურიზმს წაადგება, პაპარაცები კი - არა". მით უფრო, რომ ნამიბიის მთავრობის განცხადებით, არავისთვის წაურთმევიათ კამერა და არც ერთი ჟურნალისტისა და ადგილობრივისთვის არ მიუყენებიათ შეურაცხყოფა. თუმცა, მაინც მოხდა ერთი ინციდენტი: გასულ კვირას სამ ფრანგ და ერთ სამხრეთ აფრიკელ ფოტოგრაფს ქვეყნის ტერიტორია დაატოვებინეს მას შემდეგ, რაც მათ ჯოლის ფოტოების გადაღება სცადეს.

ასე რომ, "ბრანგელინას" ვიზიტსა და ჯოლის მშობიარობაზე ნამიბიის ტურიზმის აღორძინებაა დამოკიდებული. უცხოურ პრესაში უკვე გამოჩნდა ნამიბიის შესახებ სარეკლამო სტატიები და ლამაზი ეპითეტები, დაახლოებით ასეთი: "ნაბიმია - უდაბნოებისა და ბრილიანტების ქვეყანაა, რომელსაც მოსახლეობის სიმჭიდროვის ყველაზე დაბალი მაჩვენებლი აქვს. კარგი ინფრასტრუქტურის, უზარმაზარი გასართობი ცენტრების და ლამაზი პეიზაჟების მიუხედავად, ჯერჯერობით ნაბიმიბია ტურისტების ფავორიტი ქვეყანა არ გამხდარა".

ტექსტების გარდა, მსხვილი ჟურნალები ნამიბიის ქვიშიანი დიუნების ფოტოებს ბეჭდავენ, ტელევიზიები კი გადაცემებს ამზადებენ.

ნამიბიის ელჩი აცხადებს: "ასეთი ყურადღების ცენტრში ჩვენი ქვეყანა არასდროს აღმოჩენილა. ანჯელინა ჯოლი არა მხოლოდ კინოვარსკვლავია. ის გაეროს კეთილი ნების ელჩიც გახლავთ და ეს კომბინაცია ჯოლის კოზირად აქცევს".

# ბობ დილანი ევროპაში




სან სებასტიანის ჯაზის ფესტივალს წელს განსაკუთრებული სტუმარი ეყოლება - ბობ დილანი. კონცერტი 11 ივლისს გაიმართება ბასკებისთვის ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენის - სეპარატისტული ორგანიზაცია "ეტას" მიერ ცეცხლის შეწყვიტის აღსანიშნად. ქალაქის კულტურის სამმართველოს უფროსის რამონ ეტქსეზარეტას თქმით, დილანი ბოლოს ესპანეთს საკუთარი ტურნეთი 2004 წელს სტუმრობდა.

ახლა კი დილანი სან სებასტიანის ზურიოლას სანაპიროზე აჩუქებს ერთ განუმეორებელ საღამოს ესპანელ მსმენელს.

წინასწარ გავრცელებული ინფორმაციით, დილანს ერთადერთი მოთხოვნა აქვს: რომ მისი კონცერტი არ გადაიქცეს პოლიტიკურ აქტად. ასეთი საფრთხე კი მართლაც არსებობს, რადგან "ეტას" იარაღის დაყრა ბასკეთისთვის უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა. 38-წლიანი კონფლიქტის განმავლობაში "ეტა" 800-მდე ადამიანის მკვლელობაზეა პასუხისმგებელი. დილანი კი სან სებასტიანის გარდა უნდა ეწვიოს დანიასაც. როსკილდეს ფესტივალზე ის თავისი ტურნეთი Never Ending Tour ჩავა. ფესტივალი დანიაში 29 ივნისს დაიწყება და 2 ივლისამდე გასტანს.

# ქით რიჩარდსი პალმიდან ჩამოვარდა



"როლინგსტოუნზის" გიტარისტი ქით რიჩარდსი ფიჯიში დასვენების დროს ქოქოსის პალმიდან ჩამოვარდა და დაშავდა. 62 წლის მუსიკოსს პირველი დახმარება იქვე აღმოუჩინეს, შემდეგ კი ფიჯიდან ახალ ზელანდიაში გადააფრინეს და საავადმყოფოში დააწვინეს. ჯგუფის წარმომადგენლის ფრენ კერტისის თქმით, რიჩარდსი მსუბუქად არის ტრავმირებული, თუმცა, ხიდან ჩამოვარდნის დეტალების შესახებ მან პრესას არაფერი უთხრა.

ახალზელანდიური გაზერთი "სანდი სთარ თაიმსი" კი წერდა, რომ "სტოუნზის" გიტარისტი ოკლენდის კლინიკაში იშუშებს ფიჯის მდიდრულ კურორტზე მიღებულ ჭრილობებს. მას არც ოპერაცია დასჭირვებია და თავსაც უკვე კარგად გრძნობს.

შეგახსენებთ, რომ "როლინგსტოუნზის" ტურნე აპრილის დასაწყისში დასრულდა იაპონიაში, ჩინეთში, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში.

## "დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

**2006 წლის 16 მაისიდან 23 მაისამდე ქ. თბილისში, გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:**

**- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით**

**(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)**
**- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები**
**- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები**
**- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა**
**- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა**
**- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება**
**- სარძევე ჯირკვლის აწევა**
**- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)**
**- შუბლის დაჭიმვა**
**- დაკიდებული მუცლის პლასტიკა**
**- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)**
**+ ლიპოსაქცია**
**- ტუჩების გადიდება**
**- კანის ნაოჭების კორექცია**
**- ნიკაპის გადიდება პროთეზით**
**- სახის დაჭიმვა**
**- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)**
**- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით**

**ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე: 893 60 30 06, 893 65 38 39**

## გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



**გთავაზობთ:**

- ალმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26, 23 56 26
E-mail: info@nautilus.ge, reception@nautilus.ge





## სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

24 საათი B

# ბიზნესი

© გაზეთი 24 საათი



თქვენი რეკლამა "ბიზნესში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:


## არასამთავრობო ორგანიზაციამ ზურაბ ნოღაიდელი ფინანსურ მაქინაციაში ამხილა

B2

## Google-ისა და Microsoft-ს კონფლიქტი გრძელდება

## Google ფულს საბავშვო პორნოგრაფიით შოულობს

## Toyota-ს თანამშრომელი ქალადობისთვის მილიონებს ითხოვს



B3

## იმერეთის ეკონომიკის დაკრედიტებამ 18,2 მილიონი ლარი შეადგინა

B4

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | |
|---|---|---|
| 1 ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3964 |
| 1 აზერბაიჯანული მანათი | AZN | 2,0104 |
| 1 არაბული დირხამი | AED | 0,4942 |
| 1 აშშ დოლარი | USD | 1,8152 |
| 1000 ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8441 |
| 1 ბულგარული ლეი | BGL | 1,1778 |
| 1 დანიური კრონი | DKK | 0,3089 |
| 1 ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3162 |
| 1 ევრო | EUR | 2,3033 |
| 10 ესტონური კრონი | EEK | 1,4722 |
| 1000 თურქმენული მანათი | TMM | 0,3491 |
| 1 თურქული ლირა | TRY | 1,3760 |
| 10 იაპონური იენი | JPY | 0,1595 |
| 1 ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,3579 |
| 1000 ირანული რეალი | IRR | 0,1986 |
| 10 ისლანდიური კრონი | ISK | 0,2556 |
| 1 ისრაელის სეკელი | ILS | 0,4062 |
| 1 კანადური დოლარი | CAD | 1,6368 |
| 1 ლატვიური ლატი | LVL | 3,2647 |
| 10 ლიტვური ლიტი | LTL | 6,6265 |
| 10 მოლდოვური ლეი | MDL | 1,3974 |
| 1 ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2971 |
| 1 პოლონური ზლოტი | PLZ | 0,6035 |
| 10000 რუმინული ლეი | ROL | 0,6098 |
| 1 რუსული რუბლი | RUB | 0,0669 |
| 1 სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1520 |
| 100 სომხური დრამი | AMD | 0,4068 |
| 1 ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5647 |
| 1000 უზბეკური სუმი | UZS | 1,4877 |
| 10 უკრაინული გრივნა | UAG | 3,6181 |
| 100 უნგრული ფორინტი | HUF | 0,8865 |
| 1 ქუვეითური დოლარი | KWD | 6,2162 |
| 10 ყაზახური ტენგე | KZT | 0,1473 |
| 10 ყირგიზული სომი | KGS | 0,4449 |
| 1 შვედური კრონი | SEK | 0,2467 |
| 1 შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4749 |
| 1 ჩეხური კრონი | CZK | 0,0814 |
| 1 ჩინური იუანი | CNY | 0,2266 |
| 1 ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2342 |




# რა ხდება ზარაფხანაში?

ეთერ მამულაშვილი

*ერთ კვირაში საბოლოოდ გახდება ცნობილი იმ ინვესტორის ვინაობა, რომელიც თბილისის საიუველირო ქარხანას, იგივე “ზარაფხანას” დაისაკუთრებს. საწარმოს, რომლის ირგვლივაც გასულ წლებში არაერთი ვნებათაღელვა იყო ატეხილი, საწყისი ფასი 2 მილიონი აშშ დოლარია. რას აწარმოებს ამჟამად საიუველირო ქარხანა? არის თუ არა ის მომგებიანი? რას ყიდულობს ინვესტორი და ოქროს რა მარაგები აქვს დარჩენილი საწარმოს? ამ და სხვა კითხვებზე პასუხებს გუშინ “24 საათი” მთელი დღის განმავლობაში არკვევდა.*

- საწარმოს დატვირთვა წლიდან წლამდე კლებულობდა. შესაბამისად, მცირდებოდა ქარხნის მუშა-პერსონალის რაოდენობაც. დღეს საწარმოში 119 ადამიანია დასაქმებული, რომელთა საშუალო ხელფასი 300 ლარია.
- ყაზახეთთან გაფორმებული კონტრაქტის თანახმად, მიმდინარე წლის მეორე ნახევარში თბილისის საიუველირო ქარხანამ ამ ბაზარზე 500 ათასი ლარის ღირებულების პროდუქცია უნდა შეიტანოს.

B2

# მასზე მდიდარი მხოლოდ გეითსია

### ფასიანი ქაღალდების ჯადოქარი უორენ ბაფეტი

გოჩა ქიმუცაძე

*მის მიერ ჩამოყალიბებული ბიზნესის მართვის სისტემა ფასიანი ქაღალდების ბაზრის ერთგვარ ბიბლიად იქცა. ნიუ იორკელ მაკლერებს ცრურწმენაც კი აქვთ, რომ თუ ბირჟაზე თამაშისას მისი წიგნებიდან ციტატებს იჩურჩულებენ, აუცილებლად გაუმართლებთ. უმეტესობას მისი ჭეშმარიტებების სჯერა, სხვები ფიქრობენ, რომ, უბრალოდ, უმართლებს. არიან ისეთებიც, რომლებიც ამბობენ, მან სული ეშმაკს მიჰყიდაო. ვინ არის ის? Forbes-ის მილიარდერთა რეიტინგში მეორე ადგილზე მყოფი, მსოფლიოს უმდიდრესი ინვესტორი, საინვესტიციო ფონდ Berkshire Harthaway-ს თავკაცი, 42 მილიარდის მფლობელი, 75 წლის უორენ ბაფეტი.*

**უორენ ბაფეტი საქმიანობას ისრაელში დაიწყებს. ინვესტორმა განაცხადა, რომ ისრაელის კომპანია Iscar Metalworking-ის შესყიდვას აპირებს. 2006 წელს, ბაფეტმა კომპანია Coca-Cola დატოვა. იგი კომპანია Coca- Cola-დან წამოსვლის მიზეზებზე საჯაროდ არ საუბრობს და აცხადებს, რომ ახალი პროექტების განხორციელებით არის დაინტერესებული.**



B3

# სოფლის მეურნეობა

### რატომ ცხოვრობს ქართველი გლეხების უმრავლესობა სიღარიბის ზღვარზე

**საზოგადოებაში არსებული დაბალანსებული განვითარების მექანზმები განსაზღვრავს, ძირითადად, საზოგადოების "ცივილიზებულობის" დონეს. ამის დასტურია თუნდაც ის გარემოება, რომ საკმაოდ ბევრ აფრიკულ სახელმწიფოს ერთ სულ მოსახლეზე საქართველოზე არანაკლები მშპ-ს მაჩვენებელი აქვს, თუმცა ამის გამო არც ჩვენ და არც რომელიმე უცხოელი ექსპერტი მათ და ჩვენ "ერთ კალათაში" არ განგვიხილავს. შესაძლოა, სწორედ ქვეყნის დაბალანსებული განვითარების მექანიზმების სისუსტითაა გამოწვეული ჩვენს საზოგადოებაში ამ ბოლო დროს გაბატონებული აზრი, რომ ეკონომიკა კი იზრდება, მაგრამ მოსახლეობის უმეტესობა ამას ვერ გრძნობს.**



B4

## რუსი ექსპერტი "ბორჯომის" აკრძალვას გაუმართლებლად მიიჩნევს

მინერალური წყლების სერტიფიკაციის საკითხებში რუსეთის ერთ-ერთი მთავარი ექსპერტის ნატალია პეტროვას განცხადებით, რუსეთის ბაზარზე "ბორჯომის" აკრძალვა გაუმართლებელი იყო, რადგან ფალსიფიცირებული "ბორჯომი" რუსეთში საქართველოდან არ შემოჰქონდათ. ეს განცხადება ნატალია პეტროვამ "ბი-ბი-სი"-ს ეთერში გამოსვლისას გააკეთა. მისი თქმით, საქართველოდან რუსეთში უხარისხო მინერალური წყლის შემოტანის პრობლემა 2000 წლამდე არსებობდა.

მისივე მტკიცებით, რუსეთში საქართველოდან 2000 წლიდან იმპორტირებულ მინერალურ წყალზე წარმოებიდან სავაჭრო სისტემამდე მიტანის მთელ პროცესზე კონტროლის გამკაცრებამ ყველაფერი შეცვალა.

"საქართველოდან ფალსიფიცირებული "ბორჯომი" არ შემოჰქონდათ. მთელი ფალსიფიცირებული ნაწარმის წარმოება რუსეთის ტერიტორიაზე ხორციელდება," - აცხადებს პეტროვა, რომელიც რუსეთის აღდგენითი მედიცინის სამეცნიერო ცენტრის ბუნებრივი რესურსების საგამოცდო განყოფილების ხელმძღვანელის მოადგილეა.

მისივე ინფორმაციით, 2000 წლის შემდეგ ფალსიფიცირებული ქართული წყლის ერთადერთი შემთხვევა დაფიქსირდა, მაგრამ მაშინაც საუბარი იყო პროდუქტზე, რომელიც რიაზანში იყო დამზადებული. პეტროვას მტკიცებით, უკანასკნელი ორი კვირის მანძილზე მისი ცენტრის მიერ გამოკვლეული "ბორჯომის" არც ერთი პარტია ფალსიფიცირებული არ იყო და სტანდარტებს შეესაბამებოდა.

პეტროვა რუსეთის მთავარი სანიტარიული ექიმის გენადი ონიჩშენკოს განცხადებებს სკეპტიკურად აღიქვამს და მიაჩნია, რომ "ასეთ მაღალ დონეზე გაკეთებული განცხადებები განზოგადოებაზე არ უნდა იყოს აგებული და კონკრეტულ ფაქტებს უნდა ეყრდნობოდეს."

"სამწუხაროდ, ასეთი კონკრეტიკა ონიშჩენკოს განცხადებაში ვერ დავინახე. ჩემი აზრით, ეს ძალიან ცუდი და გაუმართლებელი გადაწყვეტილება იყო," - განაცხადა პეტროვამ.

"ბორჯომის" მწარმოებელი კომპანია "მინისა და მინერალური წყლების" ინფორმაციით, მინერალური წყლის ექსპორტის 50 პროცენტი რუსეთზე მოდიოდა.

რუსეთის მთავარმა სანიტარიულმა ექიმმა გენადი ონიშჩენკომ "ბორჯომს" რუსეთის ბაზარზე გზა საბოლოოდ გადაუკეტა. 4 მაისს ონიშჩენკომ ხელი მოაწერა განკარგულებას, რომლითაც რუსეთში მინერალური წყლის "ბორჯომის" შეტანა აიკრძალა. "ბორჯომის" მორიგი აკრძალვის მიზეზად, "როსპოტრებნადზორის" მიერ შემოწმების შედეგად შესაბამისი დოკუმენტაციის არმქონე 191 ათასი ბოთლი "ბორჯომის" აღმოჩენა სახელდება. **ინტერპრესნიუსი**

## "საქართველო - ღვინის სამშობლო"

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა, საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან ერთად, პრემიერ-მინისტრის პატრონაჟის ქვეშ ატარებენ ქართული ღვინის ეროვნულ კონკურსს - "საქართველო - ღვინის სამშობლო".

კონკურსში მონაწილეობას ქართული ღვინის მწარმოებელი 25 კომპანია მიიღებს. კონკურსი გამოცხადებულია 8 ნომინაციაში. კერძოდ: თეთრი მშრალი ღვინო; თეთრი ნახევრადმშრალი ღვინო; თეთრი ნახევრადტკბილი ღვინო; წითელი მშრალი ღვინო; წითელი ნახევრადმშრალი ღვინო; წითელი ნახევრადტკბილი ღვინო; ცქრიალა ღვინო; ჭაჭა.

აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით 10 მაისს სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" პრესკონფერენცია გაიმართება, რომელსაც საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი ჯემალ ინაიშვილი უხელმძღვანელებს. პრესკონფერენციას ასევე დაესწრებიან ჟიურის წევრები ტომ კონაგანი და როზმარი ჯორჯი, რომლებიც კონკურსში მონაწილეთაგან საუკეთესო ქართულ კომპანიებს გამოავლენენ.

ჟიურის წევრები, წარმოდგენილი ღვინოების შეფასების მიზნით, "შერატონ მეტეხი პალასში" 11 მაისს დაიწყებენ მუშაობას. შეფასება "ბრმა მეთოდით" მოხდება. კონკურსის ჟიური დაკომპლექტებული იქნება ღვინის ცნობილი ექსპერტებით სხვადასხვა ქვეყნებიდან, მათ შორის, საქართველოდანაც. **ჯი-ეიჩ-ენი**

## "სამტრესტი" ღვინის ხარისხზე ლიცენზიის გაცემას ამარტივებს

სოფლის მეურნეობის სამინისტროს "სამტრესტი" კანონქვემდებარე აქტებში ცვლილებებს ამუშავებს, რომელიც ლიცენზიის გაცემის წესის გამარტივებას გულისხმობს. როგორც "სამტრესტის" თავმჯდომარის მრჩეველმა ედუარდ ლეკიაშვილმა განაცხადა, დახვეწილი კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად შეიქმნება საინსპექციო კონტროლის ჯგუფი, რომელიც ღვინის კომპანიებში ლიცენზიის გაცემამდე არსებულ პროდუქციას შეამოწმებს. "სამტრესტი" ლაბორატორიებისა და საინსპექციო ჯგუფის შემოწმების საფუძველზე ღვინის ხარისხიანობის დამადასტურებელ უფასო სერტიფიკატებს გასცემს. მისი თქმით, "სამტრესტი" დღეს მოქმედი ღვინის კომპანიებიდან ვერ იღებს შესაბამის ინფორმაციას ყურძნის ჩაბარებისა და გადამუშავების შესახებ. ამასთან, "სამტრესტი" ადგილობრივ ბაზარზე ქართული ღვინის გაიაფებას არ გამორიცხავს, რომელიც რუსული ბაზრის ჩაკეტვას უკავშირდება. როგორც "სამტრესტის" თავმჯდომარის მრჩეველმა ედუარდ ლეკიაშვილმა განაცხადა, ადგილობრივ ბაზარზე, მომხმარებლის სიმცირის გამო, ღვინოზე ფასის დაწევა თავისთავად განხორციელდება. ექსპერტების მონაცემებით, ღვინის მოხმარება ერთ სულ ადამიანზე წელიწადში 15 ლიტრს შეადგენს, ხოლო საშინაო ბაზრის მოთხოვნა დაახლოებით 67,5 მილიონი ლიტრია. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ექსპერტები ცუდ რთველსა და მეღვინეთა ბიზნესბრძოლას ელიან

ქართული ღვინის კომპანიები რთველის კარგად ჩატარებას გამორიცხავენ, თუმცა სოფლის მეურნეობის მინისტრი მიხეილ სვიმონიშვილი საპირისპიროს ამტკიცებს და ირწმუნება, რომ რთველი კარგად ჩატარდება. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ შესაძლებელია, ქართველ მეღვინეებს შორის ცუდი დამოკიდებულება ჩამოყალიბდეს, რაც "ბიზნესბრძოლაში გადაიზრდება". "მეღვინეების ბრძოლა" მხოლოდ მევენახეობაში დასაქმებულ გლეხს დააზარალებს, რომელსაც ერთ ჰექტარზე გაშენებული ვენახის მოვლა, დაახლოებით, 2000 ლარი უჯდება. ქართველი მეღვინეები ნახევრად ალტერნატიულს უწოდებენ თურქეთის ბაზარს, სადაც შეუძლებელია საქართველოში წარმოებული ღვინის დიდი რაოდენობით გაყიდვა. როგორც ღვინის კომპანია "თბილღვინოს" პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა, თურქეთის ბაზარზე ქართველ მეღვინეებს გასვლა მას შემდეგ გაუადვილდებათ, რაც თურქეთის ხელისუფლება საბაჟო გადასახადებს შეამცირებს. მარგველაშვილის თქმით, აუცილებელია უფრო ალტერნატიული ბაზრების მოძიება. საშუალო წარმადობის მქონე ღვინის კომპანიების ადგილობრივი ბაზრიდან "გაქრობის" საშიშროებაც კი შეიქმნა, რისი მიზეზიც რუსეთის ბაზრის ჩაკეტვა გახდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

# რა ხდება ზარაფხანაში?

პირველი გვერდიდან

აპრილში ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ თბილისის საიუველირო ქარხნის (ყოფილი "საქართველოს ეროვნული ზარაფხანის") მსურველთა განაცხადების მიღება დაიწყო. პოტენციური ინვესტორების რაოდენობისა და მათი ვინაობის შესახებ ინფორმაციის გაცემისგან სამინისტროში ამ ეტაპზე თავს იკავებენ, თუმცა როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, საიუველირო ქარხნით ჯერჯერობით მხოლოდ ერთი ქართული კომპანიაა დაინტერესებული. ეყოლება თუ არა მას აუქციონზე კონკურენტი და რამდენს გადაიხდის ის ამ საწარმოში, 16 მაისს, საღამოს 6 საათზე გახდება ცნობილი. მანამდე კი "24 საათი" საწარმოს დღევანდელი მდგომარეობით და მისი რენტაბელობით დაინტერესდა.



### რას ყიდულობს ინვესტორი?

თბილისის საიუველირო ქარხნის, რომლის 100-პროცენტიანი მფლობელი სახელმწიფოა, საქმიანობის ძირითადი სფერო საიუველირო ნაკეთობათა დამზადება-რეალიზაციაა. გარდა ამისა, პერიოდულად საწარმო სახელმწიფო დაკვეთებსაც ღებულობს სხვადასხვა მედლების, ორდენებისა და ჯილდოების სახით.

თბილისის საიუველირო ქარხნის შენობა-ნაგებობების საერთო ფართობი 9064 კვადრატული მეტრია, მიწის ფართობი - 26 795 კვადრატული მეტრი, მისი საწესდებო კაპიტალი კი 8 მილიონ 691 ათას ლარს შეადგენს.

ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, ქარხნის დებიტორული დავალიანება 11 ათას 190 ლარს, ხოლო კრედიტორული - 89 298 ლარს შეადგენს, თუმცა თავად საწარმოს ხელმძღვანელობა განსხვავებულ ციფრებს ასახელებს. ზარაფხანაში აცხადებენ, რომ საწარმოს მხოლოდ 56 ათასი ლარის კრედიტორული დავალიანება გააჩნია, რომელიც კრედიტორებთან შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით დროულად იფარება, ხოლო დებიტორული 249 ათას ლარს აჭარბებს. საწარმოს მევალეთა შორის ყველაზე მსხვილი (62 ათასი ლარი) - ყოფილი "პრეზიდენტის მომსახურების სააგენტოა", რომელიც საწარმოს სხვადასხვა სახელმწიფო ჯილდოებსა და ორდენებს უკვეთდა. დღეისათვის ეს სამსახური გაუქმებულია და მისი სამართალმემკვიდრის ვინაობაც გაურკვეველია.

თითქმის არ ყოფილა წელი, როცა საწარმოს ფუნქციონირება შეჩერებული იყო, თუმცა მისი დატვირთვა წლიდან წლამდე კლებულობდა. შესაბამისად, მცირდებოდა ქარხნის მუშა-პერსონალის რაოდენობაც. დღეს საწარმოში 119 ადამიანია დასაქმებული, რომელთა საშუალო ხელფასი 300 ლარია.

საწარმო რენტაბელურია, თუმცა, როგორც მისი ხელმძღვანელობა აცხადებს, არა იმდენად, რომ მოგების ნაწილი ბიუჯეტში ჩარიცხოს. უკანასკნელი 6 წლის განმავლობაში საიუველირო ქარხანას დივიდენდი არ გადაუხდია. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ქარხანას დივიდენდის სახით არც ერთი თეთრი არ გადაურიცხავს. **"ჩვენი საწარმო არ იყო დიდად რენტაბელური და, შესაბამისად, მას დივიდენდის გადახდა არ ევალებოდა,"** - განმარტავენ "ზარაფხანაში".

დღეისათვის საწარმო რამდენიმე ათეული მილიონი დოლარის ინვესტიციას საჭიროებს, რადგან აქ არსებული დანადგარების უმრავლესობა მწყობრიდან არის გამოსული, დანარჩენი კი უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში არ შეცვლილა.

საიუველირო ქარხნის მიერ წარმოებული პროდუქციის 65-70 პროცენტი ოქროს ნაკეთობაზე მოდის. გასულ წელს ზარაფხანამ 1 მილიონ 200 ათასი ლარის საიუველირო პროდუქცია აწარმოა, რომლის 98 პროცენტი ადგილობრივ ბაზარზე გაიყიდა. დაახლოებით 25 ათასი ლარის ღირებულების ნაწარმი ქარხანამ შარშან ყაზახეთში გაიტანა. **"ეს, ფაქტობრივად, იყო ამ ბაზარზე ნიადაგის მოსინჯვა და იმის გაგება, თუ რამდენად შეიძლება მომავალში ჩვენი პროდუქციის ექსპორტზე გატანა,"** - უთხრა "24 საათს" საწარმოს საფინანსო-ეკონომიკური სამმართველოს უფროსმა ტარიელ ბერელიძემ.

როგორც ჩანს, ეს მცდელობა საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა, რადგან ყაზახეთთან გაფორმებული კონტრაქტის თანახმად, მიმდინარე წლის მეორე ნახევარში თბილისის საიუველირო ქარხანამ ამ ბაზარზე 500 ათასი ლარის ღირებულების პროდუქცია უნდა შეიტანოს.

შარშან დეკემბერში საწარმოთა მართვის სააგენტოსთან შეთანხმებული და დამტკიცებული ბიზნეს-გეგმის მიხედვით, ქარხანამ 2006 წელს 2 მილიონ 500 ათასი ლარის ღირებულების საიუველირო პროდუქტი უნდა აწარმოოს. გასულ ოთხ თვეში ზარაფხანამ მხოლოდ 300 ათასი ლარის ღირებულების ნაწარმის დამზადება მოახერხა.

შარშან მთელი წლის განმავლობაში ქარხანამ დაახლოებით 200 დასახელების საიუველირო პროდუქცია აწარმოა, რომლის გასაღების ძირითადი ბაზარი თბილისი იყო. ქარხანას ამ დროისთვის დედაქალაქის სხვადასხვა უბანში სამი საიუველირო მაღაზია გააჩნია, თუმცა ბიზნეს-გეგმის მიხედვით, წლის ბოლომდე რუსთავში, ფოთსა და ბათუმში თითო-თითო საიუველირო სალონის გახსნა იგეგმებოდა. **"ახლა ამ საკითხს ჩვენი მომავალი ინვესტორი გადაწყვეტს. მის სურვილზეა დამოკიდებული, რეგიონებში გავალთ თუ თბილისში დავამატებთ კიდევ რამდენიმე სალონს,"** - ამბობს ტარიელ ბერელიძე.

ერთი საინტერესო დეტალი: 1990 წლის შემდეგ თბილისის საიუველირო ქარხანას საჭირო ოქრო არ შეუძენია. ის დღემდე 16 წლის წინ (საბჭოთა კავშირის დაშლამდე) შემორჩენილი მარაგით ფუნქციონირებს, რომელიც ნელ-ნელა იწურება. საწარმოს ხელმძღვანელობა, კომერციული საიდუმლოების მოტივით, არ ასახელებს ოქროს იმ მარაგის რაოდენობას, რაც დღეს ქარხანას გააჩნია. თუმცა, ტარიელ ბერელიძე ამბობს, რომ თუკი საწარმო ამ ტემპებით გააგრძელებს მუშაობას, მარაგი წლის ბოლომდე საკმარისი იქნება. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ საწარმოს მონაცემებით, დღეს ერთი გრამი ოქროს ფასი 23 აშშ დოლარს აღწევს (შესაბამისად, 1 კილოგრამი - 23 ათასი დოლარი), ხოლო 2006 წლის გეგმა კი 2.5 მილიონი ლარის (1.5 მილიონი აშშ დოლარის) ღირებულების ნაწარმის გამოშვებას ითვალისწინებს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ქარხნის დღევანდელი ოქროს მარაგი 60-70 კილოგრამის ფარგლებში უნდა მერყეობდეს.

ცნობისათვის, 1990 წლისთვის ზარაფხანის ოქროს მარაგი ტონანახევარს აღწევდა.

### საინტერესო დეტალი საიუველირო ქარხნის წარსულიდან

2004 წლის ზაფხულში საიუველირო ქარხნის ირგვლივ დიდი ვნებათაღელვა იყო ატეხილი. მაშინ ქარხნის ყოფილი გენერალური დირექტორი დავით ლორთქიფანიძე სახელმწიფო საწარმოთა მართვის სააგენტოს ზეწოლაში ადანაშაულებდა. დაახლოებით 2 წლის წინათ ლორთქიფნიძე ირწმუნებოდა, რომ გარკვეული ძალები თანამდებობიდან მის გათავისუფლებას და ზარაფხანის საკუთარი გავლენის ქვეშ მოქცევას ცდილობენ. უფრო კონკრეტულად: დავით ლორთქიფანიძე ამტკიცებდა, საწარმოთა მართვის სააგენტომ ზარაფხანის მაშინდელ სამკაციან სამეთვალყურეო საბჭოს დირექტორის საწარმოდან გამოწვევა მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ზარაფხანის პარტნიორთა კრება თავად სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობის საკითხს დააყენებდა. ამ "ულტიმატუმის" მიუხედავად, საბჭოს წევრებმა ლორთქიფანიძის გათავისუფლებაზე მაშინ უარი განაცხადეს, რასაც შემდეგ საბჭოს ერთი წევრის გათავისუფლება და მისი ახლით, საწარმოთა მართვის სააგენტოს თანამშრომლის ოლეგ ლაჟომიას, ჩანაცვლება მოჰყვა. ეს უკანასკნელი მაშინ "24 საათთან" საუბრის დროს ახსენებდა იმ დაგროვილ დავალიანებებს, ზარალსა და საწარმოს მიერ მილიონობით დაკარგულ ლარებს, რომელიც, მისივე თქმით, საწარმოს იმჟამინდელი ხელმძღვანელის დავით ლორთქიფანიძის დირექტორობის ბოლო პერიოდს უკავშირდებოდა.

ლორთქიფანიძის მიმართ პრეტენზიები მაშინ საწარმოთა მართვის სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილესაც ჰქონდა. სერგო ტოპრაკაშვილი ამბობდა, რომ ზარაფხანა წამგებიანი საწარმოა, რაც მთლიანად დირექტორისა და მისი უვარგისი მენეჯმენტის "დამსახურება" იყო.

ის, რომ საწარმო ზარალიანი იყო, ამას ზარაფხანის მაშინდელი დირექტორიც ადასტურებდა და ამას საწარმოს წინა ხელმძღვანელობის "თავგასულობით" ხსნიდა. ზარაფხანის ფინანსური მენეჯერი შოთა რამიშვილი აღიარებდა, რომ 2004 წლისთვის საწარმოს მიერ დაგროვილი საგადასახადო დავალიანება სამ მილიონ ლარს აღემატებოდა. **"ამ ვალის, რომელიც საწარმოს ძველი ხელმძღვანელობის დროს დაგროვდა, გასასტუმრებლად ჩვენ წინა და დღეს მოქმედ ხელისუფლებას რამდენჯერმე შევთავაზეთ თურქმენეთის ვალის მომსახურება, რაზედაც კატეგორიული უარი მივიღეთ,"** - გვითხრა ზარაფხანის ფინანსურმა მენეჯერმა.

ზარაფხანის მაშინდელმა გენერალურმა დირექტორმა და საწარმოს შრომითმა კოლექტივმა პრეზიდენტს თხოვნით მიმართეს, რათა მან შეისწავლოს საწარმოში არსებული მდგომარეობა და შექმნას სპეციალური კომისია, რომელიც დეტალურ ინფორმაციას მიაწვდის პრეზიდენტს იმ სიძნელეების შესახებ, რაც აფერხებს ზარაფხანის ნორმალურ მუშაობას. ლორთქიფანიძის თქმით, შესასწავლია ისიც, თუ რა ღონისძიებებს ატარებს ფინანსთა სამინისტრო ქვეყანაში აღურიცხავი და კონტრაბანდული ოქროს ნაკეთობების შემოტანის აღსაკვეთად.

# არასამთავრობო ორგანიზაციამ ზურაბ ნოღაიდელი ფინანსურ მაქინაციაში ამხილა

არასამთავრობო ორგანიზაცია "ახალგაზრდულმა რესპუბლიკურმა ინსტიტუტმა" პრემიერ-მინისტრის, ზურაბ ნოღიადელის ფინანსთა მინისტრობის პერიოდში სახაზინო ვალდებულებებზე გამართული აუქციონის შედეგები შეისწავლა.

როგორც არასამთავრობო ორგანიზაციაში აცხადებენ, 2001 წლის ოქტომბრიდან 2002 წლის მაისამდე ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარად გაყიდულ სახაზინო ვალდებულებებზე უჩვეულოდ მაღალი პროცენტები ფიქსირდებოდა და მისი მაჩვენებელი 300,5 პროცენტსაც კი აღწევდა.

"განვითარებულ ქვეყნებში სახაზინო ვალდებულებებზე საპროცენტო განაკვეთი 10 პროცენტს არ აღემატება. ასეთი მაღალი პროცენტით სესხის აღების უფლებას საკუთარ თავს დასავლეთის სახელმწიფოებიც კი არ მისცემდნენ," - განაცხადა ორგანიზაციის დირექტორმა გიორგი აბაშიშვილმა. მისი თქმით, სახელმწიფომ ფინანსური მაქინაციების შედეგად უზარმაზარი დანაკარგები მიიღო.

"ბიუჯეტიდან სრულიად უმტკივნეულოდ ხან 100, ხან 200, ხანაც 240 მილიონი ლარი იკარგებოდა," - განაცხადა აბაშიშვილმა. ეს უკანასკნელი პრემიერ-მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხს აყენებს.



ბესო გულაშვილის ფოტო

ზურაბ ნოღაიდელი

არასამთავრობო ორგანიზაციაში აცხადებენ, რომ ნოღაიდელის საქმიანობის შემოწმება მთავრობის ინიციატივის გამო დაიწყეს. იგი ახალი მეგა საფინანსო ინსტიტუტის ჩამოყალიბებას ითვალისწინებს.

"ყველა ქვეყანაში სახაზინო ვალდებულებების გამოშვებაზე გადაწყვეტილებას ფინანსთა სამინისტრო იღებს, ხოლო მასზე ვაჭრობას ეროვნული ბანკი ახორციელებს. საკანონმდებლო ინიციატივის დანერგვის შემთხვევაში, მთავრობა საბანკო ზედამხედველობასა და ფასიანი ქაღალდების ბაზარზე კონტროლს განახორციელებს. თუმცა, თუ ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და ფინანსთა მინისტრი ერთმანეთთან გარიგდებიან, შესაძლებელია, ისედაც აიწიოს საპროცენტო განაკვეთმა," - განაცხადა ექსპერტმა ნიკო ორველაშვილმა. მისი თქმით, ამის პრეცედენტი საქართველოს უახლეს ისტორიაში ბევრია. მან მაგალითად ყოფილი ფინანსთა მინისტრის მიხეილ ჭკუასელის პერიოდი გაიხსენა. ორველაშვილის მტკიცებით, მინისტრი სწორედ სახაზინო ვალდებულებებთან დაკავშირებული აფიორის გამო გაათავისუფლეს.

"ჯერჯერობით, მსგავსი მანიპულირებები გოცირიძემ აღკვეთა, თუმცა არავინ არის დაზღვეული, რომ იგივე არ განმეორდება," - დასძინა ორველაშვილმა.

გამოსავალს როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები, ასევე დამოუკიდებელი ეკონომიკური ექსპერტებიც საკანონმდებლო ცვლილებებში ხედავენ. პირველ რიგში, პარლამენტთან უნდა შეთანხმდეს საშინაო ვალის საპროცენტო განაკვეთზე ლიმიტები, ასევე უნდა მოისპოს მონოპოლია ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობაზე.

აღსანიშნავია, რომ მოქმედი კანონმდებლობით, სახაზინო ვალდებულებების შესყიდვა მხოლოდ რამდენიმე ბანკს შეუძლია. ოზივატელს ფასიან ქაღალდებში ფულის დაბანდება მხოლოდ მეორად ბაზარზე შეუძლია.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## ვაჭრობის სფეროს დაფინანსება იზრდება

საქართველოს რეგიონულ საბანკო სისტემაში ადგილობრივი საკრედიტო რესურსის ძირითადი ნაკადები მიმართულია ვაჭრობა-მომსახურების სფეროსა და ფიზიკური პირების დაკრედიტებაზე. საქართველოს ეროვნული ბანკის ქუთაისის ფილიალის ინფორმაციით, ამ სფეროში გაცემული სესხების დაახლოებით 42 პროცენტი (7,7 მილიონი ლარი) და 50 პროცენტი (9,2 მილიონი ლარი) სწორედ ამ სფეროზე მოდის. მაღალია ვაჭრობა-მომსახურებისა და ფიზიკური პირების დაფინანსების დინამიკაც. პირველ შემთხვევაში ზრდამ 206 პროცენტი შეადგინა, მეორე შემთხვევაში კი - 176 პროცენტი. **ჯი-ეიჩ-ენი**

## სოფლის მეურნეობა - მაღალი რისკის სფერო

საქართველოს საბანკო სისტემაში კვლავინდებურად სერიოზულ პრობლემად რჩება სოფლის მეურნეობის სფეროს დაფინანსება. საბანკო საქმის სპეციალისტები ამას სოფლის მეურნეობის სფეროში არსებული რისკის ხარისხით ხსნიან. მსგავსი პრობლემა კომერციული ბანკების რეგიონულ ფილიალებშიც შეინიშნება. კერძოდ, კომერციული ბანკების ქუთაისის ფილიალებში სოფლის მეურნეობის სექტორის დაფინანსება ოდნავ გაზრდილია, მაგრამ მისი წილი დაკრედიტების საერთო მოცულობაში ჯერ კიდევ დაბალი რჩება. საქართველოს ეროვნული ბანკის ქუთაისის ფილიალის ინფორმაციით, სოფლის მეურნეობის სფეროს შედარებით ცუდი დაფინანსება განპირობებულია იმით, რომ რეგიონში, ძირითადად, მცირე მეურნეობებია განვითარებული. ნაკლებად გვხვდება მსხვილი და საშუალო ფერმერული მეურნეობები, ამიტომაც გლეხები, როგორც წესი, უპირატესობას მცირე მოცულობის მიკროსესხებს ანიჭებენ. სესხების ეს კატეგორია კი კომერციული ბანკების ხელმძღვანელობისთის ნაკლებად მომგებიანია. **ჯი-ეიჩ-ენი**

## სს "ტყიბულნახშირის" რეაბილიტაცია იწყება

სააქციო საზოგადოება "ტყიბულნახშირის" რეაბილიტაცია იწყება. "ტყიბულნახშირის" ახალი მფლობელი "საქინვესტი" 2 წლის განმავლობაში 10 მილიონი ლარის ინვესტიციას განახორციელებს. იგეგმება საწარმოს გადაიარაღება და "მინდელის" შახტის რეაბილიტაცია. ინვესტორის საინვესტიციო პროგრამის მიხედვით, 2007 წლის ბოლომდე ნახშირის მოპოვებას 200 000 ტონამდე გაზრდის, ხოლო მომდევნო 3-4 წლის განმავლობაში 300 000 ტონამდე.

"საქინვესტის" წარმომადგენლის შოთა ქელდიშვილის განცხადებით, მსოფლიო ბაზარზე ენერგომატარებლებზე ფასების ზრდა ქვანახშირის მოპოვების ინდუსტრიას აქტუალურს ხდის. ქვანახშირის მოპოვების აღორძინება საქართველოს ენერგეტიკული დამოუკიდებლობის გზაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება. მისივე თქმით, ნახშირი არამარტო სათბობი, არამედ ქიმიური მრეწველობის ნედლეულიც არის და გარე ბაზრის მოსაპოვებლად დაწყებულია მუშაობა.

"საქინვესტი" ს/ს "ტყიბულნახშირის" მფლობელად მიმდინარე წლის 1 მაისს პრივატიზების მიზნით გამართულ აუქციონზე გამარჯვების შედეგად დასახელდა. გამარჯვებული კომპანია ჰოლდინგ "საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის" შვილობილი კომპანიაა. **ინტერპრესნიუსი**

## "ბორჯომისა" და "სავანეთის" გაყალბების ფაქტები გამოვლინდა

ფინანსური პოლიციის ქვემო ქართლის სამმართველომ სხვისი სასაქონლო ნიშნის უკანონო გამოყენების ორი ფაქტი გამოავლინა და მათზე სისხლის სამართლის საქმე აღძრა. როგორც ფინანსურ პოლიციაში განაცხადეს, რეალიზატორები რუსთავის მაღაზიათა ქსელში ჯერჯერობით დაუდგენელი წარმოშობის კვერცხს აბარებდნენ, რომელთაც ქართული მეფრინველეობის ფირმის, "სავანეთის" გაყალბებული ბეჭედი ჰქონდათ დარტყმული. ამასთან, რეალიზატორისგან ამოღებულია 4 ათასი ბოთლი მინერალური წყალი, რომელსაც "ბორჯომის" გაყალბებული ეტიკეტები ჰქონდა მიკრული. ფინანსურ პოლიციაში ამჟამად იმ დამნაშავეთა დადგენა მიმდინარეობს, რომელებიც სხვის სასაქონლო ნიშანს უკანონოდ იყენებდნენ. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## Google-ისა და Microsoft-ს კონფლიქტი გრძელდება

ცნობილია, რომ მსოფლიოში უმსხვილესმა საძიებო ინტერნეტ-კორპორაცია Google-მა Microsoft-ი ინტერნეტში ინფორმაციის ძიების მონოპოლიზაციაში დაადანაშაულა. Google-მა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის ანტიმონოპოლიურ ორგანოებს ბრალდებული კომპანიისადმი შეწყალებით მიმართა. Google-ის იურისტები Internet Explorer-ის ახალ ვერსიაში ძიების სერვისის დაბლოკვას მოითხოვენ.აღნიშნული სერვისს მომხმარებელი პირდაპირ Microsoft-ის საძიებო სისტემაში შეჰყავს.

ქსელური კორპორაციებს ინტერნეტში ძიების ბაზარზე საკმაოდ ცხარე კონკურენტუნარიან გარემოში მოღვაწეობა უწევთ. Google-ი Microsoft-ს კომპანიის გრძელვადიანი პერსპექტივების ჩაშლაში ადანაშაულებს. Microsoft კი, თავის მხრივ, კომპანია Google-ს ძალიან სერიოზულ კონკურენტად მიიჩნევს.

ბრალდებული კომპანია ირწმუნება, რომ ახალი ბრაუზერის მომხმარებელს თავისუფლად შეუძლია შეცვალოს "დაყოვნებული" ძიების სისტემა. კომპანიებს შორის მიმდინარე კონფლიქტი Microsoft-ის Internet Explore-ის ახალი ბრაუზერ ვერსიის შექმნას უკავშირდება, რომელიც ჯერ კიდევ ტესტირების ეტაპზეა. Google-ში აცხადებენ, რომ microsoft დამატებითი გვერდების გამოყენების საშუალებით, მომხმარებელს თავის საძიებო სისტემაში რთავს, რაც მისი მხრიდან, ანტიმონოპოლიუტი კანონმდებლობის დარღვევაა. Microsoft-ის მიერ დაგებული ეს მახე Google-ს სერიოზულ ფინანსურ ზარალს მიაყენებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ქსელური ძიების ბაზარზე სიტუაციას ამ დრომდე კომპანია Google-ი აკონტროლებს. გამოკვლევების შედეგების თანახმად, მარტში ძიების სისტემების წილის თვალსაზრისით Microsoft-ზე 11%, ხოლო google-ზე 49%-ი მოდის.

Google-ს იურისტები ევროკავშირისგან გარკვეული ზომების მიღებას მოითხოვენ.

ბილ გეიტსის კომპანიაში Google-ის ბრალდებებს უარყოფენ და აცხადებენ, რომ ისინი მომხმარებლებს არჩევანის თავისუფლებაში სულაც არ ზღუდავენ.

კომპანია Microsoft-ის ერთ-ერთი მენეჯერი ბრალმდებელ კომპანიას ეთანხმება და აცხადებს, რომ მომხმარებელმა თავად უნდა გააკეთოს არჩევანი. "Mikrosoft-ის პოზიციებიდან გამომდინარე, ახალი Internet Explorer მომხმარებლებს საძიებო სისტემის უპრობლემოდ შეცვლის საშუალებას აძლევს."- აცხადებს კომპანიის მენეჯერი.

ანალიტიკოსების აზრით, Google-ის მიერ Microsoft-ისადმი წაყენებული ბრალდებები კომპანიებს შორის მიმდინარე ცხარე კონკურენციით არის განპირობებული. მათი თქმით, Microsoft-ის ახალი Internet Explorer-ი ამოქმედება Google-ს არანაირ საფრთხეს არ შეუქმნის.

## Google ფულს საბავშვო პორნოგრაფიით შოულობს

ამერიკის შეერთებულ შტატებში კომპანია Google-ის წინააღმდეგ სასამართლო პროცესები დაიწყო. კომპანიას ბრალი საბავშვო პორნოგრაფიის გავრცელებაში ედება. აღნიშნულ საქმეს ნიუ-იორკის უზენაესი სასამართლო განიხილავს.

საბავშვო პორნოგრაფიის გავრცელება ამერიკის შეერთებულ შტატებში, ფედერალური კანონმდებლობის თანახმად აკრძალულია. Google-ის წინააღმდეგ აღძრული საქმე, საიტებზე განთავსებულ იმ სარეკლამო რგოლებისა და ინფორმაციის აკრძალვას მოითხოვს, რომლებიც საბავშვო პორნოგრაფიის შემცველ ელემენტებს შეიცავს. სასამართლო კომპანიისგან სპეციალური ტექნოლოგიის შემუშავებას მოითხოვს, რომელიც ინტერნეტ-მომხმარებლებს მსგავსი საიტების დაბლოკვის საშუალებას მისცემს. კომპანია Google-ის პორნო-საიტების მფლობელების ქმედებები კი სამართალდამცავი ორგანოების ყურადღების საგანი გახდება.

კომპანია ბრალდებებს უარყოფს. google-ის წარმომადგენელი, სტივ ლენდონი აცხადებს, რომ მომხმარებელს საბავშვო პორნოგრაფიულ საიტებამდე მისაღწევად საკმაოდ გრძელი გზის გავლა უწევს. "ჩვენ მზად ვართ ვითანამშრომლოთ ადამიანის უფლებათა დამცავ ორგანოებთან, რათა საბავშვო პორნოგრაფია მთლიანად ამოვიღოთ ინტერნეტიდან"- განაცხადა კომპანია Google-ის წარმომადგენელმა.

# მასზე მდიდარი მხოლოდ გეითსია

პირველი გვერდიდან

### 11 წლის ბიზნესმენი

უორენ ედუარდ ბაფეტი დაიბადა 1930 წელს ნებრასკას შტატის ყველაზე დიდ ქალაქ ომახაში. 11 წლის იყო, როცა საქმიანმა ცხოვრებამ გაიტაცა და კაპიტალისტობა ჯერ კიდევ სკოლაში გადაწყვიტა. კაცმა რომ თქვას, ეს გასაკვირი არც იყო, მამამისი ჰოვარდ ბაფეტი საბირჟო მაკლერი და რესპუბლიკური პარტიის აქტიური წევრი გახლდათ.

ჰოდა, პაწია უორენმაც, ბირჟის ცხოვრება რომ იხილა, თამაში მოინდომა. მან ჩიტუეს Servise Prefeeered-ის სამი აქცია, თითო 38 დოლარად იყიდა, დაელოდა, სანამ მათი ფასი 40 დოლარამდე გაიზრდებოდა და გაყიდა. ასე მიიღო მან 6 დოლარის ოდენობის მოგება და პირველი გაკვეთილი. ბიჭს გული საშინლად დასწყდა, როცა ერთი კვირის შემდეგ ამ აქციათა ფასი 200 დოლარამდე გაიზარდა. ამის შემდეგ ბაფეტმა გადაწყვიტა, ფული მხოლოდ გრძელვადიან პროექტებში ჩაედო.

12 წლის უორენმა მტკიცედ გადაწყვიტა, მილიონერი გამხდარიყო. უნდა ითქვას, რომ ნორჩ ბიზნესმენს ტალანტი და შესაძლებლობები არ აკლდა. რიცხვებზე ფენომენალური მეხსიერება მას დღემდე შემორჩა. ახალგაზრდა ტალანტი ერთობ გამჭრიახი, იდეებით დახუნძლული და ენერგიული იყო. ის ხან აქციებით ვაჭრობდა, ხან დაგირავებული საქონლის შეძენით და შემდგომ გაყიდვით ფულს შოულობდა, ხან კიდევ გაზეთების გავრცელების ორგანიზებაზე მუშაობდა.

14 წლის იყო, როცა ნებრასკაში 1200 დოლარად 40 აკრის ფართობი შეიძინა და უმალ ფერმერს მიაქირავა. შემდეგ დაზიანებული სათამაშო აპარატები იყიდა, შეაკეთა და ექსპლოატაციაში ჩაუშვა. მალე მისმა შემოსავალმა კვირაში 150 დოლარს მიაღწია.

1942 წელს სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა. რესპუბლიკური პარტიისაგან კონგრესმენად წარდგენილმა უორენის მამამ არჩევნებში გაიმარჯვა და ოჯახი ვაშინგტონში გადაბარგდა, სადაც მშობლებმა შვილისათვის კარგი განათლების მიცემა გადაწყვიტეს. უორენმა კოლუმბიის ურივერსიტეტი დაამთავრა და პროფესიონალი ტრაიდერი (ვაჭარი, მაკლერი) გახდა.

### ინტელექტუალური ინვესტორი

20 წლის ბაფეტი ფასიანი ქაღალდების ბაზარმა გაიტაცა. მომავალი ფინანსური მაგნატის ჩამოყალიბებაზე გადამწყვეტი გავლენა მოახდინა ბენჟამენ გრემის წიგნმა "ინტელექტუალური ინვესტორი", რომელიც მის ბიბლიად იქცა. წიგნში მოცემული რეკომენდაციების არსი იმ დროს უოლ სტრიტზე აღიარებული წესების იგნორირებასა და იმ აქციებზე ნადირობაში მდგომარეობდა, რომლებიც ფაქტობრივ ღირებულებაზე ნაკლებად იყიდება.

სწორედ ეს იქცა ბაფეტის კრედოდ. მაგრამ ყველაზე რთული ამგვარი აქციების აღმოჩენა იყო. ამისათვის საჭირო გახლდათ უამრავი კომპანიის საქმიანობის ინტელექტუალური გაანალიზება და საოცარი მოთმინება. სწორედ აქ გამოადგა უორენს თავისი მათემატიკური ნიჭი. საკუთარი გარჯით მოგროვილი 10 ათასი დოლარის გარდა, მან მამის კაპიტალიც ძალზე გონივრულად გამოიყენა და დიდძალი თანხა იშოვნა. 30 წლის ასაკში იგი უკვე 5 მილიონის მფლობელი იყო.

უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ მან კოლუმბიის უნივერსიტეტს მიაშურა, რომ თავისი კერპის, ბენჯამინ გრემის ხელმძღვანელობით ემუშავა. მან სურვილი აისრულა და ბრძენი გურუსაგან ბევრი რამ ისწავლა. ამ ცოდნასთან ერთად, ადრე მიღებულმა პრაქტიკულმა გამოცდილებამ, განათლებამ და ბუნებრივმა ტალანტმა ჩამოაყალიბა საიმედო, წარმატებული და ძლიერი ბიზნესმენის თითქმის ქარიზმატული ტიპი, რომელიც წარმატებით რეალიზდა.

1957 წელს ბაფეტმა გადაწყვიტა, რომ დამოუკიდებელი მოღვაწეობისათვის მზად იყო და მშობლიურ ომახას მიაშურა, სადაც თავისი პირველი საინვესტიციო ამხანაგობა ჩამოაყალიბა. ამისათვის მას რამდენიმე მეწარმის დარწმუნება დასჭირდა, რომლებმაც იგი გენერალურ მენეჯერად დანიშნეს და 25 ათასი დოლარი გადასცეს.







მათმა ნაბიჯმა გაამართლა: ბაფეტი ყიდულობდა აქციებს, რომლებსაც საჭიროდ თვლიდა, და მიზნად წელიწადში მინიმუმ 10-პროცენტიანი შემოსავლის მიღება დაისახა. როცა 1969 წელს ამხანაგობა დაიშალა, მისი ინვესტიციები 29,5 პროცენტით გაიზარდა და ეს მაშინ, როცა ამ ხნის განმავლობაში Dow Jones-მა 7,4 პროცენტით მოიმატა.

### ღმერთზე მდიდარი

1962 წელს მისი ყურადღება სართავმა ქარხანა Berkshire Hafrtway-მ მიიქცია, რომელიც საცოდავ დღეში იყო, როგორც საერთოდ იმ პერიოდის ამერიკის ტრიკოტაჟული მრეწველობა. ინვესტორი გუმანმა არ მოატყუა, გათვლამ გაუმართლა და ეს წარმოება მომავალი ფინანსური იმპერიის საფუძვლად იქცა.

უმოწყალო სტილის გამო ზოგიერთი ბაფეტს ტერმინატორს ეძახის. ახალი კომპანიის შეძენის შემდეგ იგი მის ბიზნესს თავის ყაიდაზე გარდაქმნის და თუ მოგებას ვერ ნახავს, უმალ ლიკვიდაციას მოახდენს. ასეა, უორენს რენტაბელურობა ადარდებს და არა სოციალური პრობლემები.

თუმცა, მან ფულის შოვნა ამგვარ პრობლემებზეც მოახერხა. 1967 წელს აშშ-ში მიიღეს ახალი კანონი სოციალური დახმარების შესახებ, რომლის მიხედვითაც სადაზღვევო კომპანიებს დიდძალი შეღავათები ეძლეოდათ, რაც ინვესტორისათვის ნამდვილი ოქროს საბადო იყო. დაგროვებული შენატანების რაოდენობა საწესდებო კაპიტალს ბევრად აჭარბებდა. ბაფეტმა ამ საქმიანობის შემოსავლიანობა სწრაფად გაიაზრა და 70-იან წლებში რამდენიმე მსხვილი სადაზღვევო კომპანია შეიძინა, რომელთა საშუალებით თავისი ქონება 28 მილიარდ დოლარამდე გაზარდა და, ჟურნალ "ფორტუნას" გამოთქმით, "ღმერთზე მდიდარი გახდა".

ბაფეტმა ჩამოაყალიბა ერთი შეხედვით მარტივი, მაგრამ საოცრად ბრძნული ინვესტირების თეზისები. "ომახელი ორაკული", როგორც მას პრესა უწოდებს, აცხადებს, რომ ფული უნდა ჩაიდოს: მარტივ და გასაგებ საქმეში (მაგალითად, კვების პროდუქტების წარმოება და საბანკო საქმე), საიმედო, პერსპექტიულ კომპანიებში ("ჟილეტი", "კოკა კოლა"), საერთაშორისო ქსელის მქონე, ზრდის გარანტირებული პერსპექტივის მქონე ფირმებში ("მაკდონალდსი", "კოკა კოლა"), ძლიერი გუნდის მქონე, თავის სექტორზე მყარად ფეხმოკიდებულ კომპანიებში ("უოლტ დისნეი"). იგი ირწმუნება, რომ ბიზნესის წარმართვა რისკის გარეშეც შეიძლება, მაგრამ დიდი ფულის შოვნისათვის ათასგვარი ტრიუკია საჭირო.

ყველაფერ ამას დაუმატეთ საოცარი ინტუიცია, რკინისებური ლოგიკა, შრომისმოყვარეობა და ღვთისაგან მომადლებული ნიჭი, და გასაგები გახდება, თუ რატომ იზრდება გამუდმებით უორენ ბაფეტის ქონება, რომელიც ამჟამად 42 მილიარდს შეადგენს.

### შრომა სიკვდილის შემდეგ

სამწუხაროდ, მილიარდერის პირადი ცხოვრება არ აეწყო. ცოლ სიუზანთან ერთად იგი 1977 წლის შემდეგ არ ცხოვრობს. სიუზანი კაბარეს ყოფილი მომღერალი და აბორტზე ქალთა უფლებების მხურვალე დამცველი, ამჟამად კი ქმრის ფირმის მსხვილი აქციონერი გახლავთ. ადრე უორენს ყველა საზოგადოებრივ აქციაზე დაყვებოდა, ახლა კი ყველა ღონისძიებას იგნორირებს.

ბაფეტს სამ შვილთანაც დაძაბული ურთიერთობა აქვს და მათთვის არაფერს იმეტებს. როცა გოგონა სიუზიმ მას ავტოსადგომისათვის გადასახდელი ფული სთხოვა, მამამ 20 დოლარის სესხად აღების ხელწერილის გაფორმება შესთავაზა. ვაჟ ჰოვარდს ფირმის შეძენა სურდა და მამის დახმარების იმედი ჰქონდა, მაგრამ ბაფეტმა ფირმა თავად შეიძინა და შვილს იჯარით მისცა. შეიძლება, მილიარდერები თავიანთ ფულს ასეც უნდა ექცეოდნენ, სანამ ცოცხლები არიან? მაგრამ ამასწინათ ბაფეტმა განაცხადა, რომ ქონების 99 პროცენტი სურს, თავის საქველმოქმედო ფონდს უანდერძოს, რომელიც ამჟამად მხოლოდ გროშებს იღებს. ჯერჯერობით, მისი ერთადერთი მემკვიდრე ცოლია.

ბაფეტი საკუთარი მოთხოვნილებებისათვის ფულს ძალიან ძუნწად ხარჯავს. მაგნატის ოფისი უბრალო ავეჯითაა მოწყობილი, როგორც წესი, იგი იაფფასიან ტანსაცმელს ატარებს, ძველი "ჰონდათი" დადის და მის ამგვარ იმიჯზე ხალხის რეაქციით ერთობა. დასცინის უოლ სტრიტს და ამბობს, რომ ეს ერთადერთი ადგილია, სადაც ხალხი "როლს როისებით" მიდის, რომ მეტროთი მისულთაგან რჩევა მიიღოს.

საერთოდ, უორენი ძალიან კონსერვატიულია, ხმარობს მხოლოდ ფირმა "ჟილეტის", რომლის აქციებზეც თითქმის 5 მილიარდამდე იშოვნა, საპარსს, გამუდმებით "კოკა კოლას" (მოუტანა 10 მილიარდი) ყლურწავს, იყენებს "ამერიქან ექსპრესის" (4 მილიარდი) პლასტიკურ ბარათს და კითხულობს "ვაშინგტონ პოსტს", რომელიც 11 მილიონი დაუჯდა და რომლისგანაც მილიარდ დოლარამდე შემოსავალი მიიღო.

უცნაურია, რომ ბაფეტი სიამოვნებით დებს თავის ფულს ისეთ კომპანიაში, როგორიცაა "უოლტ დისნეი", რომელმაც 2 მილიარდამდე შემოსავალი მოუტანა. მაგრამ რატომღაც სათოფეზე არ ეკარება "მაიკროსოფტს", რადგან "ფინანსური გურუ" გაურბის იმ სფეროებში საქმის წარმოებას, რომლებშიც არაფერი გაეგება.

არადა, ამბობენ, რომ ბილ გეითსთან მეგობრობს, რამდენადაც შეუძლიათ მეგობრობა ამგვარი ყაიდის ადამიანებს. 1995 წელს ისინი ერთად იმყოფებოდნენ ჩინეთში და სწორედ მაშინ დაახლოვდნენ. ამბობენ, რომ საქმიანი შეხვედრების შემდეგ უორენს ძალიან უყვარდა დამსწრე საზოგადოების გათამაშება. იგი თანამეინახეებს კამათლების გაგორებას სთავაზობდა, რომლებზეც წერტილები ისე თავისებურად იყო განლაგებული, რომ მისი მეტოქეები აუცილებლად აგებდნენ. ბაფეტს ტრიუკს მხოლოდ გამჭრიახი გეითსი მიუხვდა, რამაც დიდი ინვესტორი მის მიმართ პატივისცემით განაწყო.

რამდენიმე წლის წინ ბაფეტი Goldman Sachs-ის ყოფილ დირექტორ რობერტო მენდოზასთან და J.P.Morgan-ის ასევე ყოფილ თავკაცთან პიტერ ჰენკოკთან სარისკო ფინანსური ოპერაციებით მომმსახურებელი ორგანიზაციის შესაქმნელად გაერთიანდა. ამასთან, მან გადაწყვიტა, თავისი ორგანიზაციის აქციები საჯაროდ გაეტანა. ეს პირველი შემთხვევა გახლდათ, როცა ბაფეტმა სრულფასოვანი პარტნიორები გაიჩინა და თავის აქციებს შეელია.

მართალია, ბაფეტი ჯანმრთელობას არ უჩივის, მაგრამ უკვე საკმაოდ ხანდაზმულია და, ცხადია, ამ ქვეყნიდან, ადრე თუ გვიან, წავა და მაშინ უოლ სტრიტზე დიდი ცვლილებები მოხდება. უორენი ხომ თავისი კომპანიის მამოძრავებელი ძალა, წარმატების და სტაბილურობის გარანტი და სასტიკი დიქტატორია. თანაც, მას ხომ, როგორც აღვნიშნეთ, ჯერ არ გადაუწყვეტია, ვინ გახდება მისი მემკვიდრე. შესაძლოა, ეს მისი ცოლი, ან კიდევ ძველი პარტნიორი ჩარლი მანჟერი იყოს, რომელსაც ბაფეტი გამუდმებით დასცინის და გაიძახის, რომ ჩარლის ბიზნესში არაფერი გაეგება.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ იგი სიკვდილის შემდეგაც მუშაობას აპირებს. მან უკვე დაწერა წერილები, რომლებიც მისი სიკვდილის შემდეგ მის ხელქვეითებს დაეგზავნება. ისინი იწყება სიტყვებით "მე გუშინ მოვკვდი", რასაც მითითებები მოჰყვება.

## აშშ-ს ბირჟაზე სიტუაცია შენარჩუნდა










გუშინ ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა გუშინწინ დაფიქსირებული ზრდის შემდეგ ერთგვარი შტილი დაფიქსირდა. ინვესტორთა განწყობაზე დადებითი გავლენა მოახდინა რამდენიმე დამაიმედებელმა კორპორაციულმა სიახლემ, თუმცა, ვენესუელასა და ბოლივიაში არსებულმა სიტუაციამ საბირჟო მოედნებზე დაძაბულობა გამოიწვია.

საბოლოოდ, Dow Jones Index-მა 0,02 პროცენტით, 11.580,12 პუნქტამდე მოიმატა. 0,01 პროცენტით გაზრდილმა Nasdaq Index-მა 2.342,92 პუნტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index 0,13 პროცენტით, 1.323,99 პუნქტამდე შემცირდა.

## ჩავესი ნავთობს გააძვირებს

ვენესუელას პრეზიდენტმა უგო ჩავესმა განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში ამ სამხრეთამერიკულ ქვეყანაში მომუშავე ნავთობისმომპოვებელი უცხოური კომპანიებისათვის მოგებაზე გადასახადს 34-დან 50 პროცენტამდე გაზრდის. მისი თქმით, ვენესუელაში მოპოვებული ნავთობით უცხოელები დიდძალ ფულს შოულობენ, ქვეყანას კი გროშები რჩება.

ჩავესის სანავთობე რეფორმა დიდ დარტყმას მიაყენებს ვენესუელაში მომუშავე უმსხვილეს კომპანიებს: ExxonMobil-ს, Chevron-ს, ჩonocoPhilips-ს, BP-ს და Statiol ASA-ს. აქვე შეგახსენებთ, რომ იტალიურ Eni-ს და ფრანგულ Total-ს ვენესუელას ტერიტორიაზე მოღვაწეობა ამას წინათ აუკრძალეს.

თავისთავად ცხადია, ვენესუელაში, რომელიც ნავთობის ერთ-ერთი უმსხვილესი მიმწოდებელია, შექმნილი სიტუაცია მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასის კიდევ უფრო გაზრდას გამოიწვევს. უგო ჩავესი, რომელიც გამუდმებით მოითხოვს "აშშ-ს იმპერიის" ლიკვიდაციას, ბარელი ნავთობის 100 დოლარამდე გაძვირებით არაერთხელ დაიმუქრა.

## ბოლივია გაზს აძვირებს და მიწის ნაციონალიზაციას იწყებს

ნავთობის ნაციონალიზაციის შემდეგ ბოლივია ბრაზილიისათვის მიწოდებული გაზის 61 პროცენტით, არგენტინისათვის კი 77 პროცენტით გაძვირებას აპირებს. ოფიციალური ინფორმაციით, შესაბამის ბრძანებას პრეზიდენტი ევო მორალესი ხელს უახლოეს მომავალში მოაწერს, რის შემდეგაც ეს ქვეყნები ბუნებრივ აირს ახალი ტარიფებით, თუმცა მსოფლიოში არსებულ საბაზრო ფასებზე მაინც უფრო იაფად შეიძენს.

აღნიშნული გადაწყვეტილების მიზანი ბოლივიის ეკონომიკური პრობლემების მოგვარება, კერძოდ კი ბიუჯეტში გარღვევის აღმოფხვრაა, რომელიც ამ დროისათვის 300 მილიონ დოლარზე მეტია. ამასთან, მორალესი უფლებას იტოვებს, მომავალში საჭიროების მიხედვით გაზი კვლავ გააძვიროს.

გარდა ამისა, ცნობილი გახდა, რომ მორალესი მალე მიწის ნაცონალიზაციის დეკრეტსაც გამოაქვეყნებს. პრეზიდენტი აპირებს სახელმწიფოს დაუბრუნოს 10 მილიონ ჰექტარამდე მიწა, რომელსაც შემდეგ ღატაკ ინდიელებს გადასცემს. ამ დროისათვის ბოლივიას 28 მილიონ ჰექტარზე მეტი ნაყოფიერი მიწა აქვს, რომლის 87 პროცენტი მსხვილი მიწათმფლობელების საკუთრებაშია. შეგახსენებთ, რომ ბუნებრივი რესურსების ნაციონალიზაცია ბოლივიის, რომელიც სამხრეთ ამერიკის ერთ-ერთი ულარიბესი ქვეყანაა, ახალი პრეზიდენტის მთავარი წინასაარჩევნო დაპირებაა.

## არაბებმა ცხრა ამერიკული სამხედრო ქარხანა იყიდეს

არაბეთის გაერთიანებული საემიროების სახელმწიფო საინვესტიციო კომპანია Dubai International Capital-მა ბრიტანული კონცერნი Doncasters-ის, რომელსაც სხვა 25 კომპანიასთან ერთად აშშ-ს ცხრა სამხედრო ქარხანა ეკუთვნის, შეძენის შესახებ განცხადება გააკეთა. გარიგების ღირებულებამ 1,3 მილიარდი დოლარი შეადგინა.

პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა სპეციალური შემოწმების შემდეგ მწვანე შუქი აუნთო და განაცხადა, რომ ქარხნების გაყიდვა აშშ-ს ეროვნულ უსაფრთხოებას არ დაემუქრება.

მიმდინარე წლის თებერვალში პრეზიდენტმა ბუშმა ასევე თანხმობა განაცხადა არაბული Dubai Ports World-ისათვის ცხრა ამერიკული პორტის მიყიდვის თაობაზე, რასაც კონგრესში მწვავე რეაქცია მოჰყვა. გარიგების მოწინააღმდეგეები აცხადებდნენ, რომ პორტების გაყიდვა ტერაქტების რაოდენობის გაზრდას გამოიწვევდა.

## Toyota-ს თანამშრომელი ძალადობისთვის მილიონებს ითხოვს

Toyota-ს თანამშრომელი ქალი, კომპანიისგან კომპენსაციის სახით 190 მილიონ დოლარს ითხოვს. საიაკა კობასიაკი ავტოგიგანტის ჩრდილოამერიკული ფილიალის მეთაურს, ხიდეაკი ოტაკის სექსუალურ ძალადობაში ადანაშაულებს.

კომპანიის თანამშრომელმა ქალბატონმა ოტაკას ამერიკის ერთ-ერთ სასამართლოში უჩივლა. გამოძიებამ დაადგინა, რომ 65 წლის ოტაკას, 2005 წელს, მის დამხმარე ქალბატონზე არაერთხელ უცდია ძალადობა. სექსუალური ძალადობის მსხვერპლმა კი ამის შესახებ არაერთხელ მიმართა კომპანიას, თუმცა მათ აუცილებელი ზომები არ გაუტარებიათ.

თავის მხრივ, კომპანია Toyota-ს ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ ის კომპანიის კედლებში სექსუალურ ძალადობზე თვალებს არ დახუჭავს.

გამოძიება მაშინ დაიწყო, როცა იაპონურმა საავტომობილო გიგანტმა განაცხადა, რომ შეერთებული შტატების ტერიტორიაზე, ავტომობილების გაყიდვის მოცულობა 9%-ით გაიზარდა.

6,5-პროცენტიანი ზრდა ფიქსირდება ასევე კომპანია Honda-შიც. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სამი უმსხვილესი ამერიკული კომპანია - General Motors, Ford MotoR, DiamlerChrysler-ი, გაყიდვების თვალსაზრისით, 7%, 3% და 4%-იან დაცემას განიცდის. აპრილის თვეში, ამერიკაში დაახლოებით 16 მილიონი ახალი ავტომობილი გაიყიდა, რაც გასული წლის მონაცემებთან შედარებით 3%-ით ნაკლებია.

## იმერეთის ეკონომიკის დაკრედიტებამ 18,2 მილიონი ლარი შეადგინა

ქუთაისში მოქმედი კომერციული ბანკების "საქართველოს ბანკი", "თი-ბი-სი ბანკი", "პროკრედიტბანკი", "სახალხო ბანკი", ბანკი "ქართუ", "გქბ") ფილიალების მიერ ადგილობრივი ეკონომიკის დაკრედიტებამ 2006 წლის პირველი კვარტლის მანძილზე 18.2 მლნ ლარი შეადგინა. ეს მაჩვენებელი თითქმის 3-ჯერ აღემატება 2005 წლის ანალოგიურ პერიოდში გაცემული კრედიტების მოცულობას (6.5 მლნ ლარი). ამის შესახებ პრაიმ-ნიუს ბიზნესს საქართველოს ეროვნული ბანკიდან (სებ) აცნობეს.

სებ-ის ცნობით, გაიზარდა ქუთაისის ბანკების ხვედრითი წილი ქვეყნის საკრედიტო ბაზარზე. საქართველოს ეროვნული ბანკის ქუთაისის ფილიალის ინფორმაციით, ადგილობრივი საკრედიტო რესურსების ძირითადი ნაკადები, ტრადიციულად, მიმართულია ვაჭრობა-მომსახურების სფეროსა და ფიზიკური პირების დაკრედიტებაზე, რამაც საანალიზო პერიოდში, შესაბამისად, მთლიანი სესხების, დაახლოებით, 42 პროცენტი (7.7 მლნ ლარი) და 50 პროცენტი (9.2 მლნ ლარი) შეადგინა. მაღალია ამ დარგების დაკრედიტების ზრდის ტემპიც - შესაბამისად, 206 და 176 პროცენტი.

ფიზიკური პირებისა და ვაჭრობა-მომსახურების სფეროს დაკრედიტების გარდა, მიმდინარე წლის პირველი კვარტლის შედეგებით, ზრდის მაღალი ტემპი დაფიქსირდა, აგრეთვე, მრეწველობისა და ტრანსპორტის დაკრედიტებაშიც. კერძოდ, თუ 2005 წლის ანალოგიურ პერიოდში მრეწველობის დაკრედიტების მოცულობამ 76.4 ათასი ლარი შეადგინა, მიმდინარე წელს ამ სფეროსათვის 639 ათასი ლარის სესხებია გაცემული, ანუ დაკრედიტება 8.5-ჯერ გაიზარდა. შესაბამისად, გაიზარდა მრეწველობის ხვედრითი წილი კრედიტების საერთო მაჩვენებლებშიც.

რაც შეეხება ტრანსპორტის დაფინანსებას, დაკრედიტების ზრდა აქაც მნიშვნელოვანია და მან თითქმის 153 პროცენტი შეადგინა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საბანკო კრედიტებით ბოლო პერიოდში ქუთაისში ქალაქის სამგზავრო სატრანსპორტო პარკის განახლება და ახალი სერვისის დანერგვა მიმდინარეობს. შედეგად, ამ სფეროში მხოლოდ იანვარ-მარტის მანძილზე 50-ზე მეტი სამუშაო ადგილი შეიქმნა. 2006 წლის 31 მარტის მდგომარეობით, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ქუთაისში სოფლის მეურნეობის სექტორის დაფინანსება გაიზარდა, თუმცა მისი წილი დაკრედიტების საერთო მოცულობაში ჯერ კიდევ დაბალი რჩება. საქართველოს ეროვნული ბანკის ქუთაისის ფილიალის ინფორმაციით, ეს განპირობებულია იმით, რომ რეგიონში, ძირითადად, მცირე მეურნეობებია განვითარებული, მსხვილი და საშუალო ფერმერული მეურნეობები ნაკლებად გვხვდება, ამიტომაც გლეხები, როგორც წესი, უპირატესობას მიკროსესხებს ანიჭებენ.

საქართველოს ეროვნული ბანკის ქუთაისის ფილიალის ინფორმაციით, საანალიზო პერიოდში გრძელვადიანი საბანკო კრედიტების მოცულობა თითქმის 5-ჯერ გაიზარდა, რაც საკრედიტო ბაზრის დინამიურ განვითარებაზე მიუთითებს. ერთ წელიწადზე მეტი ვადით გაცემულია 8.7 მლნ ლარის მოცულობის სესხები, რაც მთლიანი კრედიტების 48.1 პროცენტია. ამასთან, საგულისხმოა, რომ მთელი გასული წლის შედეგებით, გრძელვადიანი კრედიტების წილი საერთო დაკრედიტებაში 39 პროცენტს შეადგენდა.

მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა მოზიდულ ანაბრებზე. კერძოდ, მათმა მოცულობამ თითქმის 50.3 პროცენტით იმატა და 26.7 მლნ ლარი შეადგინა. მართალია, ეს ქვეყნის საბანკო სექტორის არსებული დეპოზიტების 3 პროცენტიც არ არის, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ქუთაისში ზრდის ტემპი (50.3 პროცენტი), ქვეყნის სხვა რეგიონებთან შედარებით, საკმაოდ მაღალია.

ამავდროულად, დოლარიზაციის მაჩვენებელი აქ გაცილებით დაბალია, ვიდრე მთლიანად ქვეყანაში და 62 პროცენტს შეადგენს. რეკორდული ტემპით - თითქმის 20-ჯერ, ანუ 0.35 მლნ-დან 6.5 მლნ ლარამდე გაიზარდა გრძელვადიანი ანაბრების მოცულობა, რაც ქუთაისში საბანკო სისტემისადმი მოსახლეობის ნდობის ხარისხის ამაღლებაზე მეტყველებს.

2005 წლის პირველ კვარტალთან შედარებით, ქუთაისში სავალუტო გადარიცხვების მოცულობა თითქმის უცვლელი დარჩა და 38.1 მლნ ლარი შეადგინა. აქედან ფიზიკური პირებისათვის ჩარიცხულია 28.5 მლნ ლარი, ანუ მთლიანი თანხის 75 პროცენტი; მიმდინარე წელს სწრაფი ფულადი გზავნილების სისტემებით ("ვესტერნ იუნიონი", "ანელიკი", "მანიგრამი") ქუთაისში გადაირიცხა 10.6 მლნ ლარი და ეს თანხა, ძირითადად, ფიზიკურ პირებზე მოდის. აღსანიშნავია, რომ, ტრადიციულად, წლის პირველ კვარტალში სწრაფი ფულადი გზავნილების მოცულობები და მათი გადმორიცხვის ინტენსიურობა შედარებით ნაკლებია. ამავდროულად, იმატა უცხოეთში გადარიცხული თანხების მოცულობამ და მისმა მაჩვენებელმა 12.1 მლნ ლარს მიაღწია, რაც ადგილობრივ მეწარმეთა აქტივობის ზრდას უკავშირდება. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## თბილისში ქართულ-ესტონური ბიზნესფორუმი გაიმართება

10 მაისს თბილისში სასტუმრო "თბილისი-მერიოტში" ქართულ-ესტონური ბიზნესფორუმი გაიმართება. ფორუმს დაესწრება ესტონეთის პრეზიდენტი არნოლდ რუუტელი და ესტონეთის ეკონომიკური ურთიერთობებისა და კომუნიკაციების მინისტრი ედგარ სავისაარი. სტუმრები თბილისს 10 მაისს ეწვევიან.

ბიზნეს ორუმში მონაწილეობას საქართველოს ეკონომიკური გუნდის წარმომადგენლები და კერძო ქართული კომპანიები მიიღებენ. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ამინდი

| | 9/05 | 10/05 | 11/05 |
|---|---|---|---|
| კიევი | 15 | 19 | 20 |
| რიგა | 21 | 16 | 17 |
| ვილნიუსი | 16 | 14 | 17 |
| მოსკოვი | 14 | 13 | 11 |
| მინსკი | 17 | 11 | 18 |
| პარიზი | 15 | 21 | 20 |
| რომი | 20 | 21 | 25 |
| ლონდონი | 15 | 15 | 20 |
| მადრიდი | 23 | 26 | 26 |
| ბონი | 18 | 20 | 17 |
| ვარშავა | 21 | 20 | 23 |
| ათენა | 23 | 21 | 24 |
| ბერნი | 14 | 21 | 23 |
| ამსტერდამი | 17 | 18 | 17 |
| ოსლო | 23 | 21 | 21 |
| ანკარა | 17 | 25 | 26 |
| ვარნა | 19 | 22 | 22 |
| დელი | 50 | 47 | 48 |
| ტოკიო | 23 | 23 | 22 |
| კოპენჰაგენი | 18 | 20 | 20 |
| ბაქო | 27 | 25 | 22 |
| ერევანი | 28 | 30 | 30 |
| ასტანა | 12 | 16 | 19 |
| ჰელსინკი | 16 | 13 | 16 |
| დუბლინი | 12 | 11 | 12 |
| ლისაბონი | 22 | 25 | 26 |
| პრაღა | 19 | 20 | 21 |
| სოფია | 20 | 20 | 20 |
| ბუდაპეშტი | 23 | 25 | 25 |
| ბუხარესტი | 22 | 25 | 18 |

# სოფლის მეურნეობა

### რატომ ცხოვრობს ქართველი გლეხების უმრავლესობა სიღარიბის ზღვარზე

თეიმურაზ ლოლობერიძე

გაგრძელება. დასაწყისი №98, 99



### რეფორმების მესამე ეტაპი 1997-2000

1997 წლიდან დაწყებული, ევროკავშირის პროგრამა PHARE მთლიანად გახდა ორიენტირებული ლიტვის ევროკავშირთან დაახლოების ხელშეწყობაზე. ამ მიზნით პროგრამის ფარგლებში ხდებოდა ლიტვის ვეტერინარული და ფიტოსანიტარული სამსახურების განვითარების ხელშეწყობა, მიწის ბაზრის განვითარება, ერთიანი აგრარული საინფორმაციო სისტემის განვითარების ხელშეწყობა და ა. შ.

იმავე 1997 წელს ლიტვამ განახორციელა მთავრობის აგრარული პოლიტიკის რადიკალური რეფორმა. სახელმწიფოს მიერ სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის გამოყოფილი ფინანსები გაერთიანდა ერთ "რურალური განვითარების ფონდში" (Rural Development Fund - RDF). რეფორმის ძირითადი ელემენტი იყო MPP პროგრამით სახელმწიფოს მიერ აგრარული პროდუქციის ბაზრებზე ადმინისტრაციული კონტროლის ეტაპობრივი შემცირება და, ამის ნაცვლად, მაღალი ხარისხის აგრარული პროდუქციის წარმოების სტიმულირება. რეფორმა მიზნად ისახავდა არსებული სუბსიდიების შეცვლას საკრედიტო პროგრამებითა და საინვესტიციო გრანტებით. ამავე პერიოდში RDF-ის ფარგლებში შეიქმნა რურალური საკრედიტო გარანტიების ფონდი და რურალურ რეგიონებში კრედიტებზე სახელმწიფოს მიერ საპროცენტო განაკვეთის ნაწილობრივი დაფარვის სისტემა. გარდა ამისა, სოფლის მეურნეობასა და კვების მრეწველობაზე გავრცელდა დამატებითი ღირებულების გადასახადის (დღგ) შეღავათიანი, 9-პროცენტიანი განაკვეთი (ლიტვაში დღგ-ს ორი განაკვეთი მოქმედებს. ნაწილი ბიზნესებისთვის ის 9 პროცენტის, ხოლო მეორე ნაწილისთვის 18 პროცენტის ტოლია. ასევეა ევროპის უმეტეს ქვეყნებში. საქართველოში კი დღგ-ს ერთადერთი, 18-პროცენტიანი განაკვეთი მოქმედებს).

2000 წლისათვის სახელმწიფოს მიერ აგრარული პროდუქციის ბაზრების ადმინისტრირება მთლიანად შეწყდა. სახელმწიფოს მონაწილეობა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ფასწარმოქმნაში საბაზრო ინტერვენციებს დაეყრდნო, რამაც ეს ღონისძიებები ბევრად ეფექტური გახადა. სახელმწიფო ინტერვენციებს ახორციელებდა ლიტვის სოფლის მეურნეობისთვის ყველაზე მნიშვნელოვან სამ ბაზარზე: ხორბლის, რძის პროდუქტებისა და ხორცის. კონკრეტულად, სახელმწიფო წელიწადში ახორციელებდა 200 000 ტონა ხორბლის შეძენას; სახელმწიფო გაზაფხულზე და ზაფხულში საექსპორტო ფასებში ახორციელებდა ფიქსირებული რაოდენობის რძის პროდუქტების შეძენას; და ბოლოს, ხორცის ფასის გარკვეულ ნიშნულზე ქვევით ჩამოსვლის შემთხვევაში, სახელმწიფო, ფასის აწევის მიზნით, ხორცის შეძენას იწყებდა.

გარდა ბაზრის რეგულირებაზე მიმართული ღონისძიებების დაფინანსებისა, რურალური განვითარების ფონდი, რომლის ძირითადი დამფინანსებელი სახელმწიფოა და რომლის წლიური ბიუჯეტი 100 მილიონ ევროს აჭარბებს, აფინანსებდა კიდევ სამი ტიპის ღონისძიებას:

1. ახორციელებდა ინვესტიციებს გამოყოფილი, პრიორიტეტული მიმართულებებით. ეს აქტივობა გულისხმობდა ფერმერებზე გრანტების გაცემას სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, მათი ფერმების მოდერნიზაციისათვის და ახალი აგრარული წარმოების საშუალებების შესაძენად. სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარება გულისხმობდა ელექტროფიკაციას, წყალმომარაგების სისტემისა და სოფლის გზების გაყვანას ან შეკეთებას. ასევე არსებობს სპეციალური პროგრამები ახალგაზრდა ფერმერების მხარდასაჭერად. აღსანიშნავია, რომ ამ სისტემის დანერგვისთანავე, 1998 წელს, RDF-ის დახმარებით ფერმერების მიერ შეძენილი იქნა 1300-ზე მეტი ტრაქტორი და 400-ზე მეტი კომბაინი;

2. RDF აფინანსებდა, აგრეთვე, ფერმერებისთვის საკონსულტაციო მომსახურების განვითარებას, სოფლის მეურნეობის ერთიანი საინფორმაციო სისტემის შექმნასა და სოფლის მეურნეობაში არსებული მდგომარეობის შესწავლას.

3. RDF გამოყოფდა სახსრებს რურალური საკრედიტო გარანტიების ფონდისთვის, რომელიც ფერმერებს კრედიტების მიღებას უმარტივებდა. რურალური საკრედიტო გარანტიების ფონდის ფორმირებაში, პროგრამა PHARE-ს მეშვეობით, თანხა ევროკავშირმაც გაიღო. ფონდის შექმნის მიზანი იყო ფერმერებისთვის მოკლე და გრძელვადიანი კრედიტების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება. აგრარულ საკრედიტო სექტორში არსებობდა ორი პრობლემა: პირველი - ფერმერები, როგორც წესი, ვერ აკმაყოფილებდნენ კომერციული ბანკების მიერ მოთხოვნის საგარანტიო პირობებს. და მეორე - წლიური 15-16 პროცენტი, რომელიც მიღებული საპროცენტო განაკვეთი იყო გრძელვადიან კრედიტებზე, ზედმეტად მაღალი იყო სოფლის მეურნეობაში არსებული ბიზნესისთვის. რურალური საკრედიტო გარანტიების ფონდის მეშვეობით ორივე პრობლემის გადაწყვეტა მოხერხდა. ერთის მხრივ, ფონდი თავი თავზე იღებს ფერმერების კრედიტების საგარანტიო თანხის 70 პროცენტით უზრუნველყოფას, ხოლო მეორეს მხრივ - ფონდი ფარავს როგორც გრძელვადიანი, ასევე მოკლევადიანი კრედიტების საპროცენტო განაკვეთის 55 პროცენტს. ასეთი სისტემის დამკვიდრებამ პირველსავე წელს გამოიწვია აგრარულ სექტორში კერძო ბანკების მიერ გაცემული კრედიტების მნიშვნელოვანი ზრდა.

რეფორმების მესამე ეტაპი როგორც ადგილობრივი, აგრეთვე, უცხოელი ექსპერტების მიერ შეფასებული იქნა, როგორც ძალიან წარმატებული. ამაზე მიანიშნებს ის გარემოებაც, რომ იმავე პერიოდში ლიტვაში აგრარული კულტურების (ხორბალი, რაფსი, შაქრის ჭარხალი და ა. შ.) საშუალო მოსავლიანობის მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა და ევროკავშირის საშუალო პარამეტრებს მიუახლოვდა.

### ლიტვური რეფორმების მეოთხე ეტაპი 2000-2006

2000 წელს მიღებული იქნა ლიტვის ეროვნული განვითარების გეგმა, ხოლო რამდენიმე თვის შემდეგ სოფლის მეურნეობისა და რურალური განვითარების გეგმა. ეროვნული განვითარების გეგმის ძირითად მიზნებად განისაზღვრა:

- მშპ-ს განუხრელი ზრდა;
- დასაქმების დონის ზრდა;
- შემოსავლებისა და ცხოვრების სტანდარტების ზრდა;
- ქვეყნის დაბალანსებული რეგიონული განვითარება;
- დაბალანსებული ურბანულ-რურალური განვითარება.

ზოგადად, ასეთი მიზნების ერთობლიობა საკმაოდ მიმზიდველი ჩანს საქართველოსთვისაც და ამ კონტექსტში რამდენიმე შენიშვნას გავაკეთებთ: უპირველეს ყოვლისა, ლიტვის ეროვნული განვითარების გეგმა გულისხმობს მშპ-ს განუხრელ ზრდას. ამ კუთხით საქართველოს ხელისუფლების ზრუნვა მშპ-ს ზრდაზე უდავოდ მისასალმებელია. მაგრამ აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ პირველის გარდა, ლიტვის ეროვნული გეგმის ყველა სხვა მიზანი გულისხმობს საზოგადოების დაბალანსებული განვითარების მექანიზმების უზრუნველყოფას. გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ სწორედ საზოგადოებაში არსებული დაბალანსებული განვითარების მექანიზმები (და არა მშპ-ს ოდენობა) განსაზღვრავს, ძირითადად, საზოგადოების "ცივილიზებულობის" დონეს. ამის დასტურია თუნდაც ის გარემოება, რომ საკმაოდ ბევრ აფრიკულ სახელმწიფოს ერთ სულ მოსახლეზე საქართველოზე არანაკლები მშპ-ს მაჩვენებელი აქვს, თუმცა ამის გამო არც ჩვენ და არც რომელიმე უცხოელი ექსპერტი მათ და ჩვენ "ერთ კალათში" არ განვვიხილავს. შესაძლოა, სწორედ ქვეყნის დაბალანსებული განვითარების მექანიზმების სისუსტითაა გამოწვეული ჩვენს საზოგადოებაში ამ ბოლო დროს გაბატონებული აზრი, რომ ეკონომიკა კი იზრდება, მაგრამ მოსახლეობის უმეტესობა ამას ვერ გრძნობს. თუმცა, ეს საკითხი პირდაპირ არ ეხება აგრარულ რეფორმას და მათში ჩაღრმავებისგან თავს შევიკავებთ.

2000 წელს ჩატარდა ლიტვის სოფლის მეურნეობის ყოვლისმომცველი გამოკვლევა, რომლის საფუძველზეც განისაზღვრა აგრარული სექტორის ძირითადი პრობლემები და შეიქმნა 200-2006 წლებში სოფლის მეურნეობისა და რურალური განვითარების ახალი გეგმა.

ლიტვაში სოფლის მეურნეობისა და რურალური განვითარების ძირითად პრობლემებად მიიჩნიეს შემდეგი ფაქტორები:

**1. ფერმების მცირე ზომა.** ეს გარემოება იწვევს აგრარულ სექტორში შრომის დაბალ ეფექტურობას, შესაბამისად, წარმოებული პროდუქციის მაღალ თვითღირებულებას და დაბალ კონკურენტუნარიანობას;

**2. შემოსავლების დაბალი დონე და შემოსავლების წყაროების სიმწირე.** იგულისხმება რურალურ რეგიონებში მცხოვრებთა შემოსავლების სოფლის მეურნეობაზე ზედმეტად დიდი დამოკიდებულება და შემოსავლის ალტერნატიული წყაროების სიმწირე;

**3. ცუდი ტექნოლოგიები** როგორც პირველადი პროდუქციის წარმოებაში, ასევე გადამამუშავებელ მრეწველობაში. ამ პრობლემების შედეგია ის, რომ ლიტვური კვების პროდუქტები ხშირად ვერ აკმაყოფილებდა ევროკავშირის სტანდარტებს და, შესაბამისად, უჭირდა ევროპის ბაზრებზე მოხვედრა. თუმცა, აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს საკითხის მეორე მხარეც: ტექნოლოგიების გაუმჯობესება, როგორც წესი, იწვევს შრომითი დანახარჯების და, შესაბამისად, დასაქმებული მუშახელის რაოდენობის შემცირებას. ამ თვალსაზრისით კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება რურალურ რეგიონებში დასაქმებისა და შემოსავლების ალტერნატიული წყაროების გაჩენა;

**4. ცუდად განვითარებული სოციალური ინფრასტრუქტურა.** ამ მიმართულებით არსებული პრობლემები გულისხმობს ფერმერებისა და, საერთოდ, რურალური რეგიონების მოსახლეობის დაუბალანსებელ ასაკობრივ სტრუქტურას (მათ შორის, ახალგაზრდების ძალიან დაბალ წილს), განათლების დაბალ დონეს, უმუშევრობის მაღალ დონეს, მათ შორის - ახალგაზრდებში, და ა. შ.

**5. არასაკმარისი ფიზიკური ინფრასტრუქტურა.** აქ იგულისხმება პრობლემები წყალმომარაგების, კანალიზაციის, გზებისა და ტელეკომუნიკაციის ინფრასტრუქტურის განვითარებაში, რაც რურალური რეგიონების ახალგაზრდებისაგან დაცლის ერთ-ერთ ძირითად მიზეზს წარმოადგენს.

**6. კულტურული მემკვიდრეობისთვის და გარემოსთვის შექმნილი საფრთხეები.** ლიტვის ზოგიერთ რეგიონში ზედმეტად ინტენსიური სოფლის მეურნეობა გარკვეულ საფრთხეს უქმნის კულტურულ მემკვიდრეობასა და გარემოს.

ბოლო პრობლემის გარდა, ყველა დანარჩენი კიდევ უფრო აქტუალურია დღევანდელი ქართული სოფლის მეურნეობისთვის. ამ პრობლემების გადასაწყვეტად შემუშავდა ლიტვის სოფლის მეურნეობისა და რურალური განვითარების 2000-2006 წლების გეგმა, რომელიც, გარდა რეფორმების მესამე ეტაპზე შექმნილი მექანიზმების გაღრმავებისა და განვითარებისა, ითვალისწინებდა (ამ პერიოდში წლიური დანახარჯები სოფლის მეურნეობაში განუხრელად იზრდებოდა და 2006 წელს 178 მილიონ ევროს გადააჭარბა. ამ თანხის ნაწილი იფარებოდა ლიტვის ბიუჯეტიდან, ხოლო მეორე ნაწილს, დაახლოებით 75 პროცენტს, ევროკავშირი აფინანსებდა): სანაშენე პროგრამის გაგრძელებას, რომლის ფარგლებშიც ხდებოდა როგორც თანამედროვე სტანდარტების კერძო სანაშენე მეურნეობების სუბსიდირება, აგრეთვე, სუბსიდიების გაცემა ფერმერებზე ამ მეურნეობების მიერ წარმოებული სანაშენე პროდუქციის შესაძენად;

2000 წლიდან ამოქმედდა ფერმერებისთვის დაზღვევის გადასახადის ნაწილობრივი კომპენსაციის პროგრამა. ვინაიდან სტიქიური უბედურებების დროს მოსავლის განადგურების შემთხვევაში სახელმწიფო მაინც უწევდა ფერმერებისთვის ამა თუ იმ ფორმით ზარალის კომპენსაცია, ამ პროგრამის დანერგვამ ხელი შეუწყო აგრარულ სექტორში კერძო სადაზღვევო კომპანიების მოზიდვას და სახელმწიფოს რეალური დანახარჯების მნიშვნელოვანი კლება გამოიწვია;

ევროკავშირთან ინტეგრაციის კონტექსტში, 2001 წელს დაიწყო მაღალხარისხიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ხელშემწყობი პროგრამა, რომლის მიზანი მაღალხარისხიანი აგრარული პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის სტიმულირება იყო. ამ პროგრამის ფარგლებში, ფერმერებს შეუძლიათ მიიღონ გრანტები და შეღავათიანი კრედიტები თანამედროვე, მათ შორის, ხარისხის განმსაზღვრელი და მაკონტროლებელი აგრარული დანადგარების შესაძენად. ამ პროგრამის წარმატებულობის ერთ-ერთ ინდიკატორად შეიძლება განვიხილოთ ლიტვის აგრარულ ექსპორტში ბოლო წლების განმავლობაში ევროკავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე მოსული წილის განუხრელი ზრდა (40 პროცენტიდან 1995 წელს 63 პროცენტამდე 2005 წელს) და, შესაბამისად, რუსეთზე მოსული წილის კლება;

2003 წელს დაიწყო და, სავარაუდოდ, 2010 წელს დასრულდება ხორბლეულის შემნახველი ლიცენზირებული მეურნეობების სისტემის დანერგვა. სახელმწიფოს ნაწილობრივი დაფინანსებითა და კერძო ბანკების მონაწილეობით უნდა შეიქმნას ფერმერების ფინანსური დანაკარგების კომპენსაციის ქმედითი მექანიზმები;

2002 წელს დაიწყო და 2010 წელს დასრულდება ხელოვნურ წყალსაცავებში თევზის მოშენების მხარდამჭერი პროგრამა, რომლის ფარგლებში სახელმწიფო გრანტებითა და შეღავათიანი კრედიტებით ახდენდა თევზის მომშენებელი მეურნეობების შექმნის და განვითარების სტიმულირებას;

2002 წელს დაიწყო ცხოველური ნარჩენების მართვის პროგრამა, რომლის მიზანია გარემოს დაბინძურებისა და დაავადებების გავრცელების პრევენცია;

2001 წელს დაიწყო და 2007 წელს დასრულდება სათბურების ოპერირებისათვის საჭირო ენერგეტიკული დანახარჯების ნაწილობრივი კომპენსაციის პროგრამა. სახელმწიფო ხელს უწყობდა თანამედროვე ტიპის სასათბურე მეურნეობების დანერგვას და განვითარებას;

2002 წელს დაიწყო და 2007 წელს დასრულდება კენკრისა და ხილის ეგზოტიკური ჯიშების წარმოების წამახალისებელი სახელმწიფო პროგრამა. სახელმწიფოს მიერ ასეთი აქტივობების დაფინანსების ძირითადი მიზეზი ის არის, რომ ასეთი პროდუქციის წარმოება და გადამუშავება დიდი რაოდენობით მუშახელს საჭიროებს, რაც ხელს უწყობს რურალურ რეგიონებში დასაქმების პრობლემის გადაწყვეტას; პერმანენტულად მიმდინარეობს ცხოველთა გადამდები დაავადებების კონტროლის პროგრამა; სახელმწიფო ნაწილობრივ აფინანსებს სასოფლო-სამეურნეო გამოფენებისა და კონკურსების ორგანიზებას;

2004 წელს დაიწყო და 2011 წელს დასრულდება ფერმერებისთვის სახელმწიფო და კერძო მიწის შეძენის ხელშემწყობი პროგრამა. პროგრამა ფინანსურად ეხმარება იმ ფერმერებს, რომლებსაც სურვილი აქვთ შეიძინონ სახელმწიფო ან კერძო საკუთრებაში მყოფი მიწის ნაკვეთები. ამ ღონისძიებებმა ფერმერული მეურნეობების გამსხვილება და მათი კონკურენტუნარიანობის ზრდა უნდა გამოიწვიოს;

კარტოფილის დაავადებების პრევენციის სახელმწიფო პროგრამა 2004 წელს დაიწყო და 2007 წელს დასრულდება. პროგრამის მიზანია ლიტვაში კარტოფილის სათესლე მეურნეობების მონიტორინგი და იმ მეურნეობებში, რომლებშიც აღმოჩენილი იქნება საშიში დაავადებები, სახელმწიფოს მიერ დანაკარგის ნაწილობრივი კომპენსაციის პირობებში, 3-4 წლით თესლის წარმოების შეჩერება;

2003-2006 წლებში ლიტვაში ბოსტნეულის წარმოების მასტიმულირებელი პროგრამა მიმდინარეობდა, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფო ფერმერულ მეურნეობებში ბოსტნეულის წარმოების თანამედროვე მეთოდების დანერგვისა და შესაბამისი პროფილის ფერმების მოდერნიზაციის მიზნით გრანტებს გასცემდა;

ლიტვის სოფლის მეურნეობისა და რურალური განვითარების 2000-2006 წლების გეგმის ფარგლებში, განხორციელებული იქნა შემდეგი ღონისძიებები: პენსიებისა და სხვა სოციალური შემწეობების გაზრდის ხარჯზე შესაძლებელი გახდა საპენსიო ასაკში მყოფი ფერმერების ნაწილის სტიმულირება, რათა მათ შეეწყვიტათ ფერმერული საქმიანობა, რამაც გააჩინა დამატებითი სამუშაო ადგილები ახალგაზრდა ფერმერებისთვის. სახელმწიფო ხელს უწყობდა მეთევზეობის, მეტყევეობის, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებისა წარმოებისა (დღეს ლიტვაში დაახლოებით 400 ბიო-ორგანული ფერმერული მეურნეობაა) და ეკო-ტურიზმის განვითარებას. რურალურ რეგიონებში განხორციელებულმა ინვესტიციებმა, ცხოვრების დონის ზრდის პარალელურად, ბუნებრივად გამოიწვია მომსახურების სფეროში დასაქმებულთა ზრდა. გატარებული ღონისძიებების შედეგად 2000-2006 წლებში რურალურ რეგიონებში მოსახლეობის შემოსავლების სოფლის მეურნეობაზე დამოკიდებულების მნიშვნელოვანი შემცირება მოხერხდა. თუ 2000 წელს რურალურ რეგიონებში სოფლის მეურნეობაში დასაქმებული იყო მუშახელის 58 პროცენტი, 2005 წელს ამ მაჩვენებელმა 47 პროცენტი შეადგინა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

## კონკურსი არ გადაიდება

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ინფორმაციით, სააქციო საზოგადოება "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" პრივატიზებისა და შპს "ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის" 100 პროცენტით სახელმწიფო წილის მართვის უფლებით გადაცემის მიზნით დაგეგმილი კონკურსი, მიუხედავად საეკლესიო დღესასწაულისა და ოფიციალურად გამოცხადებული უქმე დღისა, გაიმართება დაგეგმილ დროს, 2006 წლის 12 მაისს. შპს "ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის" სახელმწიფო წილის მართვის უფლებით გადაცემისათვის კონკურსი 18.00 საათზე, ხოლო ს/ს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" პრივატიზების მიზნით კონკურსი 18.30 საათზე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში გაიმართება. "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" საწყისი ფასია 50 მილიონი დოლარი, ხოლო "ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგური" 35 მილიონ დოლარად არის შეფასებული. **მედიანიუსი**

## "ბაზელს" სამუშაოების პროექტი დაუმტკიცეს

კომპანია "ბაზელი" კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის ტერიტორიაზე სამშენებლო სამუშაოების დაწყებას მიმდინარე წლის აგვისტოში გეგმავს. როგორც შპს "ბაზელის" აღმასრულებელმა დირექტორმა შალვა ქოჩლაძემ განაცხადა, პროექტი, რომლის მიხედვითაც სამშენებლო სამუშაოები უნდა განხორციელდეს, უკვე დამტკიცებულია. პროექტის პირველი ფაზა კრწანისის რეზიდენციის ტერიტორიაზე არსებული ტბის მიმდებარე ტერიტორიის განაშენიანებას ითვალისწინებს. "აღნიშნულ ტერიტორიაზე ავაშენებთ ვილებს, თაუნჰაუზებს და საცხოვრებელ კორპუსს, რომელიც 5-6-სართულიანი იქნება. რა ღირებულების იქნება ეს შენობები ჯერჯერობით განსაზღვრული არ არის, არ გვყავს შერჩეული სამშენებლო კომპანიაც, რომელიც უშუალოდ განახორციელებს მშენებლობას," - განაცხადა ქოჩლაძემ. მისივე თქმით, მშენებლობის პირველი ფაზა წელიწადნახევარში დასრულდება. შეგახსენებთ, რომ კრწანისის რეზიდენცია შპს "ბაზელმა" 2004 წლის დეკემბერში სახელმწიფოსაგან 15 მილიონ დოლარად შეიძინა. აღნიშნული თანხიდან 14 მილიონი დოლარი მას უკვე გადახდილი აქვს. ქოჩლაძის განმარტებით დარჩენილ მილიონ დოლარს კომპანია "ბაზელი" მიმდინარე წლის მაისის ბოლომდე დაფარავს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## "ქართული ბრენდების ლისტინგის პრეზენტაცია 1 ივნისს გაიმართება

პროექტის - "ქართული ბრენდების ლისტინგის "BrandGe" - პრეზენტაცია პირველ ივნისს თბილისში, სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" გაიმართება. "BrandGe" წარმოადგენს საერთაშორისო პროექტის - "ბრენდების საერთაშორისო ლისტინგის" - ნაწილს, რომელიც ხორციელდება რუსეთში, ყაზახეთში, უკრაინაში, ასევე ბალტიისპირეთისა და სამხრეთი კავკასიის ქვეყნებში (ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოლაპარაკება პროექტის პოლონეთში, ჩინეთსა და ესპანეთში გავრცელებაზე). პროექტს, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ხელშეწყობით, ახორციელებს "ბაზრის შეფასებისა და ანალიზის ქართული სააგენტო GAMMA" და V-RATIO ბიზნეს-კონსალტინგი (რუსეთი). პროექტის მიზანია ქართული ბრენდების ღირებულების დადგენა და მათი მართვის პრაქტიკის სრულყოფა. ბრენდის ღირებულების დასადგენად გამოიყენება კომპანიების ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და მომხმარებლის გამოკითხვის შედეგები. მსოფლიო პრაქტიკაში პირველად შეფასება განხორციელდება ღია მეთოდით, რაც თითოეულ მონაწილე კომპანიას ყველა გათვლის დამოუკიდებლად გადამოწმების საშუალებას მისცემს.

როგორც ორგანიზატორები მიიჩნევენ, პროექტი, პირველ რიგში, ხელს შეუწყობს ამგვარი აქტივების ბაზრის ლიკვიდურობის ამაღლებას: ბრენდების მფლობელებიცა და პოტენციური ინვესტორებიც უკეთ გაერკვევიან იმაში, თუ რა ეკონომიკური მოგების მოტანა შუძლიათ ბრენდებს და რა ღირებულება გააჩნიათ მათ. ასევე, ლისტინგი ხელს შეუწყობს მარკეტინგული პროგრამების ეფექტურობის უკეთ გააზრებას, რაც უშუალოდაა დაკავშირებული ბრენდების მართვის ხარისხის გაუმჯობესებასთან. **ინტერპრესნიუსი**

24 საათი C

# სპორტი

© გაზეთი 24 საათი

თქვენი რეკლამა
"სპორტში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86

გამოცემის ოფიციალური პარტნიორი:

ატლანტი
უსაფრთხოების სამსახური

ჩვენი მეხსიერების „დინამო"



C2

ფაშიზმი ფეხბურთში



C3

ფრენკ ლამპარდი: „9 ივლისს ჩემპიონი ვიქნები"



C4

## კოკაიმ ორი მოგებით დაიწყო

წარმატებით დაიწყო მაისის ბაშო ქართველმა სუმოისტმა კოკაიმ. ახლა ლევან ცაგურიას მეექვსე მაიგეშირას ხარისხი აქვს და, ცხადია, ამ ბაშოს შემდეგ შედეგის გაუმჯობესებას შეეცდება. ასპარეზობის პირველ დღეს კოკაი ტამანოშიმას დაუპირისპირდა და იოლად სძლია მეტოქეს. მეორე დღეს კი დეჯიმაც დაამარცხა. დღეს კოკოაი რანგით მასზე დაბალ, მეცხრე მაიგეშირა ივაკიამას უნდა შეებრძოლოს. ჯერჯერობით ქართველი გოლიათი ლიდერთა შორისაა.

## ჟუნინიო საუკეთესოდ აღიარეს

საფრანგეთის პროფესიონალ ფეხბურთელთა კავშირმა სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად „ლიონის" ბრაზილიელი ნახევარმცველი ჟუნინიო დაასახელა. მეორე ადგილზე ასევე ლიონელი სილვენ ვილტორი გავიდა, მესამეზე კი - პსჟ-ს პორტუგალიელი ფორვარდი პაულეტა.

ზედიზედ მეორე სეზონია საუკეთესო მეკარედ გრეგორი კუპეს ასახელებენ. საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად კი „მარსელის" ნახევარმცველი ფრანკ რიბერი მიიჩნიეს. სეზონის საუკეთესო მწვრთნელის ტიტული მოიპოვა „ლილის" თავკაცმა კლოდ პუელმა, რომელმაც უკან ჩამოიტოვა ჟერარ ულიე და ფრედერიკ ჰაინცი.

## ხაბი ალონსო ფინალს გამოტოვებს

„ლივერპულის" ესპანელი ნახევარმცველი ხაბი ალონსო, რომელიც დაშავდა ინგლისის ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩში („ლივერპულსა" და „პორტსმუთს" შორის), ვერ ითამაშებს ინგლისის თასის ფინალურ მატჩში. ალონსოს ტრავმამ გუნება გაუფუჭა მერსისაიდელთა მწვრთნელს რაფაელ ბენიტესს. „ხაბის ტრავმა გუნდისთვის დიდი უსიამოვნებაა. მაგრამ ამის გამო პანიკის ატეხვა არ ღირს. ჯერჯერობით მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ტრავმა არც ისე სერიოზულია, თუმცა თასის ფინალში ალბათ ალონსო მაინც ვერ ითამაშებს", - აცხადებს ბენიტესი.

## ანრი - მილანში

შეგახსენებთ, რომ ტიერი ანრიმ არ ისურვა „არსენალთან" კონტრაქტის გაგრძელება. თითქმის გადაწყვეტილია, რომ ტიერი ლონდონურ კლუბს დატოვებს. თუ სად ითამაშებს მომავალ სეზონში, ამას ალბათ მუნდიალის ფინალური ეტაპის შემდეგ შევიტყობთ, მანამდე კი ფრანგის ტრანსფერის თაობაზე არაერთი ინფორმაცია გავრცელდება.

მაგალითად, გუშინ იტალიური მედია ირწმუნებოდა, რომ ტიერი „მილანში" გააგრძელებს კარიერას. მეტიც: როგორც ამბობენ, მილანური კლუბის მესვეურები უკვე დაუკავშირდნენ „არსენალის" ხელმძღვანელებს და მოლაპარაკებაც გამართეს. ამავდროულად, ანრის შეძენა „ინტერსაც" სურს. მასიმო მორატი სოლიდური თანხის გადახდაზეც თანახმაა, თუმცა, მორატის თქმით, ანრის სურს ისეთ კლუბში გადავიდეს, რომელთან ერთადაც საკლუბო ტიტულებს მოიგებს. ამიტომ ფეხბურთელმა არჩევანი „მილანზე" შეაჩერა. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ფრანგი ვარსკვლავის შეძენა „ბარსელონასა" და „რეალსაც" სურთ.

## დესაიმ კარიერა დაასრულა

საფრანგეთის ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა, 37 წლის მარსელ დესაიმ განაცხადა, რომ სეზონის დამთავრებისთანავე დაემშვიდობება ფეხბურთს. დესაიმ საფრანგეთის ნაკრებთან ერთად მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის ტიტულები მოიპოვა. კარიერის დასრულების შემდეგ ფრანგი ვარსკვლავი მწვრთნელობას აპირებს.

## პირველი 1947 წლის შემდეგ

„ფიორენტინას" ფორვარდი ლუკა ტონი პირველი ფეხბურთელია 1947 წლის შემდეგ, რომელმაც სერია A-ს მატჩებში ერთ სეზონში 30 გოლი გაიტანა. ტონიმდე ასეთი მიღწევა „ინტერის" არგენტინელ ფორვარდს ვალენტინ ანჯელოს ეკუთვნოდა. ტონი მესამე იტალიელია, რომელმაც ასეთი შედეგი აჩვენა. მანამდე ანალოგიურ შედეგს ჯუზეპე მეაცამ და ფელიჩე პლასედა ბორელამ მიაღწიეს.

## მიკუს რეინჯერსში ეპატიჟებიან

შოტლანდიური „რეინჯერსის" ახალ მწვრთნელს პოლ ლე გუენს სურს, რომ მომავალ სეზონში მის გუნდში იონ მიკუმ ითამაშოს. ცნობილია, რომ 32 წლის ფრანგი ნახევარმცველი ზაფხულში დატოვებს ბრემენის „ვერდერს". მიკუს ჯერაც არა აქვს გადაწყვეტილი სად გააგრძელებს კარიერას. ამ ვითარებაში „რეინჯერსის" შეთავაზება მისთვის ალბათ მისაღები უნდა იყოს.

## დეზები მოწამლეს

ინგლისის ჩემპიონატის ბოლო ტურში „ტოტენჰემს" უმოტივაციოდ დარჩენილი „ვესტ ჰემის" დამარცხება სჭირდებოდა, რომ ჩემპიონთა ლიგის საგზური მოეპოვებინა. მარტინ იოლის ბიჭებმა ეს მატჩი უფერულად ითამაშეს და მეოთხე ადგილი თანაქალაქელ „მეთოფეებს" დაუთმეს. მატჩის შემდეგ „დეზების" ჰოლანდიელმა მწვრთნელმა მარტინ იოლმა განაცხადა, რომ მისი ფეხბურთელები მოწამლეს.

„დილის ხუთ საათზე გუნდის ექიმმა გამაღვიძა და მთხოვა გავყოლოდი. აარონ ლენონისა და ტეემუ ტაინიოს ოთახებში შევედით. ორივე თავს ცუდად გრძნობდა. მათ გარდა კიდევ ექვსი ფეხბურთელი უჩიოდა მუცლის ტკივილს. მაშინვე სასწრაფოს გამოვუძახეთ, შემდეგ სამართალდამცავებიც მოვიდნენ. მათი თქმით, ჩემი ფეხბურთელები განზრახ არავის მოუწამლავს, თუმცა ახლა ამას უკვე მნიშვნელობა არა აქვს. „ვესტ ჰემთან" დავმარცხდით და მიზანს ვერ მივაღწიეთ", - აცხადებს იოლი.

# კომისია კურტანიძეს ჩააბარეს



*რამაზ ნოზაძე - სოკ-ის სტიპენდიანტი.*

*გუშინ „თბილისი მერიოტში" შეიქმნა „ათლეტთა კომისია", რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს მსოფლიოს ორგზის, ევროპის ხუთგზის ჩემპიონი და ოლიმპიური თამაშების ორი ბრინჯაოს მედლის მფლობელი ლუკა კურტანიძე.*

გიგა გურასაშვილი

„ათლეტთა კომისია" არის ორგანო, რომელიც სპორტსმენთა ინტერესებს დაიცავს და ამა თუ იმ საკითხზე ხელმძღვანელ ორგანოს - ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს საკუთარ მოსაზრებებს გააცნობს. არსებობს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის „ათლეტთა კომისიაც", რომელშიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის გამოჩენილი სპორტსმენები შედიან. ქართველ „ათლეტთა კომისია" სოკ-ის კომისიის ანალოგია, ოღონდ ქვეყნის მასშტაბით.

„გპირდებით, „ათლეტთა კომისია" იქნება ქმედითი. ეს იქნება ის ოლიმპიური რგოლი, რომელიც იმოქმედებს და არ მოდუნდება", - თავმჯდომარედ არჩევის შემდეგ თქვა კურტანიძემ.

საგულისხმოა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მოთხოვნა, რომ კომისიის თავმჯდომარე ავტომატურად უნდა შევიდეს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობაში (კურტანიძე აქამდეც იყო სეოკ-ის წევრი).

მას შემდეგ, რაც კურტანიძეს კომისიის თავმჯდომარეობა ჩააბარეს, კომისიის წევრთა შერჩევაც სთხოვეს. კურტანიძემ დაასახელა ძიუდოისტი დავით ქევხიშვილი. დამსწრეებმაც წამოაყენეს საკუთარი კანდიდატურები და კომისიაც შეივსო: დავით ბედინაძე, მანუჩარ კვირკველია (ბერძნულ-რომაული), არსენ კასაბიევი (ძალოსანი), ნინო სალუქვაძე, ნინო უჩაძე (ტყვიით სროლა) ზურაბ ზვიადაური (ძიუდო) და გიორგი ასანიძე (ძალოსნობა).

გუშინდელი შეხვედრის ერთ-ერთი მიზეზი მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატის ქართველ მედალოსანთა ფულადი პრემიებით დაჯილდოებაც გახლდათ. პრემიებთან ერთად ქართველ ფალავნებს დეკემბერში გამოცემული „სპორტის ენციკლოპედიაც" გადაეცათ.

გამოვლინდნენ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სტიპენდიატებიც: ნინო სალუქვაძე (ტყვიით სროლა), ლუკა კურტანიძე, გიორგი გოგშელიძე, რევაზ მინდორაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა), რამაზ ნოზაძე (ბერძნულ-რომაული), დავით ქევხიშვილი, ზურაბ ზვიადაური, ლაშა გუჯეჯიანი (ძიუდო), ზვიად სამუკაშვილი, არსენ კასაბიევი (ძალოსნობა).



დავით კოვზირიძის სვეტი

## ჩვენი მეხსიერების „დინამო"

მაისი ბავშვობაში გამორჩეულად მიყვარდა - ნამდვილად მთავრდებოდა ზამთარი, იწყებოდა ნაყინისა და მარწყვ-ბალ-ალუჩის სეზონი, იყო ორი გრანდიოზული დღესასწაული: 1 მაისი, მგონი მშრომელთა დღე, 9 მაისი, მეორე მსოფლიო და არა სამამულო ომში გამარჯვების დღე და ამასთან დაკავშირებული მარშიროვკები, რომლის გამოც გაკვეთილები გვიცდებოდა და აუცილებლად ვჩხუბობდით სხვა სკოლელებთან.

მერე მაისის ზეიმებს ახლებიც შეემატა. მართალია, დამოუკიდებლობასთან ერთად მშრომელთა დღე სანაგვეზე მოვისროლეთ, მაგრამ გაირკვა, რომ სწორედ ამ დღესაა თამარობა და ატყდა, მარა რა ატყდა შარაფები თამრიკოებთან, თამუნებთან, თათებთან, თათოებთან, ქალბატონ თამარებთან, თაკოებთან, თამრუხებთან და ასე შემდეგ და ასე გაუთავებლად. რა შრომა, რის შრომა.

კიდევ ერთი სამაისო-საზეიმო თარიღი, რომლის არსებობაც უმეტესობამ 9 აპრილის შემდეგ შეიტყო, 26-შია, მაგრამ ამჯერად მე ამ ოცდაექვსს შუაზე გავყოფ და ჩემი ცხოვრების ერთ-ერთ ულამაზეს დღეზე, 13 მაისზე შევჩერდები.

შარშანდლამდე ქართველები და უკრაინელები სულ იმით ვამაყობდით, რომ საბჭოთა კავშირისას ჩვენ საერთაშორისო წარმატებას მივაღწიეთ, რუსებმა კი ვერაფერიც ვერ მოიგეს. შარშან კი მოსკოვის არმიის ცენტრალური კლუბი, იგივე ცსკა, უეფას თასის მფლობელი გახდა. მიუხედავად ამისა, ისტორიულად ჩვენ მაინც გვაქვს ზემოდან ყურების უფლება. მიზეზი ძალიან მნიშვნელოვანია - 1981 წლის 13 მაისს თასების მფლობელთა თასი მოიგო გუნდმა, რომელსაც მწვრთნელიც, მისი თანაშემწეებიც, ექიმიც, მასაჟისტიც და ფეხბურთელებიც მხოლოდ ქართველები ჰყავდა. ცსკა-ს გამარჯვება კი განაპირობა ოსმა მწვრთნელმა, საკმაოდ მაღალი დონის უცხოელმა ფეხბურთელებმა და ინგლისში დათესილი ჩუკოტკის ებრაელი გუბერნატორის ულევმა მატერიალურმა გაქანებამ.

საერთოდ, არ მიყვარს ასეთი ეროვნული შედარებები, მაგრამ რუსეთის მორიგი, ძალიან იაფფასიანი შემოტევის გამო გული მოვიფხანე და თქვენც მოგფხანეთ.

ისე, „დინამოს" გამარჯვება მაინც გამორჩეული შემთხვევაა ევროპული ფეხბურთის ისტორიაში, ვინაიდან სულ რამდენიმე კლუბია, რომელმაც მხოლოდ ადგილობრივი მოთამაშეებით მოახერხა კონტინენტზე თავის გამოჩენა.

რა იქნებოდა, იმ გამარჯვებისას ჩვენთან კომუნისტური წყობა რომ არ ყოფილიყო? ცოტა ხნის წინ ჩემს მიერ ნათარგმნი ხორხე ვალდანოს წიგნი გამოიცა, რომელშიც დიდი არგენტინელი ფორვარდი და ძალიან ნიჭიერი კაცი სხვადასხვა თაობის ვარსკვლავებსაც იხსენებს. როდესაც ეს წიგნი ერთ ჩემს მეგობარს ვაჩუქე, მეორე დღეს მითხრა - აზზე ხარ, ამას რომ ყიფო ენახა, რეებს დაწერდაო.

სწორედ ეს იქნებოდა - მთელი მსოფლიო ნახავდა დიდ კლუბებში მიმოფანტულ უზარმაზარ ქართველ ფეხბურთელებს, რომლებიც საქართველოს ნაკრებში შეიკრიბებოდნენ და აუცილებლად ითამაშებდნენ ევროპის ან მსოფლიო ჩემპიონატზე. ითამაშებდნენ ბრწყინვალედ, ამაში ასი პროცენტით დარწმუნებული ვარ. საქართველოში არ მეგულება გულშემატკივარი, ერთხელ მაინც რომ არ ეთქვას ეს სიტყვები: „რა ნაკრები გვეყოლებოდა მაშინ?!."

იშვიათი გამონაკლისის გარდა, ყველა თავმოყვარე ნაკრები იმით იწონებს თავს, რომ თითოეულ რგოლში ერთი ა კლასის ფეხბურთელი მაინც ჰყავს. იმ პერიოდის თბილისის „დინამო" ამ იშვიათ გამონაკლისში არ შედის, რადგან მას ჰყავდა აკადემიკოსი მწვრთნელი ნოდარ ახალკაცი, რომელმაც, ფაქტობრივად, შეუძლებელი შეძლო - 11 ქართველი დისციპლინის განსახიერებად აქცია და ევროპა დააპყრობინა; კატასავით მეკარე ოთარ გაბელია; მასზე კედელივით აფარებული ბრძენი კაპიტანი - ოთხმოციანი წლების პლანეტის ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრალური მცველი ალექსანდრე ჩივაძე; ლომივით მეომარი შოთა ხინჩაგაშვილი; თითქმის უშეცდომო ნოდარ ხიზანიშვილი; თამაზ კოსტავა, გამორჩეული 2 ნომერი ქართულ ფეხბურთში; ნუკრი კაკილაშვილი, გია თავაძე და ზაურ სვანაძე - შეუმჩნეველი, მაგრამ დიდი სამუშაოს შემსრულებელი ჯარისკაცები; ვიტალი დარასელია, მთელი ფრთის მაკონტროლებელი უნივერსალი, რომელიც ჯერ კიდევ მაშინ თამაშობდა 21-ე საუკუნის ფეხბურთს, როცა რობერტო კარლოსი დედას კანფეტების ყიდვას ევედრებოდა. არასდროს დამავიწყდება ვიტალის საოცარი ფეხის კუნთები, აღარაფერს ვამბობ ჯადოსნურ გოლზე; თენგიზ სულაქველიძე - ბეტონივით საყრდენი, ვოვა გუცაევი - იდეალური გარემარბი, რამაზ შენგელია - სამ ინძაგის ჩაისვამდა ჯიბეში და დათო ყიფიანი. უბრალოდ, დათო ყიფიანი...

თბილისის „დინამო" იყო გუნდი, რომელიც უკვე ათეულობით წლებია ჩვენი მეხსიერებისა და იმედის დინამოს, ძრავას წარმოადგენს.

იმ დღეს ვიღაც ძალით განსხვავებული აზრის მქონე ტიპი, რომელსაც ერთი-ორი ბოთლი აუცილებლად ექნება ნასროლი სტადიონზე, ამბობდა, ამ 13 მაისის გახსენება უკვე ყელში ამომივიდაო. რა საძაგლად უცნაურია, არა? ქართული ფეხბურთი უზომოდ გვიყვარს, ვითომ გამოსავალს ვეძებთ, ვპოზიორობთ, ვიგინებით და ყველაფერთან ერთად 13 მაისიც მოგვბეზრდა. ვინმეს წარმოგიდგენიათ, რომ 25 წლის შემდეგ რომელიმე ლივერპულელმა თქვას, „მილანთან" მოგების აღნიშვნა აღარ შემიძლიაო.

ხოლო ვისაც 13 მაისი არასდროს მოგბეზრდებათ, გილოცავთ ამ დღეს და ძალიან მალე მის განმეორებას გისურვებთ. ჩვენ ერთხელ შევძელით ევროპის ალაპარაკება. ესე იგი, კიდევ შევძლებთ.

*მომავალ სამშაბათამდე*

# გოლოვინამ ოქრო ჩააბარუტა

*სავსებით შესაძლებელია, პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე ქართველ ოლიმპიელთა შორის ბატუტზე მხტომელი ლუბა გოლოვინაც ვიხილოთ. ყოველ შემთხვევაში, საამისო პრსპექტივა არსებობს, რაზეც გაბროვოში (ბულგარეთი) ახლახან დასრულებული საერთაშორისო ტურნირიც მეტყველებს - ლუბა გოლოვინა ბატუტისტთა საერთაშორისო ტურნირზე ახალგაზრდებს შორის ჩემპიონი გახდა.*

ტურნირი, რომელშიც ინგლისელი, ირლანდიელი, ბერძენი და ბულგარელი ბატუტისტები გამოდიოდნენ, ქართველი სპორტსმენისთვის იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ რვათვიანი შესვენების შემდეგ პირველად გავიდა საერთაშორისო სარბიელზე. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ბატუტისტებისთვის და, საერთოდ, ტანვარჯიშისთვის არცთუ სახარბიელო პირობებია, და კიდევ იმის გათვალისწინებით, რომ მუხლის ტრავმა აწუხებდა, ლუბამ პირველი ადგილი დაიკავა (ამ ფაქტორების გამო გოლოვინასგან წარმატებას არავინ ელოდა).

ლუბას გამოსვლა წარმატებული გამოდგა მისი პირადი მწვრთნელის ვლადიმერ გოლოვინისთვისაც, რომელსაც შვილის წარმატებისთვის მაღალი ტექნიკისთვის განკუთვნილი თასი გადაეცა.

წლეულს ლუბა გოლოვინა იუნიორთა შორის ასპარეზობას დაასრულებს. გაისად უკვე მოზრდილებში მოსინჯავს ძალას, მაგრამ სანამ დიდების მარაქაში გაერევა, თანატოლებში კიდევ რამდენიმე შეჯიბრებაზე მოუწევს გამოსვლა. მათ შორის უმნიშვნელოვანესი 20 მაისს მეცში (საფრანგეთი) ჩასატარებელი ევროპის ჩემპიონატია.

ევროპულ სარბიელზე ლუბა გოლოვინასთან ერთად ვიხილავთ ნანა ღუჭაშვილს, სოფო გულიაშვილსა და თამარ კაკაშვილს. საქართველოს ნაკრები ვაჟებითაც იქნება დაკომპლექტებული: თენგიზ კოშკაძე, ზურაბ ჭყონია და გიორგი მარქარიანი.



*ტურნირის გამარჯვებული ლუბა გოლოვინა კვარცხლბეკზე.*

# ფიფა რასიზმის წინააღმდეგ

ბრძოლა რასიზმთან და დოპინგის გამოყენებასთან, პრევენციული სამედიცინო შემოწმება, მკაცრი კონტროლი ტოტალიზატორებზე. ფიფა მომავალ მუნდიალზე განსაკუთრებული სიმკაცრის გამოჩენას აპირებს.

უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც სტადიონებზე რასისტული გამოხდომები ჩვეულებრივ ამბად იქცა. ფიფას არ სურს, რომ მსოფლიო ჩემპიონატი, რომელსაც 30 მილიონი ტელემაყურებელი ეყოლება, რასისტებისთვის მოქმედების ასპარეზად იქცეს.

„რასიზმთან ბრძოლა ფიფას ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება იქნება. ამას წინათ ფიფას აღმასრულებელმა კომიტეტმა გაამკაცრა კანონები. რასისტული გამოხდომების შემთხვევაში შესაძლოა გუნდებს ქულებიც კი ჩამოვაწეროთ და ამას მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავაკეთებთ", - აცხადებს ბლატერი.

მართალია, რასიზმთან ბრძოლა აუცილებელია, მაგრამ სადამდე შეიძლება მივიდეთ ფიფას ახალი ნოვაციის წყალობით! გასაგებია, რომ თუ რომელიმე გუნდის ფეხბურთელი ამხილეს რასისტულ გამოხდომაში, იმ ნაკრების დასჯა რეალურად შესაძლებელია, მაგრამ ფიფა ხომ მხოლოდ ფეხბურთელებზე არ საუბრობს. ეს კანონი უფრო გულშემატკივრებს ეხებათ. ამ შემთხვევაში კი სირთულეები უკვე აშკარაა.

მსოფლიო ჩემპიონატზე უამრავი გულშემატკივარი ჩავა და იმის გარკვევა, თუ რომელი ქვეყნის წარმომადგენელმა იყვირა სტადიონზე რასისტული შეძახილი, ძალიან ძნელი იქნება.

თუ რასიზმი სტადიონის შემოგარენში გამოვლინდა, აქ ვითარება, ასე თუ ისე, ასატანია. სამართალდამცავები დამნაშავეს დააკავებენ და გაარკვევენ, რომელი ქვეყნიდან ჩავიდა გერმანიაში ეს ადამიანი. ხოლო თუ რასისტული ქმედება ტრიბუნებზე გამოვლინდა, მაშინ ვითარება მეტისმეტად გართულდება.

ბოლოს და ბოლოს, შესაძლოა ვინმემ ასეთი კანონით უბრალოდ ისარგებლოს. დაჯდეს მეტოქე გუნდის ფანებთან ერთად და შემდეგ ამ გუნდის საზიანოდ იმოქმედოს.

მოკლედ, რა თქმა უნდა, რასიზმთან ბრძოლა აუცილებელია, მაგრამ რამდენად სწორი იქნება მუნდიალზე გუნდებისთვის ქულების ჩამოწერა, ძნელი სათქმელია.



*შესაძლოა გუნდები ფანების გამო დაისაჯონ.*

ერთად გავიხსენოთ
თბილისის "დინამოს"
დიდი გამარჯვება!




საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და
საქართველოს ეროვნული მუზეუმი გეპატიჟებათ
11-14 მაისს ქარვასლაში 1981 წლის 13 მაისის
25 წლისთავისადმი მიძღვნილ გამოფენაზე

## კვირის ფრაზები

„ისე გავიზარდე, ერთი საფეხბურთო მატჩიც კი არ მინახავს. იქ, სადაც მე დავიბადე, ფეხბურთს არ თამაშობდნენ. საერთოდ, არც ვიცოდი, სპორტის ეს სახეობა თუ არსებობდა. რაც უფრო მემატება ასაკი, მით უფრო ვრწმუნდები, რა მნიშვნელოვანი ტურნირია ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატი, - გამოტყდა პრესასთან საუბრისას ფეხბურთით ახლახან დაავადებული ჯორჯ ბუში-უმცროსი.

■ ■ ■

„როცა ელენი ბარსელონაში რონალდიონის თამაშს უყურებს, გაგიჟებულია და ჰგონია, რომ ასეთ ფინტებს მარტო „ბარსელონაში" თამაშისას გააკეთებ. მე კი ვეუბნები, რომ ამას ყველა ვერ შეძლებს", - ფრანკ ლამპარდი მეუღლე ელენზე.

■ ■ ■

„ლუნას „ჩელსის" ფორმა ვუყიდე. შინ რომ მივიტანე, გადავჭერი და ჩავაცვი. ეს რომ ელენმა ნახა, სასწრაფოდ გახადა. მას შემდეგ ის მაისური აღარ მინახავს", - ისევ ლამპარდი.

■ ■ ■

„შუა გზაში ვიყავი, როცა მივხვდი: რა სამწუხაროა, იმაზე შორს რომ არ წავედი, ვიდრე ახალი ზელანდიაა", - ალან კერბიშლი, რომელსაც ახალ ზელანდიაში დის სანახავად წასასვლელი ბილეთები სერ ალექს ფერგიუსონმა აჩუქა.

■ ■ ■

„ძალიან ემოციური დღე იყო, ზოგისთვის დედა ვიყავი, ზოგისთვის მამა, დანარჩენებისთვის - და და ძმა", - „რაშდენ ენდ დაიმონდის" თავკაცი ბარი ჰილტონი ბოლო მატჩის შემდეგ.

■ ■ ■

„ეს დაახლოებით იმას ჰგავს, რომ ამერიკულ ციხეში სიკვდილმისჯილის სტატუსით იჯდე. სახელურის ყოველ ჩამოწევაზე შიშით კრთები, რადგან არ იცი, შეგიწყალეს თუ სიცოცხლის ბოლოს უკანასკნელი საუზმე შემოგიტანეს", - ჰოვარდ ვილკინსონი „ნოტინგემში" გატარებულ დღეებზე.

■ ■ ■

„ლუიშ ფელიპე სკოლარი მხოლოდ სამი მიზეზის გამო ვნახე, მაგრამ კონკრეტულად არც ერთი მათგანი არ გულისხმობდა მისთვის ინგლისის ნაკრების გაწვრთნის შეთავაზებას. მერე კი მითხრა, რომ ინგლისში მუშაობა არ აინტერესებდა. მე ყოველთვის სტივ მაკლარენზე ვაკეთებდი არჩევანს", - უარყოფს ინგლისის ფეხბურთის ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორი ბრაიან ბარვიკი სკოლარისთან მოლაპარაკებას.

■ ■ ■

„ახლა B გეგმის მიხედვით ვმუშაობ, მაგრამ სინამდვილეში არ ვიცი, რას გულისხმობს ეს გეგმა", - ამხნევებს გულშემატკივარს ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელის სვენ გორან ერიქსონის თანაშემწე.

■ ■ ■

„მას ახლა ძალიან ცოტა დააკლდა, თითქმის ნახევარი დუჟინი", - ამხნევებს სერ ალექს ფერგიუსონი რუუდ ვან ნისტელროის მას შემდეგ, რაც ჰოლანდიელმა თავდამსხმელმა „მიდლსბროსთან" პენალტი გააფუჭა.

■ ■ ■

„ძალიან მნიშვნელოვანი დღე იყო და ამიტომ აუცილებლად ერთად უნდა ვყოფილიყავით. მაგრამ სიტუაცია რუუდის ძირითადში ყოფნას არ მოითხოვდა", - ისევ ფერგი, „ჩარლტონის" მატჩის წინ.

■ ■ ■

„ფეხბურთელებს არ სჭირდებათ მობოდიშება. მათი ბუნებიდან გამომდინარე, ისინი საკუთარ თავში დარწმუნებულნი არიან. ჩემი აზრით, ფეხბურთელები ძალიან ამპარტავნები არიან. მათ შეუძლიათ ყველა დაადანაშაულონ, საკუთარი თავის გარდა", - ფეხბურთელებს ახასიათებს „ბირმინგემის" მფლობელი დავიდ სალივანი, რომელიც, როგორც წესი, იმას ამბობს, რასაც ფიქრობს.

■ ■ ■

„მან რომ მოედანზე თავისი ყველაზე ძლიერი მხარეები გამოამჟღავნოს, ვერავინ შეაჩერებს", - ინგლისის ნაკრებისა და „ლივერპულის" ნახევარმცველი სტივენ ჯერარდი სტივენ ჯერარდზე.

■ ■ ■

„თავიც რომ მოაჭრათ, მაინც ვერ შეაჩერებთ", - „ჩელსის" ნახევარმცველი ჯო კოული გუნდის კაპიტან ჯონ ტერიზე.

■ ■ ■

„ჩემი ცოლი მაგარი ფხუკიანია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისიც ფეხბურთის მწვრთნელია," - „მანჩესტერ სიტის" მთავარი მწვრთნელი სტიუარტ პირსი საკუთარ ცოლზე.

■ ■ ■

„ფელიქსს ექვსი თვეა არ დაულევია და სამმა კათხა ლუდმა იმიტომ გათიშა", - გაამართლა „ბაიერნის" მწვრთნელის ფელიქს მაგათის სიმთვრალე გუნდის გენერალურმა დირექტორმა ული ჰიონესმა.

■ ■ ■

„ბარსელონაში" იმიტომ გადმოვედი, რომ ასეთი ტიტულები მომეგო", - თქვა რონალდინიომ პრიმერადივიზიონის ზედიზედ მეორედ მოგების შემდეგ.

■ ■ ■

„ერთ-ერთ რადიოში მოვისმინე, რომ პიტერ ებდონი ყოველდღე ერთ მილს ცურავს. თუ ასე გააგრძელებს, წელიწადში 365 მილი გამოუვა. ეს ყველაზე საუკეთესო შედეგია მის ცხოვრებაში. ეს რომ კრივის მატჩი ყოფილიყო, აუცილებლად შეწყდებოდა, რათა მოკრივეებს თავი დაეღწიათ გულშემატკივართა ლანძღვა-გინებისთვის", - სნუკერის წარმომადგენელი ბარი ჰერნი მსოფლიო ჩემპიონატის მოსაწყენ და გრძელ ფინალურ მატჩზე ებდონსა და გრემ დოტს შორის.



## კვირის ფრაზები

„მე 16 ზომა ფეხსაცმელს ვატარებ. 18 ან 19 ზომას რომ ვხმარობდე, ასე ვერ ვირბენდი“, - ჯეიმს ლებრონი „ვაშინგტონ ვიზარდთან“ მოგებული (121:120) მატჩის შემდეგ.

■ ■ ■

„ბიჭებს მოტივაცია აღარა აქვთ, უკვე ჩემპიონები არიან და ამიტომ ფეხის განძრევა ეზარებათ“, - საფრანგეთის ჩემპიონის, „ლიონის“ მთავარი მწვრთნელი ჟერარ ულიე თავის ფეხბურთელებზე.

■ ■ ■

„იტალიური ფეხბურთი ავადაა. მის გადასარჩენად საჭიროა არა მარტო კლუბების ხელმძღვანელთა, არამედ ფედერაციის რამდენიმე ჩინოსნის პოსტიდან გაშვება“, - ასე ახასიათებს იტალიური ფეხბურთის დღევანდელ მდგომარეობას „ფიორენტინას“ მთავარი მწვრთნელი ჩეზარე პრანდელი.

■ ■ ■

„ბექჰემის გარდა, ვერავინ ურჩევს ბავშვებს, რომ ნატურალური რძე დალიონ. სხვებმა რომ ურჩიონ კიდეც, მაინც არავინ დაუჯერებს“, - ამბობს ამერიკული კომპანია „Got Milk“-ის წარმომადგენელი, რომელმაც სულ ახლახან გააფორმა კონტრაქტი „რეალის“ ნახევარმცველ დევიდ ბექჰემთან.

■ ■ ■

„ვერ ვიტან ბანანებს და, საერთოდ, რაღაც უაზრო ვიტამინებს. ერთი სიტყვით, ვერაფერს, რაც ენერგიას გმატებს“, - ამბობს დოტი, სნუკერის მოთამაშე, რომელსაც ფორმის შესანარჩუნებლად მუდმივად სჭირდება ვიტამინების მიღება.

## ინფოთეკა

### კელი იმედს არ კარგავს

დორტმუნდის „ბორუსიას“ ნახევარმცველი სებასტიან კელი იმედოვნებს, რომ მისი ტრავმა არც ისე სერიოზულია და იგი შეძლებს მსოფლიო ჩემპიონატზე თამაშს. ორი დღის წინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, წესით, კელს ამის შანსი არ უნდა ჰქონდეს.

გუშინ ფეხბურთელმა კიდევ ერთი სამედიცინო შემოწმება გაიარა და გაირკვა, რომ ტრავმა არც ისე სეიოზულია.

### მორიენტესი მარტინსში იცვლება

„ლივერპული“ კვლავაც ცდილობს ნიგერიისა და „ინტერის“ ფორვარდის ობაფემი მარტინსის შეძენას. აღსანიშნავია, რომ „ინტერის“ ერთ-ერთ ბოლო შეხვედრაში მარტინსს გულშემატკივარმა დაუსტვინა და ნიგერიელს თავადაც აღარ უნდა „ინტერში“ დარჩენა.

მერსისაიდელებმა იტალიურ კლუბს გაცვლა შესთავაზეს. „ლივერპულიდან“ „ინტერში“ მარტინსის სანაცვლოდ ფერნანდო მორიენტესი უნდა გადავიდეს.

### ტაციაობა პეპეზე

პორტუგალიურ კლუბ „პორტუს“ ბრაზილიელ ფორვარდ პეპეზე საკმაოდ დიდი მოთხოვნილებაა. ამ ფეხბურთელის შეძენა ერთდროულად მოუნდათ ტურინის „იუვენტუსს“ და მიუნხენის „ბაიერნს“. აღსანიშნავია, რომ დაახლოებით ერთი თვის წინ პეპეს ყიდვა ესპანურ „დეპორტივოსაც“ სურდა, მაგრამ პორტუგალიელებმა ფეხბურთელი 20 მილიონ ევროდ შეაფასეს და ლაკორუნიულ გუნდს პეპეს ყიდვის ყოველგვარი სურვილი დააკარგვინეს. თუმცა საეჭვოა, რომ პეპეში ან „იუვენტუსმა“, ან „ბაიერნმა“ 20 მილიონი გადაიხადოს.

### იური სიომინი "დინამოში" დარჩება

მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვის „დინამო“ ამ სეზონში საშინლად ასპარეზობს, გუნდის ხელმძღვანელობის თქმით, დღის წესრიგში არ დგას იური სიომინის გადაყენების საკითხი.

„ჩვენ ვენდობით სიომინს და დარწმუნებული ვართ, რომ მასთან ერთად დავძლევთ კრიზისს“, - ნათქვამია „დინამოს“ პრესსამსახურის განცხადებაში.

# ფაშიზმი ფეხბურთში

გასული საუკუნის 30-იან წლებში ევროპა დიდი ქარტეხილის წინაშე დადგა: ძველ კონტინენტზე ფეხს იკიდებდა კაცობრიობის ყველაზე დამღუპველი სენი ფაშიზმი. ახალ მთავრობას, პირველ რიგში, საკუთარი მოსახლეობისთვის განსაკუთრებულობის განცდის ჩანერგვა სურდა. ამისთვის კი სპორტი საუკეთესო საშუალება გახლდათ.

მსოფლიოს პირველ ჩემპიონატამდეც აშკარა იყო, რომ ფეხბურთი ნელ-ნელა ფართო მასების უსაყვარლესი სახეობა ხდებოდა. სხვადასხვა ქვეყნის მმართველებმა ფეხბურთის პოპულარიზაციის ზრდა თავიდანვე შენიშნეს და შეეცადნენ, სპორტის ეს სახეობა სახელმწიფოს, ხშირად კი საკუთარი ინტერესებისთვის გამოეყენებინათ. უამრავი მაგალითი არსებობს, როგორ ცდილობდნენ დიქტატორები ესა თუ ის ტურნირი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოეყენებინათ. ამის ნათელი დასტურია 1936 წლის ბერლინის ოლიმპიადა, როცა ადოლფ ჰიტლერმა ეს გრანდიოზული სპორტული ფორუმი, არც მეტი, არც ნაკლები, პროპაგანდისთვის და იმის დასამტკიცებლად გამოიყენა, თუ როგორ სჯობიან გერმანელი სპორტსმენები მსოფლიოს დანარჩენ ათლეტებს. მსაჯობის სამართლიანობაზე, უფრო სწორად კი მიუკერძოებლობაზე საუბრის გაგრძელება არ ღირს, რადგან ოლიმპიადის დაწყებამდეც ყველას კარგად მოეხსენებოდა, რომ მასპინძლები ბევრად მომგებიან მდგომარეობაში იქნებოდნენ.



მუსოლინი და ჰიტლერი.

სპორტით, კერძოდ ფეხბურთით მანიპულირება ჰიტლერზე ადრე იტალიის ფაშისტური რეჟიმის მმართველმა ბენიტო დუჩე მუსოლინიმ შეძლო.

1934 წლის იტალიის მსოფლიო ჩემპიონატი თავისი არაობიექტურობითა და მიკერძოებული მსაჯობით ამ ტურნირებს შორის ნამდვილად რეკორდსმენია. ფეხბურთის მცოდნენი და ისტორიკოსები დღემდე არჩევენ და მსჯელობენ ამ რიგით მეორე მუნდიალზე და ერთხმად ამბობენ, რომ ის ჩემპიონატი ფიფას ეგიდით ჩატარებული კი არა, დუჩე მუსოლინის სახელობის უფრო იყო.

იტალიის ფაშისტური პარტიის ლიდერს უნდოდა მთელი ევროპისთვის ნათლად ეჩვენებინა, თუ როგორი მძლავრი იყო მისი ქვეყანა. ამავდროულად, „სკუადრა აძურას“ გამარჯვებით იტალიის გალატაკებული მოსახლეობა თავს გამორჩეულად იგრძნობდა. ეს კი მათ თვითრწმენას შესამჩნევად აამაღლებდა.

მუსოლინიმ ჩამოასხმევინა თავისი სახელობის თასი, რომელიც ნიკეს თასზე დაახლოებით სამჯერ დიდი იყო. ფაშისტმა დუჩემ მტკიცედ გადაწყვიტა, მსოფლიოს ჩემპიონი იტალიის ნაკრები გამხდარიყო. იმის თქმა სულაც არ გვინდა, თითქოს მასპინძლებს სუსტი ნაკრები ჰყავდათ, პირიქით - იტალიის ნაკრების თავკაცის ვიტორიო პოცოს განკარგულებაში აღმოჩნდნენ ისეთი დიდოსტატები, როგორებიც იყვნენ: ჯამპიერო კომბი („იუვენტუსი“), ჯუზეპე მეაცა („ინტერი“), ანჯელო სკაივიო („ბოლონია“), ჯოვანი ფერარი („იუვენტუსი“) და სხვები.

„სკუადრა აძურამ“ მერვედფინალში ესპანეთის ძლიერ ნაკრებთან ფრედ 1:1 ითამაშა. პირენეელთა კარს იცავდა ლეგენდარული რიკარდო ზამორა („რეალი“), რომელმაც ერთხელ მსაჯის მიერ გამოგონილი თერთმეტმეტრიანი მოიგერია და იმდენი მოახერხა, რომ იტალიას ვერ მოეგო. მაშინ დამატებითი დრო არ იყო და განმეორებითი მატჩი მეორე დღისთვის დაინიშნა. ოფიციალური ვერსიით, ზამორამ პირველ მატჩში ფეხი იტკინა და განმეორებითი თამაში გამოტოვა. თუმცა, წლების შემდეგ გახმაურდა, რომ ესპანელებს „ზევიდან“ უბრძანეს - თქვენმა კაპიტანმა არ უნდა ითამაშოსო. მართალია, ეს დაუსაბუთებელი ინფორმაციაა, მაგრამ ფაქტია, რომ ზამორა „ჯოვანი ბერტას“ (ფლორენცია) სტადიონზე არ გასულა. იტალიამ კი ჯუზეპე მეაცას მიერ მე-12 წუთზე გატანილი გოლის წყალობით ესპანური ბარიერი გადალახა.

მუსოლინის მთავარი ხრიკები ნახევარფინალში გამოაშკარავდა, სადაც მასპინძლებს მეტოქედ ავსტრიის ეროვნული გუნდი ერგო. ფეხბურთის სპეციალისტების მტკიცებით, იმ ხანებში ალპელებს ჩინებული ნაკრები ჰყავდათ და 1934 წლის მუნდიალის მოგების ფავორიტებად სწორედ ისინი ითვლებოდნენ. მათ რიგებში ბრწყინავდა მატიას სინდელარი, კაცი, რომელმაც ფაშისტური რეჟიმის სისასტიკე საკუთარ ტყავზე გამოსცადა. თუმცა, ამაზე ქვემოთ...

მატჩის მთავარ არბიტრად შვედი ივან ეკლინდი დაინიშნა. ეს კაცი მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში ყველაზე არაობიექტური არბიტრის სახელითაა შესული. თქმა არ უნდა, სკანდინაველი მასპინძლებს დასაშვები თუ დაუშვებელი ხერხებით ემხრობოდა. ერთ ეპიზოდში ეკლინდმა ერთ-ერთ იტალიელ ფეხბურთელს თვითონ გადააწოდა ბურთი. ავსტრიელთა კარში გოლი წესების დარღვევით გავიდა, თუმცა მსაჯმა, რა თქმა უნდა, ჩათვალა. მოკლედ, იტალია ფინალში გავიდა. შვედი არბიტრი კი თავად ბენიტო მუსოლინისთან დაიბარეს ვახშამზე. მაშინ გადაწყდა, რომ ფინალურ შეხვედრასაც შვედი ივან ეკლინდი განსჯიდა. ასეთი რამ მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში პირველად და ალბათ უკანასკნელად მოხდა. ისტორიის ცოდნა სულაც არ არის აუცილებელი იმის მისახვედრად, რომ გადამწყვეტ მატჩში იტალიელებმა ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს აჯობეს (2:1), თუმცა, დამატებით დროში, და პირველად დაეუფლნენ მუნდიალის მედლებს.

**პატრიოტი ავსტრიელი**

თავისი კარიერის მიწურულს ავსტრიის ნაკრების საუკეთესო მეგოლეს ტონი პოლსტერს აღტაცებულმა ჟურნალისტმა ერთხელ ხოტბა შეასხა - ავსტრიის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი ბრძანდებითო. პოლსტერმა თავშეკავებული მადლობა გადაუხადა და დასძინა: ჩემთვის საუკეთესო ფეხბურთელად მუდამ მატიას სინდელარი დარჩებაო.

მატიას სინდელარი დაიბადა 1903 წლის 10 თებერვალს ქალაქ ჟიპლავაში, რომელიც ავსტრია-ჩეხეთის საზღვართან მდებარეობს. მალე მისი ოჯახი საცხოვრებლად ვენაში გადავიდა. სწორედ ავსტრია-უნგრეთის მაშინდელი იმპერიის დედაქალაქში ეზიარა მატიასი ფეხბურთს. მისი პირველი და უკანასკნელი პროფესიონალური კლუბი „აუსტრია“ გახლდათ.

1938 წლის მარტში ფაშისტურმა გერმანიამ მეზობელი ავსტრიის ანექსია პრაქტიკულად უომრად მოახერხა. ბუნებრივია, დღის წესრიგში დადგა ორი ნაკრების გაერთიანების საკითხი. მესამე რაიხის ბრძანებით, ავსტრიის ეროვნული გუნდი გაუქმდა. ფეხბურთელებს კი ბუნდესნაკრებში გადასვლა შესთავაზეს. ბევრი მათგანი, ნებსით თუ უნებლიეთ, „თავაზიან ბრძანებას“ დაემორჩილა. მაგრამ სინდელარი არა - იგი ღიად დაუპირისპირდა ნაცისტებს და ავსტრიის თეთრ-წითელი ფორმის სხვა რომელიმეში გაცვლა არ ისურვა. 1938 წლის 3 აპრილს ფაშისტებმა ვენაში ამხანაგური მატჩის გამართვა გადაწყვიტეს, რომლის დამთავრებისთანავე ავსტრიის გუნდი გაუქმებულად ჩაითვლებოდა. როგორც თვითმხილველები ამბობენ, 35 წლის სინდელარმა ისე ითამაშა, როგორც გამოსათხოვარ მატჩს შეეფერებოდა. გერმანელთა კარში პირველი გოლი სწორედ მან შეაგდო, მერე კი თანაგუნდელს გაატანინა. სტადიონზე თავმოყრილი 60 ათასი გულშემატკივარი აღფრთოვანებული იყო. თამაშის შემდეგ სინდელარმა ვიპ-ლოჟასთან მიირბინა, სადაც ფეხბურთის მოყვარული ნაცისტები ისხდნენ და მათი მისამართით ისეთი ჟესტი გააკეთა, რითაც აშკარად აგრძნობინა - ვერ გადამიბირეთო. აშკარა იყო, ფეხბურთელის ეს „თავხედობა“ დაუსჯელი არ დარჩებოდა. ასეც მოხდა - 1939 წლის 23 იანვარს სინდელარი მეგობარი ქალის სახლში მკვდარი იპოვეს. მისი თანამედროვენი ახლაც დარწმუნებული არიან, რომ მათი სათაყვანებელი ფეხბურთელი ღამით გაზით გაგუდეს. სხვა ვერსიით, სინდელარმა ზეწოლას ვეღარ გუძლო და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ასეა თუ ისე, ფეხბურთელის სიკვდილი დღემდე ბურუსით მოცული რჩება. მაშინ კი ეს ფაქტი ტრაგიკულ შემთხვევად გაასაღეს. სინდელარის მეგობრის ებონ ურბრიხის მტკიცებით, რომელიღაც ჩინოსანმა ქრთამი აიღო, რათა ფეხბურთელის გარდაცვალების ცნობაში „უბედური შემთხვევა“ ჩაეწერა.

„ნაცისტური კანონების თანახმად, პირი, რომელიც სიცოცხლეს თვითმკვლელობით ამთავრებდა ან მკვლელობის მსხვერპლი იყო, არ შეიძლებოდა შესაბამისი პატივით მიებარებინათ მიწისთვის. აქედან გამომდინარე, ქრთამის მიცემა დაგვჭირდა, რათა მატიასი ჭეშმარიტი პატრიოტივით დაგვეკრძალა“, - ეს სიტყვები ზემოთ ხსენებულ მეგობარს ეკუთვნის.

სულ ბოლოს კი ერთი ამბავიც გავიხსენოთ. მოქმედება ერთ-ერთ საკონცენტრაციო ბანაკში ვითარდება. გერმანელებს ტყვედ ჩაუვარდათ სამოყვარულო გუნდი და გართობის მიზნით მათთან ფეხბურთის თამაში გადაწყვიტეს. მაგრამ პირობა დაუდეს - თუ წააგებთ, ყველას დაგხვრეტთ. თუ თამაშზე უარს გვეტყვით, სიკვდილი არც ამ შემთხვევაში აგცდებათო.

პატიმრები გეგმას შეიმუშავებენ, რომლის თანახმადაც პირველი ტაიმის დასრულებისთანავე ბანაკიდან გაქცევით უნდა უშველონ თავს. თამაშის პირველი ნახევარი გერმანელების მინიმალური გამარჯვებით დასრულდა. ტყვეებმა იფიქრეს, რომ გავიქცეთ, ალბათ მაინც დაგვიჭერენ და დაგვხრეტენ, სჯობს მინდორზე დავბრუნდეთ და ნაცისტებს ბოლომდე ვეთამაშოთო. გადმოცემის თანახმად, ამბის დასასრული, მატიას სინდელარის ისტორიისა, არ იყოს, ტრაგიკულია - ტყვეებმა მეორე ტაიმში თამაშის ბედი შემოატრიალეს და გერმანელებს გამანადგურებლად მოუგეს. ამით განრისხებულმა ნაცისტებმა ტყვე ფეხბურთელები მოედანზევე ჩაცხრილეს.

# ული ჰიონესი: „შემადგენლობას 19 მაისისთვის გავარკვევთ“

**- ბატონო ჰიონეს, რაში გამოიხატება თქვენი გუნდის ძალა?**

- ჩვენ არ გვყავს ფართოდ რეკლამირებული ვარსკვლავები, ჩვენ ნამდვილი კოლექტივი ვართ. ყველა ფეხბურთელი, როგორც ერთი, მაღალი კლასისაა. ამიტომ, არც ერთ სიტუაციაში არ ვნერვიულობ. მაგალითად, თუ ოლივერ კანის შეცვლა მიქაელ რენზინგით მოგვიწევს. მართლა - რენზინგთან კონტრაქტი 2010 წლის ბოლომდე გავაგრძელეთ და ვაპირებთ, დღეს თავგამოჩენილ ანდრეას ოტლს კონტრაქტი კიდევ ერთი წლით გავუხანგრძლივოთ. ზე რობერტოს კი მომავალ კვირაში გავესაუბრებით.

**- რა პერსპექტივა აქვს ასეთ „ბაიერნს“?**

- ჩვენ ახალგაზრდული გუნდი გვყავს და განვითარებაში ფეხბურთელების დახმარება უპირველეს ამოცანად მიგვაჩნია. მაგალითად, ხუან დოს სანტოსი შეიძლება ნამდვილ სენსაციად იქცეს. ბასტიან შვაინშტაიგერსაც დაოსტატების თვალსაზრისით ზრდის დიდი პოტენციალი აქვს. ოუენ ჰარგრეივსმაც დიდი ნაბიჯი გადადგა წინ. უკვე დაგვიბრუნდა როკე სანტა კრუსი, დაგვიბრუნდება სებასტიან დაისლერიც. მე აღმაფრთოვანა იმ გარემოებამ, თუ როგორ ითამაშა სანტა კრუსმა „შტუტგარტთან“ მატჩში ბალაკის პოზიციაზე.

**- რა ადგილი უკავია „ბავარიას“ ევროპული კლუბების არაოფიციალურ იერარქიაში?**

- ამ მომენტისთვის მხოლოდ ერთი კლუბია ყველა დანარჩენზე ერთი თავით მაღლა - ეს „ბარსელონაა“. „არსენალს“ ჩემპიონთა ლიგის ფინალში შანსი არა აქვს - რონალდინიოს გოლის გატანაში თვით ლემანიც კი ვერ შეუშლის ხელს. „ბარსელონას“ მოსდევს „მილანი“, დანარჩენი გრანდები კი დაახლოებით თანაბარი დონის არიან. ასე რომ, ამას, როგორც პრობლემას, არ ვუყურებ. რომან აბრამოვიჩი „ჩელსიში“ წამოჭრილ ყველა პრობლემას ფულით გადაწყვეტს, მაგრამ თუ „არისტოკრატების“ ყველა პრობლემა ბალაკთან კონტრაქტის გაფორმებასთან არის დაკავშირებული, მაშინ ეს გუნდი ძალიან ნამდვილად ვერ გაგვასწრებს.

**- მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში რა მიზანს ისახავთ?**

- ჯგუფიდან გასვლას. თუ ჩემპიონთა ლიგაში დიდი გეგმები გაქვს, ფსიქოლოგიური პრობლემებით თავის შეწუხებას აზრი არა აქვს. პირიქით - ამისგან თავი უნდა დაიზღვიო. გვინდა მომავალ სეზონში ასეთი პასუხისმგებლობის ტვირთის გარეშე ვიყოთ.

**- ვის გადმოყვანას აპირებთ?**

- ამჟამად ლუკაშ პოდოლსკის კონტრაქტზე ვმუშაობთ. თუ წელს მისი გადმობირება ვერ მოვახერხეთ, მომავალ წელს მაინც გადმოვიყვანთ. „კიოლნთან“ მოლაპარაკების დაწყებას იმის იმედით ვაპირებთ, რომ პოდოლსკის 1 ივლისამდე გადმოვიყვანთ. დანიელ ვან ბუიტენსაც სურს „ბავარიაში“ გადმოსვლა, მაგრამ ამ საკითხზე ჯერ თავის კლუბს უნდა შეუთანხმდეს.

**- „ბაიერნში“ მიქაელ ბალაკის გამოსვლაზე რას იტყვით?**

- როგორც მოსალოდნელი იყო, ბალაკი ჩვენთან კიდევ უფრო დაიხვეწა. ბევრი გოლი გაიტანა, თუმცა, ქარიზმატულ ფიგურად ვერ იქცა - ვერც ერთი მატჩი პირადად ვერ მოიგო. ბალაკი პლეიმეიკერი არ არის.

**- ეროვნული ნაკრების მოთამაშის რანგში ბალაკი უფრო დამაჯერებლად გამოიყურება...**

- იგი ნაკრებში იმიტომ გამოირჩევა, რომ თანაგუნდელები არც ისე ძლიერები ჰყავს. ლამპარდისა და ბალაკის სახით „ჩელსის“ ორი გოლეადორი ნახევარმცველი ეყოლება. წესით, მიქაელი უნდა მოერგოს „ჩელსის“ თამაშის სტილს. აქვე ვიტყვი, რომ პირადად მიქაელთან არავითარი კონფლიქტი არ მაქვს.

**- უახლოეს დღეებში რა გეგმები გაქვთ?**

- საზეიმო კვირა გველის - დორტმუნდის „ბორუსიასთან“ მატჩში სტადიონზე 70 000 გულშემატკივარი აპირებს მოსვლას. 19 მაისისთვის მომავალი სეზონის შემადგენლობის დადგენას ვაპირებთ. მერე ათი დღით აშშ-ში გავემგზავრებით და ნიუ იორკში ვითამაშებთ. შემდეგ მიუნხენში მსოფლიო ჩემპიონატის გახსნის მატჩს დავესწრები და არდადეგებზე წავალ. მინდა საფრანგეთის სამხრეთში მზეს მივეფიცხო და მსოფლიო ჩემპიონატს იქიდან ვადევნო თვალყური.

**- არ ღელავთ მსოფლიო ჩემპიონატზე გერმანიის ნაკრების გამოსვლასთან დაკავშირებით?**

- არა. ადვილი არ იქნება, მაგრამ თუ კოსტა რიკასთან პირველ მატჩს მოვიგებთ, მაშინ ყველაფერი რიგზე იქნება.

## ერიქსონმა ნაკრები დაასახელა

გუშინ ინგლისის ნაკრების შვედმა მწვრთნელმა სვენ გორან ერიქსონმა დაასახელა ინგლისის ნაკრების სავარაუდო შემადგენლობა. 15 მაისამდე შვედმა სპეციალისტმა შესაძლოა ამ სიაში გარკვეული ცვლილებებიც შეიტანოს. გაფართოებულ სიაში უიენ რუნიც მოხვდა, მაგრამ თუ ფეხბურთელის მდგომარეობა არ გამოსწორდა, ალბთ ერიქსონი მას შემადგენლობიდან ამოაგდებს. ჯერჯერობით ინგლისის ნაკრების სამუნდიალო სია ასე გამოიყურება:

**მეკარეები:** დევიდ ჯეიმსი (სიტი), რობერტ გრინი (ნორვიჩი), პოლ რობინსონი (ტოტენჰემი)

**მცველები:** ჯონ ტერი, უეინ ბრიჯი (ორივე - ჩელსი), ჯემი კარაგერი (ლივერპული), რიო ფერდინანდი, გარი ნევილი (ორივე - მანჩესტერი), ეშლი კოული, სოლ კემპბელი (ორივე - არსენალი)

**ნახევარმცველები:** ჯო კოული, ფრენკ ლამპარდი (ორივე - ჩელსი), სტივენ ჯერარდი (ლივერპული), დევიდ ბექჰემი (რეალი), მაიკლ კარიკი, ჯერმაინ ჯენასი, არონ ლენონი (სამივე - ტოტენჰემი), ოუენ ჰარგრივზი (ბაიერნი), სტიუარტ დაუნინგი (მიდლსბრო)

**თავდამსხმელები:** პეტერ კრაუჩი (ლივერპული), უეინ რუნი (მანჩესტერი), მაიკლ ოუენი (ნიუკასლი), ტეო უოლკოტი (არსენალი)

ფეხბურთელები, რომლებიც შესაძლოა მოხვდნენ ნაკრებში, თუ ვინმე დაშავდა სკოტ კარსონი (ლივერპული), ლუკ იანგი (ჩარლტონი), ნაიჯელ რეო-კოკერი (ვესტ ჰემი), ჯერმაინ დეფო (ტოტენჰემი), ანდი ჯონსონი (კრისტალ პალასი).

## დალიეთ რძე!

დევიდ ბექჰემის პოპულარობა აშშ-ში დღითიდღე იზრდება. მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც ინგლისის ნაკრების კაპიტანმა სარეკლამო კონტრაქტი გააფორმა კომპანია Got Milk-თან. აღსანიშნავია, რომ ამ კომპანიას თავის დროზე რეკლამას უკეთებდნენ დიეგო მარადონა, ნაომი კემპბელი და სინდი კროუფორდი. „ბავშვებს ძალიან მოსწონთ ბექჰემი. მიგვაჩნია, რომ პროფესიონალი სპორტსმენი ჩვენი პროდუქტის რეკლამირებისთვის საუკეთესო ვარიანტია. ვინ, თუ არა დევიდმა, უნდა ურჩიოს ბავშვებს ჩვენი რძის დალევა“, - აცხადებს კომპანიის წარმომადგენელი.

## ნისტელროი „მანჩესტერს“ ტოვებს

ბრიტანული მედიის ინფორმაციით, რუუდ ვან ნისტელროო ზაფხულში დატოვებს „მანჩესტერ იუნაიტედს“. მანკუნიანელებს ძალიან უნდათ მადრიდის „ატლეტიკოს“ ფორვარდის ფერნანდო ტორესის შეძენა. ბრიტანელებს სურთ, ამ ტრანსფერში რუუდ ვან ნისტელროოც გამოიყენონ. კერძოდ, „მანჩესტერი“ ფერნანდო ტორესში 14 მილიონ გირვანქა სტერლინგს გადაიხდის და მადრიდულ კლუბში ვან ნისტელროოსაც გაუშვებს. იმის გათვალისწინებით, რომ „მანჩესტერმა“ ჰოლანდიელი მეგოლე 12 მილიონ გირვანქა სტერლინგად შეაფასა, გამოდის, რომ ესპანელ ვარსკვლავში სერ ალექს ფერგიუსონის გუნდი 26 მილიონ გირვანქა სტერლინგს იხდის.

## იტალიური ფეხბურთი ავადაა

„ფიორენტინას“ მთავარი მწვრთნელი ჩეზარე პრანდელი მიიჩნევს, რომ იტალიური ფეხბურთი მძიმედ დაავადდა. ეს სიტყვები პრანდელიმ ლუჩანო მოჯისთან დაკავშირებული სკანდალის გამო თქვა. შეგახსენებთ, რომ ტურინის „იუვენტუსის“ გენერალურ მენეჯერს ლუჩანო მოჯის მსაჯებზე ზემოქმედებაში ადანაშაულებენ. არსებობს აუდიოჩანაწერი იმისა, თუ როგორ აძლევს მითითებებს ბატონი მოჯი, რომელი არბიტრი დაინიშნოს ამა თუ იმ მატჩზე.

„იტალიური ფეხბურთი ავადაა. იმისთვის, რომ ის მალე განიკურნოს, აუცილებელია ფეხბურთის ფედერაციაში მოკალათებული რამდენიმე კორუმპირებული ჩინოვნიკის შეცვლა“, - აცხადებს პრანდელი.

## ფანდელი ფინალს იმსაჯებს

42 წლის გერმანელი არბიტრი ჰერბერტ ფანდელი დაინიშნა უეფას თასის ფინალური მატჩის მთავარ არბიტრად. შეგახსენებთ, რომ ეს მატჩი ხვალ ჰოლანდიის ქალაქ ეინდჰოვენში გაიმართება. ფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან ბრიტანული „მიდლსბრო“ და ესპანური „სევილია“.

ფანდელის ასისტენტები იქნებიან კარსტენ კადაჰი და ფოლკერ ვეტცელი. მეოთხე არბიტრის ფუნქციებს კი ფლორიან მეიერი შეასრულებს.

## არ ვიცი, ვინ დარჩება

ლონდონის „არსენალმა“ „უიგანის“ დამარცხებით ინგლისის ჩემპიონატში მეოთხე ადგილი დაიკავა და მომავალ სეზონშიც იასპარეზებს ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში. მიუხედავად ამისა, არსენ ვენგერმა არ იცის, თუ რა შემადგენლობით ითამაშებს მომავალ სეზონში. შესაძლოა, „არსენალი“ ზაფხულში რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვოს.

„სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, ვინ წავა და ვინ დარჩება. ჩემი ნება რომ იყოს, ყველას დავტოვებდი, რადგან მიმაჩნია, რომ სწორი მიმართულება ავირჩიეთ და ამ ახალგაზრდა ფეხბურთელებით კარგ გუნდს ჩამოვაყალიბებთ“, - აცხადებს ვენგერი.

## ოკოჩა „ბოლტონს“ დატოვებს

ნიგერიელი ფეხბურთელი ჯეი-ჯეი ოკოჩა პრემიერლიგის კლუბ „ბოლტონის“ დატოვებას აპირებს. აღსანიშნავია, რომ ოკოჩასთან ერთად გუნდიდან ფრანგი მცველი ბრუნო ნგოტიც მიდის. ისინი კლუბის ხელმძღვანელებს კონტრაქტის გაგრძელებაზე ვერ შეუთანხმდნენ. ამიტომაც მიდიან კლუბიდან.

„ამ ფეხბურთელებთან კონტრაქტი აღარ გაგრძელდება. კლუბი მათ პირობებს ვერ დააკმაყოფილებს. ამიტომ ზაფხულში ორივე წავა „ბოლტონიდან“, - ნათქვამია კლუბის ოფიციალურ განცხადებაში.

## „ბოკა“ ჩემპიონია!

არგენტინის ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩში „ბოკა ხუნიორსმა“ სტუმრად დაამარცხა „ინდეპენდიენტე“ და ქვეყნის საგაზაფხულო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. შეგახსენებთ, რომ „ბოკამ“ არგენტინის საშემოდგომო ჩემპიონატიც მოიგო.

## შევჩენკო 25 დღეს დაისვენებს

გუშინ იტალიური „მილანის" პრესსამსახურმა გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმად გუნდის უკრაინელი ფორვარდი ანდრეი შევჩენკო 25 დღის განმავლობაში ვერ შეძლებს მინდორზე გასვლას, რაც იმას ნიშნავს, რომ ანდრეი არ ითამაშებს იტალიის ჩემპიონატის ბოლო ტურში. უკრაინელმა „პარმასთან" მატჩში მიიღო ტრავმა.

## ბილეთები კვლავ პრობლემაა

მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე კვირალა დარჩა. ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი კი აცხადებს, რომ ტურნირის ორგანიზატორებს ჯერაც არ მოუგვარებიათ ბილეთებთან დაკავშირებული პრობლემები, რამაც შესაძლოა ქაოსიც კი გამოიწვიოს.

„ტურნირის დაწყებამდე არც ისე დიდი დროა დარჩენილი. პრობლემა კი აშკარაა. არც მინდა წარმოვიდგინო რა მოხდება, როდესაც გულშემატკივარი სტადიონზე მივა, ბილეთი ექნება და თამაშზე დასწრებას მაინც ვერ მოახერხებს. ჩვენ არ გვინდა, რომ სტადიონები ნახევრად ცარიელი იყოს. გერმანიის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ ბილეთები ინდივიუალური უნდა იყოს, ესე იგი, ადამიანმა ბილეთთან ერთად პირადობის მოწმობაც უნდა წარადგინოს, მაგრამ ყველას ესმის, რომ ბოლომდე ასე ვერ იქნება, ყველა ბილეთიანი პირადობის მოწმობას ვერ წარადგენს. ამან კი შესაძლოა საბოლოო ჯამში ქაოსამდე მიგვიყვანოს", - აცხადებს ბლატერი.

## ტოგო პირველი იქნება

ტოგოს ეროვნული ნაკრები პირველი იქნება მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მონაწილე 32 გუნდს შორის, რომელიც გერმანიას ესტუმრება. მუნდიალის საორგანიზაციო კომიტეტის განცხადებით, ტოგოს ნაკრები გერმანიაში 15 მაისს ჩავა და იქ გააგრძელებს სამზადისს. მაგალითისთვის გეტყვით, რომ მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ბრაზილიის ნაკრები გერმანიაში მხოლოდ 4 ივნისს აპირებს ჩასვლას.

## „ლივერპულს" რაით-ფილიპსის შეძენა სურს

„ლივერპული" დაინტერესებულია „ჩელსის" ფორვარდ შონ რაით-ფილიპსის შეძენით. შეგახსენებთ, რომ ლეგენდარული იან რაითის გერი „არისტოკრატიულ" კლუბში გასულ სეზონში გადავიდა, მაგრამ ძირითადში ადგილი ვერ მოიპოვა და მთელი სეზონი სათადარიგოთა სკამზე გაატარა, რის გამოც ინგლისის ნაკრებშიც დაკარგა ადგილი. შონს არაერთხელ უთქვამს, რომ დატოვებს „ჩელსის". ასე რომ, „ლივერპულის" შეთავაზება მისთვის მისაღები უნდა იყოს.

## ბაპტისტა დარწმუნებულია

მადრიდის „რეალის" ბრაზილიელი ნახევარმცველი ჟულიო ბაპტისტა დარწმუნებულია, რომ მოხვდება ბრაზილიის ნაკრებში და გაემგზავრება მუნდიალზე.

„ამაში ეჭვიც კი არ მეპარება. შესარჩევი ციკლის თითქმის ყველა შეხვედრაში მივიღე მონაწილეობა, მწვრთნელი მენდობა და არა მგონია, პარეირამ ჩემი საზაფხულო გეგმები ჩაშალოს. ჩემი მთავარი ოცნება გერმანიაში თამაშია", - განუცხადა ბაპტისტამ ესპანელ ჟურნალისტებს.

## კამბოჯა შეიძლება ფიფადან გარიცხონ

კამბოჯის ფეხბურთის ფედერაცია შესაძლოა ფიფას რიგებიდან გაირიცხოს. ამის მიზეზი ქვეყანაში ჩატარებული ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებია, რომელიც აპრილში გაიმართა. საქმე ისაა, რომ არჩევნების პერიოდში ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობა უხეშად ერეოდა საფეხბურთო საქმეებში. ფედერაციის ძველი პრეზიდენტი კხეკ რავი სწორედ მთავრობამ გადააყენა. ფიფას წესდებით, ეს კატეგორიულად იკრძალება.

## ვიერი გერმანიაში ვერ ითამაშებს

კრისტიან ვიერი ვერ შეძლებს მსოფლიო ჩემპიონატზე თამაშს. იტალიელ ფორვარდს ბოლო ერთი თვის განმავლობაში მუხლის ტრავმა აწუხებდა. სამედიცინო შემოწმების შემდეგ გაირკვა, რომ ბობოს ოპერაცია ესაჭიროება.

აღსანიშნავია, რომ ლიპი აპირებდა კრისტიან ვიერის წაყვანას მუნდიალზე და მისი დიდი იმედიც ჰქონდა.

## იბრაჰიმოვიჩი „იუვენტუსში" რჩება

ზლატან იბრაჰიმოვიჩის აგენტის განცხადებით, მისი კლიენტი მომავალ სეზონსაც ტურინულ კლუბში გაატარებს. აღსანიშნავია, რომ ბოლო ხანს საკმაოდ ბევრს საუბრობდნენ შვედი ფორვარდის ტრანსფერზე. იყო ვარაუდი, რომ ზლატანი მადრიდის „რეალში" გააგრძელებდა კარიერას, თუმცა, როგორც ჩანს, ჯერჯერობით იბრაჰიმოვიჩი კლუბის შეცვლას არ აპირებს. „ტურინულ კლუბთან კონტრაქტი რომ არ გავაგრძელოთ, მოქმედი კონტრაქტიის ვადა 2007 წელს იწურება. ასე რომ, ზლატანი მომავალ სეზონსაც ტურინულ კლუბში გაატარებს", - განუცხადა ფეხბურთელის აგენტმა ჟურნალისტებს.

## მოჯი მიდის, პლატინი ბრუნდება

ტურინის „იუვენტუსის" ხელმძღვანელებმა შესაძლოა თანამდებობები დატოვონ. საქმე ეხება გახმაურებულ სკანდალს, რომლის მთავარ მოქმედ პირად ლუჩანო მოჯი იქცა. „იუვეს" გენერალური დირექტორი ზეგავლენას ახდენდა მსაჯებზე. სწორედ მისი მითითებით ინიშნებოდნენ არბიტრები იტალიის ჩემპიონატის ამა თუ იმ მატჩებზე. ამჟამად იტალიაში ამ საქმეს იძიებენ. ტურინული კლუბის მფლობელებს კი გადაწყვეტილი აქვთ, სახელგატეხილი მოჯი თანამდებობიდან დაითხოვონ. საინტერესოა, რომ თუ მოჯი მართლაც მოხსნეს, მის სავარაუდო მემკვიდრედ ლეგენდარულ ფრანგ ფეხბურთელს, წარსულში „იუვენტუსის" ვარსკვლავს მიშელ პლატინის ასახელებენ. თუმცა საკითხავია, დათანხმდება კი პლატინი ტურინული კლუბის გენერალურ დირექტორობას, როდესაც იგი უეფას პრეზიდენტობაზე ფიქრობს.

# საკუთარი გამარჯვებები არ უნდა გაგვიკვირდეს

დიდიე დროგბა საკმაოდ სწრაფად ავიდა საფეხბურთო ოლიმპზე. ორ სეზონში მან რიგითი ფრანგული კლუბიდან „ჩელსიმდე" განვლო გზა. საშუალო დონის ფორვარდიდან სუპერვარსკვლავად იქცა. წლევანდელი სეზონი მისთვის ერთმნიშვნელოვანი არ ყოფილა. კოტ დივუარის ნაკრებთან ერთად მან მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური მოიპოვა და აფრიკის თასის ფინალშიც გავიდა. კლუბში კი ვერა და ვერ შეძლო თავის გამოჩენა. მართალია, „ჩელსიმ" ისევ მოიგო ინგლისის ჩემპიონის ტიტული, მაგრამ დროგბას წვლილი ამაში საკმაოდ მცირეა.

**- აფრიკის თასის ტურნირამდე ყველას ეგონა, რომ კოტდივუარის ნაკრებმა შემთხვევით მოიპოვა მუნდიალის საგზური, მხოლოდ იმის წყალობით, რომ კამერუნის ნაკრებმა პენალტი ვერ გამოიყენა...**

- დიახ, ვიცი და ძალიან მწყინს. ბევრს ჰგონია, რომ ჩვენ უბრალოდ გაგვიმართლა, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლა სატურნირო ბრძოლის ლოგიკური დასასრული იყო. ეს არ გახლდათ შემთხვევითობა და მოგვიანებით აფრიკის თასის გათამაშებაზე ჩვენ კვლავ ვაჯობეთ კამერუნს.

**- შეგეძლოთ აფრიკის თასის ფინალში ეგვიპტის ნაკრების დამარცხება?**

- საწყენია, რომ მიზნამდე ერთი ნაბიჯი დაგვაკლდა, მაგრამ აფრიკაში საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ ვის მინდორზე თამაშობ. ეგვიპტე კი ტურნირის მასპინძელი ქვეყანა იყო. აფრიკის თასზე ჩვენი ნაკრების თამაშმა დამშვიდების უფლება მომცა. დავინახეთ, რომ სწორ გზას ვადგავართ და არც მსოფლიო ჩემპიონატზე შევრცხვებით.

**- ამბობენ, რომ ნაკრებში თქვენ განსაკუთრებული უფლებებით სარგებლობთ. თითქოს კოტდივუარის ნაკრები არის დროგბა და კიდევ ათი ფეხბურთელი.**

- ვიცი, რომ ზოგიერთები მართლაც ასე ფიქრობენ, მაგრამ ეს აბსურდია. ჩვენი ნაკრების ფეხბურთელთა უმეტესობა ევროპულ ჩემპიონატებში თამაშობს, მეტწილად ინგლისში. ისინი ცნობილი ფეხბურთელები არიან და მათ გადაბირებას გრანდები ლამობენ. ახლა გამოცდილებას ვიძენთ, რომელიც აქამდე არ გვქონია და მსოფლიო ჩემპიონატს სრულ მზადყოფნაში შევხვდებით.

**- მსოფლიო ჩემპიონატზე მოასპარეზე ხუთი აფრიკული ქვეყნიდან მხოლოდ განას აქვს დიდი ტურნირების გამოცდილება....**



*დროგბა ოცნებობს.*

- დიახ, მართალია. ამის წყალობით ჩვენი გუნდები უფრო არაპროგნოზირებადი იქნებიან. მთავარი სიურპრიზი კი ისაა, რომ მუნდიალზე ვერ მოხვდნენ ისეთი გუნდები, როგორებიც არიან კამერუნი და ნიგერია.

**- რა აკლია აფრიკულ ფეხბურთს მსოფლიო ავტორიტეტის მოსახვეჭად?**

- ძნელია ამის თქმა. შესაძლოა ფორტუნა, ცოდნა, სტაბილურობა. ანდა, შესაძლოა, ეს ყველაფერი გვაქვს და ვერ ვიყენებთ. ვნახოთ, ყველაფერს მსოფლიო ჩემპიონატი გვიჩვენებს. კიდევ ოთხი წლის შემდეგ უკვე ისტორიული მოვლენის მომსწრენი გავხდებით, როდესაც მუნდიალს აფრიკის კონტინენტი უმასპინძელბს. ვფიქრობ, ეს არის ის შანსი, რომელიც ხელიდან არ უნდა გავუშვათ.

**- თქვენი ნაკრები სიკვდილის ჯგუფში მოხვდა. ყველაზე მეტად რომელ გუნდს უფრთხით და ვისი დამარცხების იმედი გაქვთ?**

- ყველა მეტოქე სახიფათოა. ეს გუნდები კარგი ფეხბურთელებით არიან დაკომპლექტებული. მათ აქვთ თავისი სათამაშო სტილი და დიდი საფეხბურთო ტრადიციები. წინასწარ ვერაფერს გეტყვით, ბრძოლა ბოლო მატჩამდე გაგრძელდება. ჰოლანდიის ნაკრებში თაობათა ცვლა მიმდინარეობას. ძალიან კარგად ვიცნობ არიენ რობენს, რომელიც, დარწმუნებული ვარ, იქნება ნაკრებში. იგივე შემიძლია ვთქვა ერნან კრესპოზე და მატეი კეჟმანზეც. მართალია, კეჟმანი, ცოტა არ იყოს, აუგად მომიხსენიებს, მაგრამ მე პოლემიკაში ჩაბმას არ ვაპირებ.

**- აფრიკულმა გუნდმა გრანდებს ერთ მატჩზე მეტი რომ მოუგოს, მოულოდნელობა იქნება?**

- დიახ, მაგრამ მხოლოდ ამ შემთხვევაში შევძლებთ ჯგუფიდან გასვლას.

**- ბოლო ხანს აფრიკის თასის გათამაშებას უამრავი ჭორი უკავშირდებოდა. ეს იმის ნიშნია, რომ აფრიკული ფეხბურთი ყურადღებას იპყრობს და მსოფლიო ფეხბურთის პროვინციულ ნაწილად აღარ ითვლება?**

- შესაძლოა, მართალიც ხართ, მაგრამ ამის მთავარ მიზეზად ის მიმაჩნია, რომ აფრიკელ ფეხბურთელთა დიდი ნაწილი ევროპაში თამაშობს. ჩვენ ყოველთვის ყურადღების ცენტრში ვართ და ჭორებსაც ეს განაპირობებს.

**- აფრიკული ფეხბურთი სულ უფრო ემსგავსება ევროპულს. აფრიკული ნაკრებების თამაშში მეტი პრაგმატიზმი შეინიშნება. სადღაც გაქრნენ არაორდინარული ფეხბურთელები. მაგალითად ახლა მხოლოდ რამდენიმე ასეთი აფრიკელის დასახელება შეიძლება. ეტოო, თქვენ და ობი მიკელი.**

- ალბათ მართალი ბრძანდებით. თუმცა, ჩემი აზრით, ჩამონათვალი უფრო დიდია. თუნდაც ჩვენი ნაკრების ფეხბურთელი ტურე ავიღოთ. ასე რომ, არ ვიტყოდი, თითქოს ასეთი ფეხბურთელები ცოტანი არიან. უბრალოდ, უფრო პროფესიონალები ვხდებით და მხოლოდ სანახაობრიობაზე აღარ ვფიქრობთ.

**- ასეთი გარდაქმნა აფრიკული ფეხბურთისთვის სასარგებლოა?**

- ძნელია ამის თქმა. ერთი რამ ცხადია: მუნდიალზე ჰოლანდიის, არგენტინისა და სერბეთის წინააღმდეგ გვიწევს თამაში. რამდენიმე წლის წინ ალბათ შეგვეშინდებოდა, ახლა კი ნორმალურად აღვიქვამთ ყველაფერს და მჯერა, რომ გამარჯვებაც შეგვიძლია.

**- შეგიძლიათ თუ არა თქვათ, როდის გახდებით მსოფლიო ჩემპიონი?**

- ასეთი რამის წინასწარმეტყველება ძნელია. ვფიქრობ, ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა ვიაროთ წინ და ვიოცნებოთ. რა თქმა უნდა, ყველა ოცნებას ახდენა არ უწერია, მაგრამ ერთი რამ კარგად უნდა დავიმახსოვროთ: საკუთარი გამარჯვებები არ უნდა გაგვიკვირდეს.

# ფრენკ ლამპარდი: „9 ივლისს ჩემპიონი ვიქნები"

უკვე გადაწყდა, რომ მომავალ სეზონს საუკეთესო გერმანელი ფეხბურთელი მიხაელ ბალაკი ლონდონის „ჩელსიში" გაატარებს. გერმანელი ჟურნალისტები ბალაკის მომავალ თანაგუნდელს და „არისტოკრატთა" უპირობო ლიდერს ფრენკ ლამპარდს დაუკავშირდნენ და ჰკითხეს, თუ რა ელის ლონდონურ კლუბში მიხაელს. ინტერვიუ გაზეთმა „ბილდმა" გამოაქვეყნა.

**- რომელ პოზიციაზე ითამაშებს ბალაკი „ჩელსიში"?**

- ეს მწვრთნელის გადასაწყვეტია. იმას კი გეტყვით, რომ მიხაელი ბრწყინვალე ფეხბურთელია და ჩვენს კლუბში საკუთარ ადგილს იპოვის. ვფიქრობ, ნახევარდაცვაში კარგად გავუგებთ ერთმანეთს. ბალაკი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ნახევარმცველია და დარწმუნებული ვარ, ნებისმიერ გუნდს გააძლიერებს.

**- ისეთ გუნდსაც, როგორიც „ჩელსია"?**

- თუ ჩვენთან გადმოვა, ცხადია, გაგვაძლიერებს. მართალია, ადაპტაციისთვის დრო დასჭირდება, მაგრამ ძლიერ ფეხბურთელებს ნებისმიერ ადგილას შეუძლიათ თამაში. ჩვენთან მიხაელს კარგად მიიღებენ.

**- რა ელის მას ინგლისში?**

- „ჩელსის" წინააღმდეგ ყველა ორმაგი მოტივაციით თამაშობს. ასე რომ, „ჩელსის" ფეხბურთელებს ამოსუნთქვის საშუალებაც არ გვაქვს. ყველა მატჩში მაქსიმალურად ვიხარჯებით.

**- ბალაკი „ჩელსიში" ითამაშებს, თქვენ „ბაიერნში" ხომ არ გადახვიდოდით?**

- მე ბუნდესლიგაში? იცით, მომავალზე ფიქრი არ მიყვარს. ახლა ასეთი რამ წარმოუდგენლად მიმაჩნია. ბოლოს და ბოლოს, ჩემი კონტრაქტი „ჩელსისთან" 2008 წლამდე გრძელდება. კლუბის გულშემატკივართა შორის საკმაოდ პოპულარული ვარ. მოკლედ, ახლა ასე ვფიქრობ, რომ კარიერის ბოლომდე „ჩელსიში" დავრჩები.

**- მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელების დასახელებისას თქვენ**



*ლამპარდს სჯერა, რომ მსოფლიო ჩემპიონი გახდება.*

**მეორე ადგილზე გახვედით. მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე ვიცეჩემპიონობა თუ მოგანიჭებდათ სიხარულს?**

- რა თქმა უნდა, არა. იმედი მაქვს, 9 ივლისს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მფლობელი ვიქნები.

**- არის კი ინგლისის ნაკრები იმდენად ძლიერი, რომ მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიგოს?**

- ჩემთვის ეს პირველი ჩემპიონატია. მაგრამ ჩვენს გუნდში არიან ფეხბურთელები, რომლებმაც 2002-ში ბრაზილიასთან მეოთხედფინალური მატჩი წააგეს. მათი გამოცდილება დაგვეხმარება. ცხადია, რუნის დიდი პრობლემაა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, შეგვიძლია ტიტულის მოგება. მარტო რუნი ხომ არაა ინგლისის ნაკრები! ჩვენ გვყავს ბექჰემი, ჯერარდი, ფერდინანდი, ტერი, ოუენი...

**- ინგლისის ნაკრებში ყოველთვის იყვნენ კარგი ფეხბურთელები, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატებზე მაინც გიჭირდათ.**

- გეთანხმებით. შესაძლოა გარკვეული მენტალური პრობლემებიც იყო. თითქოს საკუთარი თავის რწმენა გვაკლდა. ახლა თითოეულ ფეხბურთელს სჯერა, რომ ჩემპიონები გავხდებით.

**- პირადად თქვენ საიდან გაქვთ ასეთი რწმენა?**

- ფეხბურთელებს გამარჯვებულის მენტალიტეტი ჩამოუყალიბდათ. ჩემს შემთხვევაში ეს ჟოზე მოურინიოს დამსახურებაა. მოვიდა თუ არა პორტუგალიელი გუნდში, მითხრა, რომ ტიტულების მოგებისთვის ვარ დაბადებული.

**- მსოფლიო ჩემპიონატებზე ინგლისის ნაკრებს ჯგუფური ეტაპის გადალახვა არასდროს უჭირდა. შემდეგ იწყებოდა პრობლემები. მაგალითად, 1990 წელს გერმანიის ნაკრებმა ნახევარფინალში პენალტების სერიაში დაგამარცხათ.**

- იმ კოშმარს ნუ გამახსენებთ. მაშინ 11 წლის ვიყავი და ეს მატჩი ჩემი ბავშვობის ყველაზე საშინელი მოგონებაა. იცით, რამდენი ვიტირე...

**- ნუთუ რევანში არ გწყურიათ?**

- რა ვიცი. ერთი რამ ფაქტია: მას შემდეგ მუდმივად ვვარჯიშობ პენალტების შესრულებაში.

**- როგორ შეაფასებდით გერმანიის ნაკრებს?**

- ძალიან სახიფათო გუნდია.

**- ინგლისის ნაკრების ფეხბურთელები მსოფლიო ჩემპიონატზე ოჯახებთან ერთად ჩამოდიხართ. ეს დაგეხმარებათ?**

- რა თქმა უნდა. როდესაც ტურნირი თითქმის ერთ თვეს გრძელდება, კარგია, ოჯახის წევრები გვერდით რომ გყავს.

**- ზოგიერთი ნაკრები გუნდის მწვრთნელი ფეხბურთელებს მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობისას სექსუალურ ურთიერთობას უკრძალავს. ამ მხრივ ინგლისის ნაკრებში როგორაა საქმე?**

- ეს თითოეულმა ფეხბურთელმა თავად უნდა განსაზღვროს. მწვრთნელი ამ საქმეში არ ჩაერევა.

**- პირადად თქვენ?**

- ჩემს პირად ცხოვრებაზე ნუ ვილაპარაკებთ.

**- ჰობი თუ გაქვთ?**

- შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ არა. არ მიყვარს თევზაობა, არც გოლფის თამაში. ხანდახან კვირაში სამი მატჩი გვიწევს და ჰობისთვის დროც არ მრჩება. როცა თავისუფალი ვარ, მირჩევნია ეს დრო ოჯახთან ერთად გავატარო.

## ფედერერი პირველობას ინარჩუნებს

### ლაბაძე კი 167-ეა



გუშინ გამოქვეყნდა საჩოგბურთო რეიტინგები. ცხადია, ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა ქართველთა მდგომარეობა. ATP-ს რეიტინგში ოთხი ქართველი მამაკაცია მოხსენიებული. ირაკლი ლაბაძე 167-ე ადგილზეა. გასულ კვირასთან შედარებით მან 11 საფეხურით წაიწია წინ. ლადო ჩიხლაძე 585-ე ადგილს იკავებს. ხოლო დავით კვერნაძე და ირაკლი უშანგიშვილი 1522-ე ადგილზე არიან.

რაც შეეხება ქალთა ტურნირებს WTA-ს რეიტინგში, სალომე დევიძე 336-ე ადგილს იკავებს, მაკა ჩახნაშვილი - 413-ეს, ნანა უროტაძე - 590-ეს, სოფო მელიქიშვილი - 724-ს, მანანა შაფაქიძე - 848-ს.

რაც შეეხება ლიდერებს, მამაკაცთა შორის პირველობას არავის უთმობს როჟე ფედერერი, ქალებში კი - ამელი მორესმო.

გთავაზობთ რეიტინგებს.

**ATP რეიტინგი**

| | |
|---|---|
| 1.ფედერერი | 7160 |
| 2.ნადალი | 4135 |
| 3.ნალბანდიანი | 2845 |
| 4.ლუბიჩიჩი | 2665 |
| 5.როდიკი | 2515 |
| 6.დავიდენკო | 2495 |
| 7.ბლეიკი | 1910 |
| 8.გაუდიო | 1800 |
| 9.გონსალესი | 1640 |
| 10.რობრედო | 1630 |
| 11.ჰიუიტი | 1595 |
| 12.კიფერი | 1560 |
| 13.კორია | 1465 |
| 14.იუჰანსონი | 1460 |
| 15.ანჩიჩი | 1455 |
| 16.ნიემინენი | 1455 |
| 17.გინეპრი | 1450 |
| 18.შტეპანეკი | 1420 |
| 19.ფერერი | 1385 |
| 20.ბაგდატისი | 1374 |

**საჩემპიონო რბოლა**

| | |
|---|---|
| 1.ფედერერი | 562 |
| 2.ნადალი | 284 |
| 3.ლუბიჩიჩი | 250 |
| 4.ნალბანდიანი | 205 |
| 5.ბაგდატისი | 189 |
| 6.ბლეიკი | 185 |
| 7.ჰაასი | 175 |
| 8.დავიდენკო | 153 |
| 9.ნიემინენი | 143 |
| 10.კიფერი | 124 |
| 11.ფერერი | 121 |
| 12.რობრედო | 118 |
| 13.შტეპანეკი | 118 |
| 14.ანჩიჩი | 114 |
| 15.როხუსი | 114 |
| 16.ვლიგენი | 111 |
| 17.მასუ | 109 |
| 18.როდიკი | 105 |
| 19.გაუდიო | 104 |

**WTA რეიტინგი**

| | |
|---|---|
| 1.მორესმო | 3437 |
| 2.კლიისტერსი | 3048 |
| 3.შარაპოვა | 2678 |
| 4.პეტროვა | 2369 |
| 5.პირსი | 2344 |
| 6.დევენპორტი | 2254 |
| 7.ენინ-არდენი | 2198 |
| 8.დემენტიევა | 1964 |
| 9.შნიდერი | 1888 |
| 10.კუზნეცოვა | 1503 |
| 11.სკიავონე | 1389 |
| 12.ვ.უილიამსი | 1293 |
| 13.მისკინა | 1268 |
| 14.გრენეფელდი | 1130 |
| 15.ვაიდისოვა | 1074 |
| 16.ჰანტუხოვა | 1005 |
| 17.ლიხოვცევა | 945 |
| 18.პენეტა | 941 |
| 19.საფინა | 934 |
| 20.ივანოვიჩი | 914 |

**საჩემპიონო რბოლა**

| | |
|---|---|
| 1.მორესმო | 1440 |
| 2.ენინ-არდენი | 1189 |
| 3.პეტროვა | 1181 |
| 4.შარაპოვა | 1174 |
| 5.კუზნეცოვა | 982 |
| 6.დემენტიევა | 803 |
| 7.ჰინგისი | 785 |
| 8.კლიისტერსი | 696 |
| 9.შნიდერი | 650 |
| 10.სკიავონე | 493 |
| 11.გრენფელდი | 472 |
| 12.საფინა | 398 |
| 13.მისკინა | 394 |
| 14.პენეტა | 391 |
| 15.ჰანტუხოვა | 365 |
| 16.კირილენკო | 343 |
| 17.ივანოვიჩი | 332 |
| 18.გოლოვინი | 331 |
| 19.დევენპორტი | 318 |
| 20.სანტანჯელო | 314 |

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, 0160 გაგარინის ქ. N29ა), აცხადებს ტენდერს საგარეჯო-უდაბნო-გარეჯის მონასტრის საავტომობილო გზის კმ.2(0.7)-კმ.12 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს.

**2.** ხელშეკრულების მოქმედების ვადა - 2006-2007წწ.

სამუშაოების შესრულების ვადა - მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.

გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაცია მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

**3.** დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება (ქართულ ენაზე) შეეძლებათ 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ (რეკვიზიტებზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ანგარიშის N200122900, მიმღები ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი: 220101107, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 302003000), 2006 წლის 10 მაისისდან, მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო.

**4.** დაინტერესებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2006 წლის 29 მაისის 9.00 საათიდან 18.00 საათამდე და 2006 წლის 30 მაისის 9.00 საათიდან 12.00 საათამდე, ორ ეგზემპლიარად (ერთი დედანი და ერთი ასლი) შემდეგ მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, საერთო განყოფილება.

მიიღება მხოლოდ იურიდიული სტატუსის მქონე პირების განცხადებები.

**5.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**5.1** ცნობები:

**5.1.1.** იურიდიული პირისათვის:

**ა)** ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

**ბ)** ცნობას სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და ცნობას სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

**გ)** ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის (მათ) მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

შენიშვნა: იმ იურიდიული პირებისათვის, რომლებიც 2006 წელს უკვე მონაწილეობდნენ საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში და 5.1.1 პუნქტის "ბ" და "გ" ქვეპუნქტებში მითითებული ცნობები 2006 წელს უკვე აქვთ წარმოდგენილი, მათი ხელმეორედ წარმოდგენა ამ ტენდერისათვის არ არის აუცილებელი.

**დ)** ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, ან ცნობა სასამართლოდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის შესახებ.

**ე)** ხელისმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

**5.1.2.** ფიზიკური პირისათვის:

**ა)** ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

**ბ)** ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

**გ)** ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

შენიშვნა: იმ ფიზიკური პირებისათვის, რომლებიც 2006 წელს უკვე მონაწილეობდნენ საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში და 5.1.2 პუნქტის "ა", "ბ" და "გ" ქვეპუნქტებში მითითებული ცნობები 2006 წელს უკვე აქვთ წარმოდგენილი, მათი ხელმეორედ წარმოდგენა ამ ტენდერისათვის არ არის აუცილებელი.

**5.1.3** როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:

- ცნობას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ. მონაწილეს ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (ქირა, თხოვება და ა. შ.) სატენდერო დოკუმენტაციაშია მოცემული მანქანა-მექანიზმები.

შენიშვნა:

**ა.** ცნობა წარმოდგეს ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად და უნდა აკმაყოფილებდეს სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ პირობებს.

| N | მანქანა-მექანიზმების დასახელება | აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული) | საკუთრება: მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა |
|---|---|---|---|---|---|
| 1<br>2<br>და ა.შ. | | | | | |

**ბ.** იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მანქანა-მექანიზმები და დანადგარები იმყოფება მის კანონიერ მფლობელობაში, ან სარგებლობაში, ან საკუთრებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები (კერძოდ: იმ შემთხვევაში, თუ მანქანა-მექანიზმები და დანადგარები იმყოფება მის ბალანსზე, წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი აუდიტორული დასკვნა; თუ რომელიმე მანქანა-მექანიზმი და დანადგარი აყავს იჯარით, წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი საიჯარო ხელშეკრულება; თუ რომელიმე მანქანა-მექანიზმი და დანადგარის შეძენა ხდება ქვეყნის გარედან, წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი(ები) და ცნობა, თუ როდის იქნება ეს მანქანა-მექანიზმი და დანადგარი საქართველოში, და ა. შ.). ასევე აუცილებლად მითითებული უნდა იქნას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების და დანადგარების ადგილმდებარეობა, და იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს გამარჯვების შემთხვევაში რა დრო დასჭირდება მათი სამუშაოს შესრულების ადგელზე მობილიზაციისათვის.

-- ცნობას ქვე-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, ქვე-კონტრაქტორის მიერ განსახორციელებელი მიწოდების შესახებ.

შენიშვნა:

**ა.** ცნობა წარმოდგეს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| თანამდებობა, სპეციალობა | გვარი, სახელი | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება (წელი) | ბიოგრაფიული მონაცემები |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

**ბ.** ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილების გრაფაში მითითებული უნდა იქნას იმ ძირითადი ობიექტების ჩამონათვალი, რომელზეც ქვე-კონტრაქტორს გაწეული აქვს ანალოგიური სამუშაოები.

**გ.** ქვე-კონტრაქტორის სპეციალისტთა ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილების გრაფაში მითითებული უნდა იქნას იმ ძირითადი ობიექტების ჩამონათვალი, რომელზეც ქვე-კონტრაქტორის თითოეულ სპეციალისტს (ინჟინერ-ტექნიკური) შესრულებული აქვთ ანალოგიური სამუშაოები (წლების ჩვენებით).

**დ.** ქვე-კონტრაქტორის სპეციალისტთა ბიოგრაფიული მონაცემების გრაფაში აღნიშნული უნდა იქნას: ქვე-კონტრაქტორის თითოეული სპეციალისტის (იმ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე), დაბადების თარიღი, სპეციალობა დიპლომის მიხედვით, ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება წლების მითითებით.

**ე.** ქვე-კონტრაქტორის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია განიხილება იურიდიული ან/და ფიზიკური პირის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთობლიობაში.

**ვ.** ქვე-კონტრაქტორის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია განიხილება იურიდიული ან/და ფიზიკური პირის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად.

-- ცნობას 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დებიტორულ-კრედიტორული დავალიანების შესახებ. მითითებული იქნას მსხვილი დებიტორ-კრედიტორები და დავალიანების წარმოშობის თარიღი.

**5.2.** ინფორმაციები (მონაწილის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილობითი სახით):

-- ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს: ორგანიზაციულ-სამართლებლივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, სახელწოდებას, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს (წესდება, სასამართლოს დადგენილება, ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან). მიუთითეთ საკონტაქტო ტელეფონები.

-- ინფორმაცია ტენდერში მონაწილე იურიდიული ან/და ფიზიკური პირების სპეციალიტთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ, დაურთეთ ბიოგრაფიული მონაცემები.

ტენდერში მონაწილე იურიდიული ან/და ფიზიკური პირების სპეციალისტებს უნდა გააჩნდეს ანალოგიური სამუშაოს შესრულების გამოცდილება.

შენიშვნა:

**ა.** ინფორმაცია წარმოდგეს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| გასაწევი სამუშაოს სახე | ქვე-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი) | ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება | ქვე-კონტრაქტორის სპეციალიტთა ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება | ქვე-კონტრაქტორის სპეციალისტთა ბიოგრაფიული მონაცემები |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

**ბ.** ანალოგიური სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილების გრაფაში აღნიშნული უნდა იქნას: თითოეული პერსონალის (იმ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე) მიერ შესრულებული ანალოგიური სამუშაოების ჩამონათვალი (კონკრეტული ობიექტების მითითებით), დაკავებული თანამდებობა და ფუნქცია. ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის წლები.

**გ.** ბიოგრაფიულ მონაცემების გრაფაში აღნიშნული უნდა იქნას: თითოეული პერსონალის (იმ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე), დაბადების თარიღი, სპეციალობა დიპლომის მიხედვით, ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება წლების მითითებით დეტალურად.

-- ინფორმაცია, იურიდიული ან/და ფიზიკური პირის მიერ, უკანასკნელი 3 (სამი) წლის (ცალ-ცალკე 2003, 2004, 2005 წლები) განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაოების გამოცდილების შესახებ. შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენით (ხელშეკრულებების ასლები).

იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში ერთ-ერთ წელს მაინც შესრულებული უნდა ჰქონდეს საავტომობილო გზებზე ანალოგიური ხასიათის და შინაარსის სარეაბილიტაციო სამუშაოები, საერთო ღირებულებით 2 000 000 ლარის ოდენობთ.

შენიშვნა: ინფორმაცია წარმოდგეს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| N | სამუშაოს დასახელება (თითოეული ობიექტის დასახელებით) | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | წარმოდგენილი იქნას ხელშეკრულებების ასლები |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

**6.** იურიდიული ან/და ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია, დეპარტამენტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იქნას გადამოწმებული ინდივიდუალურად.

**7.** იურიდიული ან/და ფიზიკური პირის ხელმძღვანელი მის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადების სიზუსტეს ადასტურებს თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

**8.** საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებას სატენდერო კომისია ახდენს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი ფიზიკური და იურიდიული პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

**9.** იურიდიული ან/და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი არ წარმოადგენს მე-5 მუხლში მოცემული ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ვერ დააკმაყოფილებს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**10.** დაინტერესებული იურიდიული ან/და ფიზიკური პირის სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს სატენდერო დოკუმენტაციის მე-9 მუხლის 9.1 პუნქტით და საბაზისო მონაცემებით განსაზღვრულ დოკუმენტებს. სამუშაოების შესრულების მეთოდში დეტალურად უნდა იქნას აღწერილი სამუშაოების წარმოების ყველა ტექნოლოგიური პროცესი, ასევე მანქანა-მექანიზმების და დანადგარების მობილიზაციისათვის საჭირო ვადები.

**11.** სატენდერო წინადადებების შერჩევა (რომელი სატენდერო წინადადება დაიშვება შესაფასებლად და რომელი არა), განხორციელდება "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესი შესახებ დებულების" მე-15 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად.

12. გამარჯვებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით უნდა წარმოადგინოს ბანკის ან საქართველოში ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული საბანკო გარანტია. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება თითოეულ ლოტზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არა ნაკლებ 5% ოდენობით.

**13.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოში, საკონტაქტო ტელეფონი 31.30.34 გია დიასამიძე.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შს სამინისტროს ქ. თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველო აცხადებს ტენდერს მცირეფასიანი საყოფაცხოვრებო მომსახურების სამეურნეო და ტექნიკური დანიშნულების სამეურნეო საქონლის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი - საყოფაცხოვრებო მომსახურების სამეურნეო და ტექნიკური დანიშნულების სამეურნეო საქონელი.

დაფინანსების წყარო - ცენტრალური ბიუჯეტი.

საყოფაცხოვრებო მომსახურების სამეურნეო და ტექნიკური დანიშნულების სამეურნეო საქონელი

| № | საქონლის დასახელება | განზომილების ერთეული | რაოდენობა და მოცულობა |
|---|---|---|---|
| 1 | იატაკის და მაგიდის საწმენდი ჩვრები | ცალი | 3000 |
| 2 | ცოცხი | ცალი | 500 |
| 3 | ტუალეტის ქაღალდი | ცალი | 2000 |
| 4 | უნიტაზის ჯაგრისი | ცალი | 200 |
| 5 | ქაღალდის ხელსახოცი | ცალი | 10 000 |
| 6 | მეტალის ურნები | ცალი | 300 |
| 7 | ბოქლომები ჩამოსაკიდი | ცალი | 100 |
| 8 | კარების საკეტები | ცალი | 100 |
| 9 | იატაკის ჯოხი | ცალი | 250 |
| 10 | ღრუბელი საწმენდი | ცალი | 1000 |
| 11 | სახეხი რკინის | ცალი | 1000 |
| 12 | ტუალეტის გარნიტური | ცალი | 200 |
| 13 | ფანჯრის საწმენდი ჯოხი | ცალი | 100 |
| 14 | ლურსმანი სხვადასხვა ზომის | კგ | 120 |
| 15 | ჩაქუჩი | ცალი | 50 |
| 16 | ნაჯახი | ცალი | 10 |
| 17 | სატეხი | ცალი | 10 |
| 18 | წებო ემულსია | ცალი | 20 |
| 19 | წყალი ემულსია | ცალი | 50 |
| 20 | ხის წებო | ცალი | 10 |
| 21 | პირდაპირი | ცალი | 5 |
| 22 | ხელის ხერხი | ცალი | 10 |
| 23 | სახრახნისის ნაკრები | ცალი | 7 |
| 24 | ბეტონის ლურსმნები | კგ | 10 |
| 25 | ბარი | ცალი | 20 |
| 26 | მილების შესაერთებელი უთო | ცალი | 5 |
| 27 | შლანგები უნიტაზის | ცალი | 100 |
| 28 | შლანგები წყლის გამათბობ. | ცალი | 50 |
| 29 | ონკანი წყლის | ცალი | 50 |
| 30 | ონკანის საფენი რეზინის სხვადასხვა | ცალი | 200 |
| 31 | სიფონის შლანგები | ცალი | 100 |
| 32 | ქანჩების ნაკრები | ცალი | 5 |
| 33 | ბრტყელტუჩა | ცალი | 60 |
| 34 | ჩაქუჩი ურო | ცალი | 6 |
| 35 | რკინის საჭრელი მაკრატელი | ცალი | 2 |
| 36 | ჭანჭიკები 4მმ-5მმ | კგ | 20 |
| 37 | ანჯამა | ცალი | 100 |

შენიშვნა: ცხრილში მითითებული საქონლის რაოდენობა შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

მიწოდების ადგილი - ქ. თბილისი, კ. ჩალაძის ქ. №1.

მიწოდების სასურველი ვადები - ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის ბოლომდე.

აუცილებელი პირობა:

- მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სერტიფიცირებული მწარმოებლის პროდუქციის მიწოდება;
- მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას უნდა წარუდგინოს იმ სერტიფიცირებული ფირმების ჩამონათვალი, რომელთა პროდუქციასაც მიაწოდებს შემსყიდველს.

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად (ერთი დედანი, ორი ასლი) 2006 წლის 6 ივნისის 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კ. ჩალაძის ქუჩა №1, მე-4 სართული, №420 ოთახი, ქ. თბილისის შს მთავარი სამმართველოს საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველო.

წარმოდგენილი პაკეტების გახსნა მოხდება 2006 წლის 7 ივნისს სატენდერო დოკუმენტაციის მიღების დამთავრებისთანავე, ქ. თბილისი, კ. ჩალაძის ქ. №1, მე-4 სართული, ოთახი №420.

დაგვიანებით შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს, სატენდერო წინადადებას და სხვა დოკუმენტაციას სატენდერო კომისია არ განიხილავს.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

იურიდიულ პირთათვის:

ა) ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოსადგენია საგადასახადო ინსპექციიდან);

ბ) ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა წარმოსადგენია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

გ) ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოსადგენია შს სამინისტროდან).

ფიზიკურ პირთათვის:

ა) ცნობას, რომ სასამართლოს მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (ცნობა წარმოსადგენია სასამართლოდან);

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოსადგენია შს სამინისტროდან).

როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიულ პირთათვის:

ა) ორგანიზაციის ან ფიზიკური პირის დასახელება, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის ან ხელმძღვანელების სახელსა და გვარს;

ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს ლიკვიდაციის, გაკოტრების ან სანაციის საქმე (ცნობა წარმოსადგენია სასამართლოდან);

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ.

იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას და მოხდება მისი დისკვალიფიკაცია, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ზემოთ მითითებულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო დოკუმენტაციის მიღებამდე უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ ანგარიშებზე: მიმღები - ქ. თბილისის შს მთავარი სამმართველოს საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველო, საიდენტიფიკაციო ნომერი 211369179, მომსახურე ბანკი - საქართველოს "ეროვნული ბანკი", ბანკის კოდი 220101107, ა/ა 200122900.

ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცემებსა და სატენდერო წინადადებების წარმოდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

სატენდერო დოკუმენტაციის გატანა და დამატებითი ინფორმაციის მიღება დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან შემდეგ მისამართზე: თ. სურგულაძე, თ. ჯიაძე, მ. ჩადუნელი. ქ. თბილისი, კ. ჩალაძის №1, მე-4 სართული, ოთახი №420. ტ: 52-29-18, 899 51-42-29, 893 25-71-85, 899 54-27-77. ქ. თბილისის შს მთავარი სამმართველოს საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველო.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აცხადებს ტენდერს სკოლებისათვის ავტობუსების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.**

**შესყიდვის ობიექტი** - 30 ცალი ახალი ავტობუსი.

**დაფინანსების წყარო** - ცენტრალური ბიუჯეტი, პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამა "იაკობ გოგებაშვილი - საქართველოს საჯარო სკოლების რეაბილიტაცია".

- **მიწოდების ადგილი** - ქ. თბილისი დ. უზნაძის ქ. N52.
- **მიწოდების სასურველი ვადები**: ავტობუსები მიწოდებული იქნას 2006 წლის 1 აგვისტოსთვის;

**- შესასყიდი საქონლი უნდა პასუხობდეს შემდეგ მოთხოვნებს:**
- ავტობუსი ახალი
- საწვავი - დიზელი
- ადგილთა რაოდენობა - არანაკლებ 21 ადგილისა
- რბილი სკამები
- გათბობის სისტემა
- შიდა კომპლექტაცია

**აუცილებელი პირობა:**
- ავტობუსები უნდა იყოს ერთი მწარმოებლის.
- გარანტია ავტობუსებზე უნდა იყოს არანაკლებ 1 წელი.
- პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული ფასი უნდა შეიცავდეს ყველა გადასახადსა და გადასახდელს, რომელიც საჭირო იქნება ავტომობილის საკუთრებაში გადაცემასთან.

**სასურველი პირობა:**
- ავტობუსები სასურველია იყოს წითელი ფერის.
- მიმწოდებელს უნდა გააჩნდეს შემოთავაზებულ ავტობუსებზე სერვის-ცენტრი საქართველოში.
- მიმწოდებელს უნდა შეეძლოს სათადარიგო ნაწილებით მომარაგება.

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ **ქართულ** ენაზე სამ ეგზემპლარად (ერთი დედანი, ორი ასლი), **2006 წლის 16 ივნისს 15 საათამდე** შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. .N52 ოთახი N222 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატი.**

წარმოდგენილი პაკეტების გახსნა მოხდება 2006 წლის 16 ივნისს სატენდერო დოკუმენტაციის მიღების დამთავრებისთანავე, ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52 II სართულზე ოთახი N214.

დაგვიანებით შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს, სატენდერო წინადადებას და სხვა დოკუმენტაციას სატენდერო კომისია არ განიხილავს.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის**:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობები, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო სამსახურიდან);

გ) ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

დ) ცნობა, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის **(ცნობა შსს);**

ე) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს ლიკვიდაციის, გაკოტრების ან სანაციის საქმე (**ცნობა სასამართლოდან);**

ვ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ**;**

**ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (**ცნობა შსს).**

**როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) ორგანიზაციის ან ფიზიკური პირის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რევიზიტებს, ხელმძღვანელის ან ხელმძღვანელების სახელსა და გვარს;

- იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას და მოხდება მისი დისკვალიფიკაცია, თუ იგი, ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ზემოთ მითითებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

- სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია. გარანტიის პირობების შესახებ დეტალური ინფორმაცია ასახული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში.

- დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო დოკუმენტაციის მიღებამდე უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ ანგარიშზე:

**მიმღები** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
**საიდენტიფიკაციო ნომერი** - 202051224
**მომსახურე ბანკი** - საქართველოს ეროვნული ბანკი
**ბანკის კოდი** - 220101107
საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი - 300023133
**ა/ა** N 200122900

**-** ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების წარმოდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

- სატენდერო დოკუმენტაციის გატანა და დამატებითი ინფორმაციის მიღება დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან შემდეგ მისამართზე:

დ. ბარაბაძე, მ. ფალიაშვილი, მ. ბუზალაძე, ქ. თბილისი, დ.უზნაძის ქ.N52 ტ. 95-65-91, ოთახი N222 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატი.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ქალაქ მცხეთის გამგეობა აცხადებს ტენდერს კარსნის გადასახვევიდან ქალაქ მცხეთამდე გარე განათების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

1. შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება:

კარსნის გადასახვევიდან ქალაქ მცხეთაში ფარნავაზის მოედნამდე გარე განათების სამუშაოების შესრულება 2,4 კმ-ის მანძილზე შესაბამისი პროექტის მიხედვით. დაფინანსების წყარო ადგილობრივი ბიუჯეტი.

ტენდერის შედეგად გამოვლენილ იქნეს მხოლოდ ერთი გამარჯვებული.

2. პრეტენდენტმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადებები, შედგენილი ქართულ ენაზე, დალუქული კონვერტით უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 30 მაისს 15 საათამდე ქ. მცხეთაში, დავით აღმაშენებლის ქ. № 136-ში. დალუქული კონვერტი კომისიის სხდომაზე დასწრების მსურველ პრეტენდენტთა თანდასწრებით გაიხსნება 30 მაისს 15 საათზე ქალაქ მცხეთის გამგეობაში.

3. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

3.1. იურიდიული პირებისათვის:

ა) პრეტენდენტის დასახელება, იურიდიული მისამართი და ფაქტიური ადგილმდებარეობა, ტელეფონის ნომრები, საბანკო რეკვიზიტები;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მისი ქონება არ არის დაყადაღებული;

გ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, ასევე არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება;

ე) ცნობა მონაწილის იურიდიული სტატუსის შესახებ (რეგისტრაციის მოწმობის ასლი).

3.2. ფიზიკური პირებისათვის:

ა) პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების ცნობა მისი ქმედუნარიანობის შესახებ;

გ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

დ) ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მისი ქონება არ არის დაყადაღებული.

3.3. როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირებისათვის:

